# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | შაბათი 14 სექტემბერი 1999 №175 (948) | ფასი 50 თეთრი

## 5 ძრწოდეთ, მეკობრეებო!

საფეხბურთო ტელეეთერი ფედერაციის გარეშე გადანაწილდა

## 5 ბერძნებმა ქართველები დაჭვერეს

„ტორპედო“ მოგვეწონა, „ლოკომოტივმა“ კი თამაში დაგვიმალაო

## 6 ლიდერი მანჩესტერელები



ალექს ფერგიუსონის ბიჭები კვლავაც პრემიერლიგის ლიდერები არიან

## 14 ჰა-ჰა იცინის, ჰაკინენი ტირის




„ფერარი“ ბეწვზე გადარჩა

## 15 აფერუმ, მასპინძლებს!

US OPEN

დიდი ჩოგბურთის ორი კვირა ნიუ იორკში ანდრე აგასისა და სერენა უილიამსის ტრიუმფით დასრულდა

# უხვფრიანი და გოლმწირი



გუშინ „ისანზე“: არსენალი — თბილისი 1:1
ეს-ესაა, თემურ ჩლაიძემ (№1) გიორგი მიქაძის (მარჯვნივ) თერთმეტმეტრიანი მოიგერია, დამატებით დარტყმას კი შალვა ლაცაბიძე გაიოეჯერა

## საქართველოს 11 ჩემპიონატი — 4 ტური

### «ა» ზონა

11 სექტემბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| დინამო | 1 |
| სამგურალი | 1 |
| სიონი | 0 |
| ლოკომოტივი | 0 |
| ბათუმი | 0 |

12 სექტემბერი, კვირა

| | |
|---|---|
| არსენალი | 1 |
| თბილისი | 1 |

### «ბ» ზონა

11 სექტემბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| ტორპედო | 3 |
| მერანი | 1 |
| კოლხეთი | 1 |
| იბერია | 0 |
| გორდა | 2 |
| დილა | 0 |

12 სექტემბერი, კვირა

| | |
|---|---|
| ხობი | 0 |
| თსუ | 0 |

### «ა» ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 4:1 | 7 |
| დინამო | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| სამგურალი | 4 | 2 | 0 | 2 | 2:3 | 6 |
| ბათუმი | 4 | 1 | 3 | 0 | 2:1 | 6 |
| არსენალი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| ლოკომოტივი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 |
| სიონი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| თბილისი | 4 | 0 | 3 | 1 | 6:7 | 3 |

### «ბ» ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 4 | 3 | 1 | 0 | 10:3 | 10 |
| კოლხეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 6 |
| გორდა | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| დილა | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 5 |
| ხობი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:7 | 5 |
| თსუ | 4 | 0 | 4 | 0 | 3:3 | 4 |
| მერანი | 4 | 0 | 3 | 1 | 4:6 | 3 |
| იბერია | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | 2 |

ეს ტური უხვფრიანი და გოლმწირი გამოდგა, რამაც მოგება ორმაგად დააფასა. ამ უქმეებზე არბიტრებმა 6 პენალტი დანიშნეს, რომელთაგან 4 გავიდა. ყველაზე მეტად თბილისელმა არბიტრმა ალექსანდრე კრიჭაშვილმა იმამაცა. სამჯერ სწორედ მან გაიშვირა ხელი თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ

იხილეთ მეორე, მესამე და მეოთხე გვერდები

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პლეი ოფი. პირველი მატჩი

## საქართველო 25(14):32(15) დანია

11 სექტემბერი. თბილისი. სპორტის სასახლე. 18.30 საათი

## დანია თავს ზემოთ

წავაგეთ. ძნელია, მარცხი ერთ რომელიმე მიზეზს დააბრალო. არც ვინმე ერთია ამაში დამნაშავე. წავაგეთ იმიტომ, რომ მეტოქე ჩვენზე ძლიერი იყო. და კიდევ იმიტომ, რომ ჩვენი ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე მოედანზე არ იყო. თუმცა ამ წაგებით არაფერი დასრულებულა და არც ქვეყანა დანგრეულა. არა, ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე საქართველო ველარ გავა (ძნელი წარმოსადგენია, ერთ კვირაში დანია სტუმრად რვა ბურთით დავამარცხოთ), მაგრამ აშკარაა, რომ ქართველ ხელბურთელთა ეს თაობა თანდათანობით უმატებს, სულ უკეთ და უკეთ თამაშობს. ამიტომაც ჩნდება იმედი: მომავალში წარმატებაც მოვა. მოვა, რადგან ოსტატობასთან ერთად გამოცდილებაც იმატებს.

იხილეთ მეცამეტე გვერდი




კრისტიან ჰიერმინდმა (№18) სახიფათო ფორვარდის რეპუტაცია თბილისშიც დაამტკიცა

# ფული დინამოსაც შემოჰკლებია

მცხეთა
11 სექტემბერი
17 საათი
არმაზი
1 500 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 0:1 დინამო**

0:1 ალექსიძე (29პ)
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, საჯაია, ჭანკოტაძე, ხართიშვილი (კ. ალადაშვილი 79), ჯ. მუჯირი, თოდუა, დილმელაშვილი, ლ. ნოზაძე, დ. დოლიძე (ყიფიანი 79), კოტორაშვილი (ა. ბოკერია 73), გიორგი ქორიძე
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ზ. გვაზავა, მაზიაშვილი, ვ. გოჩაშვილი
დინამო: დონდტი, ხიზანეიშვილი, ვაშაკიძე, დიდავა, გ. შენგელია (ღლონტი 68), ა. სახვაძე, ანჩაბაძე, ალექსიძე, წიტაიშვილი (პ. ჯინჭარაძე 46), აშვეთია (ზირაქიშვილი 78), სიჭინავა
*სათადარიგონი:* გრიშიკაშვილი; კობიაშვილი, ვ. გიგიაძე, შაშიაშვილი
გაფრთხილება: სახვაძე (26), მუჯირი (83)
გაძევება: სახვაძე (67)
მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); გ. ასკაროღლი (ქარელი);
სფფ-ის დელეგატი: მ. მიმინოშვილი

**მამუკა კვანტალიანი მცხეთიდან**

ჩვენი კლუბების ფინანსურ სიდუხჭირეზე არაერთხელ თქმულა და დაწერილა. ამ საკითხზე ახალსაც ვერაფერს შევთავაზებთ მკითხველს, მაგრამ მათი გაოცება კი შეგვიძლია. აბა, ვინ იფიქრებდა, თუ მსგავსი პრობლემა თბილისის „დინამოსაც“ შეეხებოდა და ფეხბურთელების დასაყოლიებლად საგანგებო, სერიოზული საუბარი გახდებოდა საჭირო.

თურმე ორი თვე მიილია, რაც „დინამოში“ ხელფას-პრემიები არ დარიგებულა. მოთამაშეებსაც პატარა ბუნტისმაგვარი მოუწყვიათ. ან ფული მოგვეცით, ანაც სათამაშოდ არ გავალთო, უთქვამთ. კლუბის ხელმძღვანელობას ფეხბურთელები შემდეგი სიტყვებით დაუყოლიებია — ითამაშეთ და 14 სექტემბერს კუთვნილ ფულს მიიღებთო.

ითამაშა „დინამომ“ და გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოიგო. „ვიტ ჯორჯიამ“ მორიგი გამოცდა ვერ ჩააბარა, არადა, აქამდე თითქოს ყველაფერი რიგზე იყო.

ვის დაადანაშაულებენ ვეტერინარები დამარცხებაში? ვერავის, საკუთარი თავის გარდა. „ვიტ ჯორჯიამ“ თავიდანვე ფრეზე ითამაშა, მწვრთნელებმაც ისეთი შემადგენლობა გამოიყვანეს მინდორზე, პირველ რიგში, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე რომ იზრუნებდა. მასპინძლები კარგად ირჯებოდნენ მეტოქის საჯარიმომდე, მერე კი მათი ფუჭი მცდელობები სტუმართა დაცვას ემსხვრეოდა.

შაბათს „ვიტ ჯორჯიას“ არ ჰყავდა ფეხბურთელი, რომელიც დაცვისა და ნახევარდაცვის მონდომებას სწორ მიმართულებას მისცემდა. წინ გამწესებული ქორიძე და კოტორაშვილი დანარჩენებისგან მოწყვეტილნი იყვნენ. მეტოქის საჯარიმოში ვერაფრით შეაღწიეს.

ციდან ვარსკვლავები არც დინამოელებს მოუწყვეტიათ, მაგრამ მასპინძელთა დაცვის ერთადერთი შეცდომა სათავისოდ გამოიყენეს.

„დინამომ“ კიდევ იმიტომ მოიგო, რომ ჰყავდათ ანჩაბაძე, ხიზანეიშვილი და დონდტი. ანჩაბაძე ჯერ ვერაა სასურველ ფორმაში, მაგრამ გამოცდილება და კლასი ის ფაქტორია, ზოგჯერ ლონესა და მონდომებას რომ აბათილებს.

ხიზანეიშვილს მთელი მეორე ტაიმი ფეხი აწუხებდა, რამდენჯერმე ექიმის დახმარებაც დასჭირდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში ტკივილს არ იმჩნევდა.



მიხეილ აშვეთიამ (ვარდნაში) ედიკ საჯაიას კი დაასწრო, მაგრამ მისი თავური არაზუსტი გამოდგა

მართალია, ბელგიელი დენიტ დონდტი ასაკოვანი მეკარეა და, მე თუ მკითხავთ, მისი თამაში ახალგაზრდა დინამოელ მეკარეებს ახეხინებს სათადარიგოთა სკამს, მაგრამ ძალიან საიმედოდ თამაშობს. ეს საკამათო არავისთვის უნდა იყოს.

გოლამდე და მის მერეც „ვიტ ჯორჯიას“ წასაგები არაფერი სჭირდა. ვეტერინარები იოლად უმკლავდებოდნენ დინამოელებს. თამაში ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა, სადაც მცირედ უპირატესობასაც ფლობდნენ, მაგრამ...

ვერ გეტყვით, რატომ გადაწყვიტა გიორგი ჭანკოტაძემ, მოედნის ცენტრში მიღებული ბურთი უკან, თანაგუნდელისთვის დაებრუნებინა. გვერდით ხაზთან ახლოს მდგომს სულაც აუტში შეეძლო მოეგერიებინა, მაგრამ მასპინძელთა ლიბერომ სხვაგვარად განსაჯა. უკან დაგორებული ბურთი აშვეთიამ მოიხელთა, ფლანგზე გაიქცა და საჯარიმოში, წიტაიშვილის მისამართით ჩააწოდა. წიტაიშვილი და საჯაია ბურთისკენ თითქმის ერთდროულად გაიჭრნენ, თავდამსხმელი ოდნავ წინ იყო და მოასწრო. ბურთისთვის მუხლი მიერტყა, მცველმა კი თავდამსხმელის მუხლს უსწორა ფეხი.

მალაღურაძეს ბევრი არც უფიქრია, თერთმეტმეტრიანი დანიშნა. არადა, წიტაიშვილი იმ მომენტში ბურთის დამწევი აღარ იყო. თავდამსხმელმა აღწერილი მომენტიდან მაქსიმუმი გამოძერწა.

ცოტა ხანში შენგელიას ანგარიშის გაორებაც შეეძლო, მაგრამ მახვილი კუთხიდან მისი დარტყმული ჭურაძემ უკუაგდო.

მერე დონდტმა მოიგერია ჭანკოტაძის ჯარიმა და ქორიძის ძლიერი დარტყმა. პირველ შემთხვევაში ბურთის მოსაგერიებლად მას აკრობატული ნახტომი დასჭირდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ანჩაბაძემ შეაზანზარა მასპინძელთა კარის ხარიხა. ამის შემდეგ „დინამო“ კაცნაკლული დარჩა. მალაღურაძემ სახვაძე გააძევა. ისე, ყოველივე პირველ ტაიმშივე რომ გაეკეთებინა, უფრო უპრიანი იქნებოდა. სახვაძე გაძევებას ადრეც იმსახურებდა.

მასპინძლები მთელი 23 წუთი რიცხობრივ უპირატესობაში იყვნენ, საგოლე მომენტი კი ერთი შექმნეს. გიორგი ყიფიანმა ქორიძის მიმართულებით გრძელი გადაცემა, თავდამსხმელმა ბურთი გაატარა და შეტევა მუჯირმა გააგრძელა. ჯაბამ საჯარიმოს გვერდით ხაზამდე ატარა ბურთი და მერე ჩააწოდა. მცველებმა ბოკერია დატოვეს კარის წინ უმეთვალყურეოდ. არჩილმა კი მიზანში ვერ მოარტყა. ბურთი ზემოდან გადასცდა დონდტის კარს.

ვეტერინართა დამრიგებელ სერგო კოტრიკაძეს აშკარად დაუგვიანდა ყიფიანისა და ალადაშვილის მინდორზე გამოყვანა. მათი გამოსვლის შემდეგ „ვიტ ჯორჯია“ გააქტიურდა, მაგრამ 10 წუთი გარდატეხის შესატანად არასაკმარისი აღმოჩნდა.

# გორდამ საკუთარ თავს აჯობა

რუსთავი
11 სექტემბერი
17 საათი
ფოლადი
2 000 (ტევადობა 10 700)

**გორდა 2:0 დილა**

1:0 კილასონია (47), 2:0 ინასარიძე (90)
გორდა: მ. ქორიძე, მჭედლიძე, ბექაური, ინასარიძე, გაბელაია, ვ. კილასონია, თელიაშვილი, მ. სახვაძე, კიტეიშვილი, მიშველიძე, ლ. ალადაშვილი (ბაჩილავა 88)
*სათადარიგონი:* გონგაძე; ა. ბუკია, კ. ჩიგოშვილი, დ. ბერიძე, ჩიტაური, ზ. ლაბაძე
დილა: სოლოლაშვილი, გაგნიძე, რ. ხაჭაპურიძე, ფეზუაშვილი (სულთანიშვილი 62), ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, თაყაძე, ციცქიშვილი, მარლიშვილი, ბ. ჩიტაია (აკოფიანი 68), შატაკიშვილი (არუთუნიანი 69)
*სათადარიგონი:* მდივანი; გ. ჩიტაია, ოლგესაშვილი, კარელიძე
გაფრთხილება: შატაკიშვილი (30), სულთანიშვილი (74), ქორიძე (77)
მსაჯები: ს. კახიანი (თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი), ზ. მენთეშაშვილი; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: შ. ხინჩაგაშვილი

**პაატა კვანტალიანი რუსთავიდან**

ასეთი ხალხმრავლობა კარგა ხანია, არ ახსოვს რუსთაველთა სარბიელს. ამაში გორელ გულშემატკივრებსაც მიუძღვით წვლილი. ისინი მრავლად ჩამოჰყვნენ მხარდასაჭერად თავიანთ გუნდს, ჩვეულ სტილშიც იქომაგეს, ყიჟინა-შეძახილი არ დაუკლიათ „დილასთვის“, მაგრამ სტუმართა მოწოდება დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა...

შაბათს „ფოლადზე“ მოთამაშე ორი გუნდი თავის თავს არ ჰგავდა. ასეთ სუსტ და უმწეო „დილას“ ძნელად თუ გაიხსენებს კაცი. ნამატჩევს ბევრი ვიფიქრე გორელთა მარცხის მიზეზებზე. არადა, მათ მოტივაცია ჰქონდათ — ჯერაც დაუმარცხებელნი რუსთავსაც გამარჯვებისთვის ეწვივნენ. მეტოქის შიში? გამორიცხულია. აბა, ჩემპიონატის სტარტზე ზედიზედ ორჯერ დამარცხებულ „გორდას“ როგორ უნდა შეეშინებინა „ტორპედოსთვის“ ორბურთიანი სხვაობის გამქვითავი და კოლხთა დამაქცევარი გორელები. მაშ, რა? იქნებ მეორე ნახევრის დასაწყისშივე გაშვებულმა დასანანმა გოლმა გატეხა სტუმრები? მაგრამ წინ ხომ მთელი ტაიმი იყო, თანაც, „დილა“ აქამდე საუცხოოდ ატარებდა მატჩების მეორე ორმოცდახუთწუთეულს, „კოლხეთი“ სულაც ბოლო 15 წუთში მოინელა. დილადილაო — ამხნევებდნენ ქომაგები სტუმრებს, მაგრამ ისინი მაინც დამარცხდნენ, უცნაურად, წინააღმდეგობის გაუწევლად, დამარცხდნენ იმიტომ, რომ შაბათს „გორდამ“ თავის თავს აჯობა. მასპინძლებს ყველაფერი გამოსდიოდათ, მათ თითქმის ყველა საფეხბურთო კომპონენტში დაჩაგრეს მეტოქე.

„დილას“ თამაშმა ერთი ძველისძველი საფეხბურთო გამონათქვამი გამახსენა — ფეხბურთელებს რთულ სიტუაციაში. თავი არ დაუკარგავთ, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება უჭირდათ. ასეთი სიტუაცია კი გორელებს არა ერთხელ შეექმნათ რუსთავულ მატჩში.

პირველ ნახევარში სტუმრებს არა უშავდათ. ერთი-ორჯერ შატაკიშვილმა მშვენივრად ჩაუგდო ბურთი საჯარიმოში გამოცდილ მარლიშვილს და ქორიძემაც გვარიანი შიში ჭამა, თუმცა იმ ეპიზოდებში რუსთაველთა მეკარემ იმარჯვა. მერე ინასარიძემ ამოიწია ცენტრალური ხაზისკენ და მასპინძლებმაც თამაში დაალაგეს.

„ხობთან“ გამარჯვების სულისჩამდგმელი ალექსანდრე კიტეიშვილი „გორდას“ მთავარმა მწვრთნელმა იასონ ალადაშვილმა გორელებთან სასტარტო შემადგენლობაში დააყენა და კიტეიშვილმაც გაუმართლა დამრიგებელს. კიტეიშვილი მშვენივრად შეეწყო გამოცდილ კილასონიას და მეტოქეს გვარიანი თავსატეხიც გაუჩინა.

დასანანი პირველი გოლი სტუმრებმა 47-ე წუთზე გაუშვეს. კუთხური კილასონიამ ჩააწოდა და უცნაური ტრაექტორიით მოჭრილი ბურთი კარის ბადეში აღმოჩნდა. ეს გოლი გარკვეულწილად ექსგორდელი ფეზუაშვილის შეცდომის ბრალია — გორელი მცველი პოზიციურად შეცდა. ამას რუსთაველთა ხანგრძლივი შტურმი მოჰყვა, „დილა“ დროგამოშვებით გადაინაცვლებდა ხოლმე მასპინძელთა ნახევარზე.

50-ე წუთზე ინასარიძემ გაილალა მარცხენა ფლანგზე, ერთბაშად სამი მეტოქე ჩამოიცილა და საჯარიმოში შეჭრილი კიტეიშვილი მოძებნა, ამ უკანასკნელის ძლიერად დარტყმული ბურთი სანტიმეტრებით ასცდა სოლოლაშვილის კარს. სამი წუთის შემდეგ ინასარიძემ უკვე მარჯვენა ფლანგზე ინაცვლა, მცველებს იქაც აუბნია თავგზა და ჩააწოდა. ბურთი მიშველიძის გავლით ისევ კიტეიშვილს მიუვიდა, მან კი, კარიდან ზურგით მდგომმა, ვარდნაში ეფექტურად დაურტყა სოლოლაშვილს — „შუმახერამ“ გაჭირვებით გადააგდო ბურთი კუთხურზე. მერე კი მსაჯებმაც გაახალისეს მაყურებელი.

ჯერ იყო და გვერდით არბიტრს ალამი აუფრინდა ჰაერში და კარგა ხანს სდია მას, შემდეგ სათადარიგო მსაჯს ძალლი შეუჩნდა სარბენ ბილიკებზე და ელიკაშვილმაც ძლივს მოიცილა თავიდან დაუპატიჟებელი სტუმარი.

მასპინძელთა გაცუდებული მომენტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ჯობს, მეორე გოლზე ვთქვათ, რომელიც მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე გავიდა. მიშველიძემ უწყინარ სიტუაციაში მეტოქე მცველს ბურთი მოჰპარა და კიტეიშვილი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მან კი სწორი გადაწყვეტილება მიიღო — გვერდით მცველებს შორის ჩარჩენილ ინასარიძეს ისეთი პასი მისცა, თქვენი მოწონებული და მანაც წერტილი დაუსვა მატჩს.

# ოქრო თეფშზე

წყალტუბო
11 სექტემბერი
17.06 საათი
26 მაისი
1 000 (ტევადობა 12 000)

**სამგურალი 1:0 სიონი**

1:0 სუხიაშვილი (58პ)
სამგურალი: ო. ბობოხიძე, ჭელიძე, ფრანგიშვილი, ლ. ქობულაძე, ვოსკანოვი (ჯავახაძე 46), ძაგნიძე (კოხრეიძე 53), სუხიაშვილი, ი. ხაჭაპურიძე, ზ. ქუთათელაძე (ძოძუაშვილი 10), ფხაკაძე, ღონღაძე
*სათადარიგონი:* ბოდოკია; ზურაბიანი, ნებიერიძე, გაბლაია
სიონი: ვოლკოვი, დიმიტრიშვილი, სიდამონიძე, შაკიაშვილი, ნ. მინდიაშვილი, სოლოლაშვილი, მ. გოგოლაძე (დ. სვანიძე 85), დ. გოდერძიშვილი, მოსეშვილი, დათუაძე (მ. მინდიაშვილი 80), თ. სამხარაძე (ლ. გაგუა 66)
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; ყიფშიძე, დ. ჯაფარიძე, მ. სამხარაძე
გაფრთხილება: სოლოლაშვილი (18), სიდამონიძე (60), ფრანგიშვილი (63), ჭელიძე (64), კოხრეიძე (68), გოდერძიშვილი (90)
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); თ. გიორგაძე (სამტრედია)
სფფ-ის დელეგატი გ. ძამუკაშვილი

**დავით დათიაშვილი წყალტუბოდან**

დაუდგენელი მიზეზით თამაში ექვსი წუთის დაგვიანებით დაიწყო. ეს არაფერი, მთავარია დაძაბული, უკომპრომისო გამოდგა და მოვლენებს დავასწრებთ, „სამგურალმა“ ახალი მთავარი მწვრთნელის იასონ ბზიკაძის ხელში ზედიზედ მეორე გამარჯვება იზეიმა, რითაც „ა“ ზონის ლიდერთა მარაქაში გაერია.

მატჩი მასპინძელთა იერიშებით დაიწყო. მე-5 წუთზე სუხიაშვილმა მარცხენა ფრთიდან ჩააწოდა კუთხური. „სიონის“ საჯარიმოში ბურთს ქუთათელაძე დაეუფლა და უმალ ხაჭაპურიძეს გადასცა, მანაც მყისვე კარისკენ დაარტყა, ოღონდ სუსტად და მეკარეც იოლად დაეუფლა ბურთს. მე-17 და მე-18 წუთებზე წყალტუბოელთაგან ყველაზე გამორჩეულად მოთამაშე ხაჭაპურიძე კვლავაც აღმოჩნდა ყურადღების ცენტრში. ჯერ იყო და მის მიერ საჯარიმოში ჩაწოდებულზე ბოლნისელთა მეკარემ ძოძუაშვილს არ გაატანინა, მერე ირაკლიმ საჯარიმოდან დაარტყა ძლიერად და ბურთი ოდნავ გადააცილა ხარიხას. კიდევ ერთი საგოლე მომენტი მასპინძლებს 22-ე წუთზე ჰქონდათ. ძოძუაშვილი ვოლკოვთან პირისპირ გავიდა და ისევ გაბედულად ითამაშა მეკარემ, ძნელი ბურთი მოიგერია.

მეორე ტაიმს ძლიერი წვიმა დაერთო, თამაშიც უფრო გამოცოცხლდა. ბოლნისელებმაც შეუტიეს მეტოქეს. 51-ე წუთზე სოლოლაშვილის ჯარიმიდან დარტყმული „კედლიდან“ მოსეშვილს მიუვიდა, რომლის დარტყმის შემდეგ ბობოხიძემ აშკარა გოლისგან იხსნა თავისიანები. ორ წუთში უკვე ღონღაძე გავიდა ვოლკოვთან პირისპირ, მაგრამ უხეიროდ დაარტყა. გავიდა წუთიც და ნიკოლოზ მინდიაშვილის ჩაწოდებულს გოდერძიშვილმა ახლოდან კარგად შეაგება თავური, მაგრამ ბობოხიძეც კარგად გაისარჯა.

ამ მატჩში ერთადერთი გოლი პენალტიდან გავიდა. ბოლნისელთა საჯარიმოში ბურთისთვის დიმიტრიშვილი და ხაჭაპურიძე იბრძოდნენ, სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, მცველმა მაისურში დაქაჩა წყალტუბოელს და ისიც წაიქცა. მცირე პაუზის შემდეგ არბიტრმა 11-მეტრიანი ნიშნულისკენ მიათითა. სუხიაშვილმა ძლიერად დაარტყა და... რომ არა სველი მინდორი, ვოლკოვი მატჩის გმირად მოინათლებოდა. მეკარეს იღლიის ქვეშ გაუძვრა თითქმის აღებული ბურთი.

ამის შემდეგ ინიციატივას ბოლნისელები დაეუფლნენ. 66-ე წუთზე სათამაშოდ ახალშესული ლავრენტი გაგუას ძლიერად დარტყმული ბობოხიძემ აკრობატულ ნახტომში მოიგერია. ამას საპასუხო შეტევა მოჰყვა, ხაჭაპურიძე „სიონის“ საჯარიმოში უშიშრად შეებრძოლა მცველებს, ბურთიც აართვა მათ და სუხიაშვილს „დუბლის“ გაკეთების კარგი შანსი მისცა. არ გაუმართლა მასპინძელთა კაპიტანს, დარტყმა არაზუსტი გამოუვიდა.

ბოლოსკენ „სიონმა“ გააფთრებით შეუტია. ორჯერ სულ ახლოც იყო მიზანთან, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა.

ერთსაც გეტყვით. თამაშის შემდეგ ბოლნისელებმა სანატორიუმ „მეტალურგში“ ივახშმეს. იღბალი ჰქონია სანატორიუმის მზარეულს. კახა სიდამონიძემ საკუთარ თეფშში ნაპოვნი ოქროს ბეჭედი გაოგნებულ ქალბატონს უკან დაუბრუნა.

# გაიწი, მერანო!

ქუთაისი
11 სექტემბერი
17 საათი
ტორპედო
3 000 (ტევადობა 23 800)

**ტორპედო 3:1 მერანი**

1:0 იონანიძე (51), 2:0 ხვადაგიანი (72), 3:0 მეგრელაძე (75), 3:1 თოლორდავა (85)
ტორპედო: ჭანტურია, ახვლედიანი, ხვადაგიანი, ვ. მაისურაძე, შეყრილაძე, ჩხეტიანი (ვაჩიბერაძე 79), კ. კვეტენაძე, გოგიაშვილი, დ. ჯანაშია, მეგრელაძე, იონანიძე (მ. ბობოხიძე 82)
*სათადარიგონი:* სომხიშვილი; თავბერიძე, ამისულაშვილი, იმედაძე, თურმანიძე
მერანი: ნაჭყეპია, ივანიშვილი, ე. ალადაშვილი, პ. ლურსმანაშვილი, ხარებავა, ცქიფურიშვილი, ჯიშკარიანი (ბაჯელიძე 73), თოლორდავა, ბ. ამბიძე, დევიძე (როსტიაშვილი 28), ჭინჭარაული (კარიაული 82)
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; ლ. ამბიძე
გაფრთხილება: ივანიშვილი (23), მეგრელაძე (28), ცქიფურიშვილი (30)
მსაჯები: ა. შილაკაძე; ზ. დოლიძე, ლ. ფანიაშვილი (სამივე თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში)
სფფ-ის დელეგატი გ. ფირცხალავა

იუზა კაციტაძე ქუთაისიდან

კარგად მოგეხსენებათ, ორ დღეში რა მძიმე გამოცდაც ელის „ტორპედოს". ქუთაისელებმა უეფას თასზე ბერძნულ აეკ-ს უნდა უმასპინძლონ. მასპინძლობა რაა, ღირსეულად უნდა შეებრძოლონ მრავალნაცად მეტოქეს. ნახანძრალ და ახლადმონათლულ სტადიონზე „მერანთან" შინაური ჩემპიონატის მეოთხე ტურის მატჩს ქუთაისელები მოახლოებული მართლაც რომ საპასუხისმგებლო თამაშის გენერალურ რეპეტიციად განიხილავდნენ. დავით ყიფიანსაც შეგირდთა საქმეში ხილვის და სათანადო დასკვნების გამოსატანად ბოლო შესაძლებლობალა ეძლეოდა.

არაფერი უჩვეულო. „ტორპედომ" ნაცნობი ტაქტიკით დაიწყო: სამი მცველი, ხუთკაცა ნახევარდაცვა, ორი თავდამსხმელი. მასპინძლები უპირატესობასაც უმალ დაეუფლნენ. ტორპედოელთა შეტევების გასანეიტრალებლად „მერანს" თავიდანვე უკანდახევა მოუხდა. ტრანსპორტელები 8-9 კაცით იცავდნენ თავს და მთელი პირველი ტაიმი საკმაოდ მარჯვედაც. ყოველ შემთხვევაში, სტუმრებმა „მშრალად" შეინარჩუნეს საკუთარი კარი. ისე, ნულებიან ტაიმს „მერანი" თავის სიბეჯითესთან ერთად მეტოქის უილბლობასაც უნდა უმადლოდეს. მიუხედავად დაცვაში თბილისელთა თავგამოდებული თამაშისა, „ტორპედომ" გატანის სულ მცირე შვიდი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან. მოდით, ჩამოვთვალოთ.

მე-6 წუთზე გოგიაშვილმა მარცხნიდან ჯარიმა შეასრულა. კარგად ჩააზვია ბურთი სტუმართა საჯარიმოში, იონანიძე სამეკარეოს წინ იმყოფებოდა, თავურს შევაგებებო, მაგრამ ვერ მოასწრო. შვიდ წუთში ახვლედიანის მიერ წამოწყებული იერიში კვეტენაძემ ჯანაშიას მისამართით ზუსტი პასით გააგრძელა, ტორპედოელთა თავდამსხმელი მეტად ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა, საჯარიმოს შიგნიდან დაახლოებით 14 მეტრიდან დაარტყა კარში და... ნაჭყეპიამ იმარჯვა, მართლაც რომ ძნელი ბურთი მოიგერია. თამაშის მესამე ათწუთეულის ათვლას ტრანსპორტელთა კარზე მასპინძელთა ისეთი დაწოლა მოჰყვა, „მერანის" საჯარიმოში ცოდვა-მადლის გაკითხვა იყო, მაგრამ სტუმრები ზედიზედ ორჯერ გოლსაც გადაურჩნენ და ორჯერ პენალტსაც. 27-ე, მე-40 და 45-ე წუთებზე კი ნაჭყეპიას ოსტატობამ იხსნა „მერანი". მეკარემ ახვლედიანის და გოგიაშვილის დარტყმულები კუთხურზე გადააგდო, ხოლო მეგრელაძის მიერ თავურით დაბალ კუთხეში გაგზავნილს ბოლო წამს დააფარა.

შესვენებამდე სტუმრებსაც ჰქონდათ ორი შანსი. 43-ე წუთი იყო, როცა იშვიათი კონტრშეტევისას ჯიშკარიანმა საჯარიმოს კუთხიდან დაარტყა კარში, ქუთაისელთა ლიბერო ვასილ მაისურაძეს ბურთი ფეხებში გაუძვრა. კიდევ კარგი, ამ მომენტში ჭანტურიამ იმარჯვა და ბურთს დაეუფლა. უფრო ადრე კი შეცდა ქუთაისელთა გოლკიპერი, კარიდან გაუმართლებლად გამოვიდა წინ, ოღონდ როსტიაშვილმა ვერ შეძლო მეკარის დასჯა.

მთავარი მოვლენები ამ მატჩში, როგორც ხვდებით, შესვენების შემდეგ განვითარდა. სტუმრებს, იცოცხლეთ, ფრე ხელს აძლევდა, მაგრამ ახლა მასპინძლებისთვის გეკითხათ. ქუთაისელებს „დილასთან" დაკარგული ორი ქულა ვერ მოუნელებიათ და აგერ „მერანიც" ეჩხირებოდათ ყელში. თუმცა, ხუთი წუთიც და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. თამაშის განახლებისთანავე გოგიაშვილმა და მეგრელაძემ თითო მომენტი კი გააცუდეს, მაგრამ მერე ჯანაშიასგან მიღებული კვეტენაძემ „მერანის" საჯარიმოში რომ გაგზავნა, იონანიძე დაუხვდა ბურთს და შანსი ხელიდან აღარ გაუშვა, ახლოდან ზუსტად გაგზავნა კარში.

62-ე წუთზე ქუთაისელებს ანგარიშის გაორების ზედიზედ სამი შესაძლებლობა ჰქონდათ, ოღონდ ახვლედიანის კარის გასწვრივ გაგზავნილზე მეგრელაძემ ოდნავ დააგვიანა, გოგიაშვილის შორეული დარტყმის შემდეგ ბურთმა ხარიხას წაჰკრა, ჩხეტიანმა კი იონანიძის კარგი გადაცემით ვერ ისარგებლა, მიზანს მცირედით ააცილა. ათი წუთის დაგვიანებით „მერანმა" მაინც მიიღო მეორე გოლი. გოგიაშვილმა მარცხენა ფლანგიდან შეასრულა ჯარიმა. კარისკენ გაგზავნა. შორეულ ძელთან სხვებზე ადრე ხვადაგიანი გაჩნდა და ბურთს ფეხილა დაუხვედრა.

კარგად ჩაატარა ეს თამაში ნაჭყეპიამ. მხოლოდ ერთხელ შეცდა სტუმართა მეკარე და ეს შეცდომა „მერანს" მესამე გოლად დაუჯდა. როცა იონანიძემ თბილისელთა საჯარიმოში მეგრელაძეს გაუჭრა, ნაჭყეპიამ კარიდან გამოსვლა ვერ გაბედა, არადა პირიქით რომ მოქცეულიყო, ტორპედოელს აუცილებლად დაასწრებდა.

სამ წუთში იონანიძემ ზუსტი გადაცემით ჯანაშიაც დატოვა ნაჭყეპიასთან პირისპირ, მაგრამ იმარჯვა ამჯერად მეკარემ, ისევე როგორც მომდევნო ეპიზოდში, როცა მეგრელაძემ დაურტყა ახლოდან.

მეკარის თამაშზე გავამახვილეთ ყურადღება და ბარემ ნაჭყეპიას კოლეგა ჭანტურიაზეც ვთქვათ. 26 აგვისტოს უეფას თასის საპასუხო მატჩში ლანტანელი დოლინინის მიერ გატანილი გოლი თუ გახსოვთ? იმავე კარში, იმავე კუთხეში (ოღონდ დაბალ) ანალოგიურად თოლორდავამაც გაუტანა ქუთაისელთა მეკარეს. მერანელმა 25 მეტრიდან დაარტყა.

ტორპედოელთა მეკარის ორი აშკარა შეცდომა და ლიბეროს, ცოტა არ იყოს დაბნეული თამაში რომ არა, თამამად ვიტყოდით, მასპინძლები ამ მატჩში ურიგოდ არ გარჯილან. საუკეთესო რგოლად კი ნახევარდაცვას მოვიხსენიებთ. „ტორპედოს" შუახაზელები მართლაც კარგად გამოიყურებოდნენ. ჩვენი თუ არ გჯერათ, „ტორპედო" — „მერანზე" მოვლინებულ აეკ-ის მთავარი მწვრთნელის პირველ თანაშემწეს ანდრეას სტომატიადისს მაინც ენდეთ. ბერძენმა სწორედ რომ ჩხეტიანის, გოგიაშვილის, იონანიძის და ახვლედიანის თამაში მოიწონა.



არეულობა სტუმართა საჯარიმოში: ზურაბ იონანიძის თავურს მცველებმა თვალი გააყოლეს

# გულთმ-ისანი

თბილისი
12 სექტემბერი
17 საათი
ისანი
2 500 (ტევადობა 3 000)

**არსენალი 1:1 თბილისი**

0:1 რუხაძე (65პ), 1:1 კაკაშვილი (86პ)
მიქაძემ ვერ გაიტანა პენალტი (62, მეკარე)
არსენალი: ჩლაიძე, ცოტაძე, ასპინძელაშვილი, ლაცაბიძე, ჩალაძე, დაუშვილი (ირემაშვილი 46), ხოსროშვილი, თარგამაძე, ამირიძე (კაკაშვილი 67), გონჩაროვი (სულაძე 83), ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* კუპატაძე; რობაქიძე, ვ. ღუდუშაური
თბილისი: ა. ჩიხრაძე, რუხაძე, ხიზანიშვილი, აბრამიძე, ზამთარაძე, გველესიანი, ქემოკლიძე, ბურდული, ვალერი გაგუა (ი. შენგელია 54), გ. მიქაძე, ლ. მელქაძე
*სათადარიგონი:* ბედიაშვილი; ტყებუჩავა, კანდელაკი, ებრალიძე, ნორაკიძე, აფციაური
გაფრთხილება: დაუშვილი (30), მელქაძე (33), ჩლაიძე (61), ზამთარაძე (70), ხიზანიშვილი (85)
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ვ. ჩოჩიშვილი, ლ. სილაგავა (ყველა თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)
სფფ-ის დელეგატი: ა. მილჩენკო

ხვიჩა სანიკიძე

ჯერ მატჩზე მივლენილმა სფფ-ის დელეგატმა ანატოლი მილჩენკომ იგულთმისნა — შეხვედრის დაწყებამდე ერთი საათით ადრე საჯარიმოთა ზომებით დაინტერესდა და... ორივე მეტრით განიერი აღმოჩნდა. 20 წუთში ყველაფერი გასწორდა.

— წარმოიდგინეთ, პენალტი ზედ საჯარიმოს ხაზთან რომ დანიშნულიყო და მერე დაზარალებული გუნდის მწვრთნელს ზომები შეემოწმებინა, ხომ მოგვეჭრებოდა თავი — მითხრა მილჩენკომ. ასე რომ, პენალტი მატჩამდე 40 წუთით ადრე ახსენეს...

20 წუთში მოედანზე სავარჯიშოდ შესული ფეხბურთელებიდან თბილისელმა თორნიკე რუხაძემ მიიქცია ჩემი ყურადღება. თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან გასახდელისკენ მოზრდილი ნაბიჯებით მიდიოდა და ხმამაღლა ითვლიდა ერთი, ორი, სამი... იგივე მოქმედება სამჯერ გაიმეორა. აქაც პენალტის წინათგრძნობა და... შეხვედრის მეორე ტაიმში 4-ჯერ დაირტყა თერთმეტმეტრიანი. მეორე ნახევარი მართლაც კარგი საცქერი გამოდგა.

პირველ 45 წუთს კი, უნდა შევთანხმდეთ, თითქმის არაფერი მომხდარა ისეთი, თქვენი ყურადღების შეჩერებად ღირდეს. ისე, „თბილისმა" მეტოქეზე უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა.



არსენალელები თემურ ჩლაიძე და გურამ ასპინძელაშვილი (№3) მსაჯ ალექსანდრე კრიჭაშვილის გადაწყვეტილებას აპროტესტებენ

მეორე ტაიმი სტუმართა შეტევებით დაიწყო. თუმცა ბურდულისა და მიქაძის სახიფათო გარღვევებს მასპინძლებმა კონტრიერიშებით უპასუხეს — ტარიელაშვილმა ორჯერ ვერ შეძლო მეკარე ჩიხრაძის გაცურება. 61-ე წუთიდან კი „თბილისმა" შტურმი მოაწყო.

აბრამიძის პასი უხერხულად ჩაჭრა ასპინძელაშვილმა და ბურთმა მაინც მიაღწია საჯარიმოში მყოფ მიქაძემდე. მიქაძეს „არსენალის" მეკარე ჩლაიძე ჩაუხტა ფეხებში და თავდამსხმელი ძირს დასცა... პენალტის დარტყმა დაზარალებულმა ითავა. დაბალი ბურთი მეკარისგან მარჯვენა კუთხეში კი გააზვია, მაგრამ მიქაძის თანაგუნდელებმა დროზე ადრე შეირბინეს საჯარიმოში და კრიჭაშვილმა თერთმეტმეტრიანის გამეორება მოითხოვა.

ბურთთან კვლავ მიქაძე მივიდა. ამასობაში ჩლაიძესთან ხოსროშვილმა მიირბინა და რაღაც ჩასჩურჩულა. აშკარად ეტყობოდა, ისევ იმ კუთხეში დარტყმა იწინასწარმეტყველა ხოსროშვილმა და მეკარესაც მარჯვნივ გადახტომა ურჩია. ისე ყველაფერი კარგი აგიხდეთ, როგორც არსენალელს აუხდა წინათგრძნობა. მიქაძემ კუთხე არ გამოცვალა და ჩლაიძემაც თავგანწირულ ნახტომში მოიგერია, მისი ხელიდან ბურთი ძელს მოხვდა და უკან დაბრუნდა. დამატებაზე მიქაძეს მცველმა ლაცაბიძემ დაუფარა. სულ რაღაც წამებში მელქაძემ დაარტყა კარისკენ, კვლავ ჩლაიძემ იმარჯვა. ბურთი ისევ „თბილისს" დარჩა და მიქაძე აღმოჩნდა კარგ პოზიციაში. ჩლაიძემ მისი დარტყმულიც მოიგერია, თუმც მასპინძლებმა ვერა და ვერ განმუხტეს დაძაბულობა. მარცხენაფლანგელ მცველს, ჩალაძეს რუხაძემ აართვა ბურთი და საჯარიმოში სწრაფად შეიჭრა. ლაცაბიძემ წესების დარღვევით მოახერხა მისი შეჩერება და კვლავ პენალტი...

ეს 65-ე წუთზე მოხდა. ხოსროშვილი ამჯერადაც მივიდა ჩლაიძესთან და რამდენიმე სიტყვა შეაწია, მაგრამ... თერთმეტმეტრიანი რუხაძემ მიქაძისდარად მეკარისგან მარჯვენა კუთხეში დაარტყა, ჩლაიძე კი საპირისპირო მხარეს გადახტა. როცა წამოდგა, თავში შემოირტყა ხელები, თავის საქციელს ნანობდა. ეტყობოდა, ხოსროშვილის გულთმისნობას აღარ გაუწია ანგარიში.

ისე, ამ პენალტს „არსენალი" პროტესტით შეეგება. იყო ერთი გაწევ-გამოწევა, თუმცა „დასაშვებ" ფარგლებში.

იმას ვეღარ დავიჩემებ, რომ მასპინძელთა თავკაცმაც იგულთმისნა, როცა მოედანზე თავდამსხმელი კაკაშვილი შეიყვანა და ნახევარდაცვაში გაამწესა, მაგრამ ფაქტია — კუთხურების ჩაწოდება სწორედ ტანმაღალ კაკაშვილს დაავალა და არა სხვა უფრო ტანმორჩილს. 86-ე წუთზე კაკაშვილის მიერ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი თბილისელთა მცველ აბრამიძეს ხელზე მოხვდა და... კრიჭაშვილის დანიშნული მორიგი პენალტი ამჯერად სტუმრებმა გააპროტესტეს ამაოდ. კაკაშვილმა თერთმეტმეტრიანი დარტყმა გოლად აქცია — 1:1.

დაძაბულ მეორე ტაიმს მსაჯმა 4 წუთი დაამატა. სწორედ ამ დროში გადარჩა „არსენალი" წაგებას და კრიჭაშვილი — უსიამოვნებას.

თბილისელმა მელქაძემ მოწინააღმდეგის საჯარიმოსთან ბურთი ხელით გაისწორა და ჩლაიძეს მოჭრილი დაურტყა. ბურთი ძელს მოხვდა, კარის ხაზის გასწვრივ გაგორდა, მეორე ძელს ჩაუქროლა და პირითი ხაზი დატოვა. კიდევ კარგი, გოლი არ გავიდა, თორემ მერე გენახათ სკანდალი...

საინტერესო თამაში გამოდგა, რა თქმა უნდა, გულთმისნების დახმარებით...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეგზოტიკური ფრე

თბილისი
11 სექტემბერი
17 საათი
ეროვნული
1 500 (ტევადობა 75 000)

**ლოკომოტივი 0:0 ბათუმი**

ლოკომოტივი: ასლანაძე, ბალაშვილი, გ. ჩიხრაძე, ბაქრაძე, ლ. მიქაძე, ბერაძე, ქობულაძე, კაციაშვილი, გოგიჩაიშვილი, ქებაძე, რუსია (შავგულიძე 80)
*სათადარიგონი:* დოლაბერიძე; ჩაჩუა, ბარამიძე, ვ. გველესიანი, კ. მელქაძე
ბათუმი: ტოგონიძე, პაპიძე, ზ. არჩვაძე, მ. მახარაძე, თედორაძე, ქაცარავა (სიხარულიძე 46), ა. მუჯირი (რომანაძე 46), კობიძე, გელა ქორიძე, ტულუში, მაჭუტაძე (გადელია 89)
*სათადარიგონი:* მალაყმაძე; მინდაძე, აფხაზავა, უვაკვე
გაფრთხილება: ქაცარავა (38), მიქაძე (42), პაპიძე (59), მაჭუტაძე (70)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი); ე. მესხი (ზუგდიდი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ზ. ხუციშვილი (დმანისი)
სფფ-ის დელეგატი: ნ. ამირეჯიბი

ვახტანგ ბზიკაძე

მას მერე, რაც ბოსკამპი ლეიონგითურთ ბელგიას აბარგდა, „ბათუმი“ ერთადერთი გუნდია სკამზე უცხოელები რომ უზის.

ნიგერიელი უჩე უვაკვე გაზაფხულს აქეთ ბათუმშია, მაგრამ ოფიციალურ მატჩებში ერთბაშად ორი მატჩიც არ უთამაშია.

ამ ზაფხულს კი ბათუმელთა სათადარიგო სკამი მთელს პოსტსაბჭოეთში ყველაზე ეგზოტიკური გახდა — ზღვისპირელები გასაწვრთნელად იტალიელმა ჯანი კარნავალემ ჩაიბარა.

კარნავალეს იტალიურ კარიერაზე ბევრი არაფერია ცნობილი, მაგრამ, რაც საქართველოშია, საყვედურს ძნელად თუ ვინმე შეჰკადრებს.

„ბათუმმა“, „დინამო“ დაამარცხა, „თბილისთან“, „ვიტ ჯორჯიასთან“ და „ლოკომოტივთან“ კი არ დამარცხებულა. მართალია, ოთხ მატჩში ორადორჯერ გაიტანა, სამაგიეროდ ერთადერთხელ გაუშვა.

ჭეშმარიტად იტალიური საქციელია, დაცვა გააძლიერო, მეტოქეს საკუთარ ნახევარზე ეთამაშო და ელოდო შანსს, რათა მოწინააღმდეგე კონტრშეტევაზე გემოიჭირო.

რა იყო სხვა მატჩებში? თითქმის იგივე. თუმცა, შაბათს ბათუმელებს ნამეტანიც მოუვიდათ — ამ გუნდს ასე არ სჩვეოდა, სტუმრებმა ასლანაძეს ერთადერთხელ დაურტყეს: ქორიძის თუმც კი მალულად, მაგრამ სუსტად დარტყმული მეკარემ იოლად აილო.



ბადრი კოთოლაძის ფოტო

თითებმოტეხილი ჯანი კარნევალე

ასლანაძე უქმად იყო, სამაგიეროდ ნიკა ტოგონიძეს არ ჰქონდა მოსვენება. ცხადია, ბათუმელთა მეკარეს მცველებიც ეშველებოდნენ, მაგრამ ტოგონიძე ლოკომოტიველებს მაინც ერთთავად დაძაბული ჰყავდათ.

პირველ ტაიმში ტოგონიძემ ქებაძეის თავური აილო. სხვა რამ საინტერესო კი პირველ ნახევარში არც „ლოკომოტივს“ შეუქმნია.

თამაშის განახლებას კარნავალე ორი შეცვლით შეეგება, მაგრამ ამან სიტუაცია ვერ გააუმჯობესა. მიქაძე, ქებაძე, ქობულაძე, რუსია, ჩიხრაძე ჟამიდანჟამ ლამობდნენ სტუმართა კარის დალაშქვრას.

„ლოკომოტივი“ გოლთან ყველაზე ახლოს 57-ე წუთზე იყო, როცა ბაქრაძემ ქობულაძის დატოვებული ბურთი შორეულ კუთხეში დაარტყა — ტოგონიძეს მხსნელად პაპიძე მოევლინა, რომელმაც „ბათუმი“ გოლს გადაარჩინა.

ზღვისპირელებმა წაუგებელი სერია გააგრძელეს. იქნებ ამან დაუამოს კარნავალეს არასაწარმო ტრავმა, რომელსაც მარჯვენა ხელის ორი თითი თაბაშირში აქვს.

თვითმხილველთა თქმით, ემოციურ იტალიელს ხე ჰგონებია და ხელი რკინაზე დაუკრავს...

„ბათუმი“ რომ კმაყოფილი დარჩა, აბა „ლოკომოტივის“ იკითხეთ. ასეთი უპირატესობის ვერგამოყენება საპატიო ნამდვილად არაა. მითუმეტეს, რომ ხუთშაბათს თბილისელები უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალში პაოკ-ს მასპინძლობენ. პაოკ-ი კი „ლოკომოტივს“ ასე რბილად არ ეთამაშება.

ისე, პაოკ-ის მწვრთნელს სტავროს სარაფისს რომ ჰკითხოთ, მურთაზ ხურცილავამ თამაში დამალა...

ბადრი კოთოლაძის ფოტო



ლევან მიქაძე პაატა მაჭუტაძისა (№9) და ამირან მუჯირის წინააღმდეგ

# თამაში — არა, შედეგი — კი

ფოთი
11 სექტემბერი
17 საათი
ფაზისი
1 000 (ტევადობა 6 000)

**კოლხეთი 1:0 იბერია**

1:0 ტორჩინავა (57)
ტორჩინავამ ვერ გაიტანა პენალტი (57, მეკარე)
კოლხეთი: გვასალია, გოროზია (ქუნთელია 20), ტორჩინავა, გ. გიორგაძე, პაპავა, ტრაპაიძე, მ. მელაძე, ხუჭუა, კედელაშვილი, ლაღანიძე, ბულუხია (დ. გოგოლაძე 66)
*სათადარიგონი:* ქვაჩახია; ჯღარკავა, ჭოხონელიძე, ანჯაფარიძე, ბურკვაძე
იბერია: გ. დოლიძე, ბიწაძე, ქველაძე, გეგეშიძე, მიქელთაძე, მუმლაძე, მ. ჯინჭარაძე (დარსაძე 81), გ. ლურსმანაშვილი, ნიკოლეიშვილი, ივერიანი (ხურციძე 36), ზ. მეტრეველი
*სათადარიგონი:* ვარდანიძე; ნ. გიორგაძე, ლ. გიორგაძე, ხმალაძე, ჟვანია
გაფრთხილება: მეტრეველი (16), კედელაშვილი (72)
მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); დ. სანაია (სოხუმი), ზ. ჯვარიძე (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი)
სფფ-ის დელეგატი მ. ლაცაბიძე

გოჩა ჯანაშია ფოთიდან

წავიდა ჰეე, ის ცხოვრება აღარ არის და არც შაბათს „ფაზისზე“ დაპირისპირებული გუნდები არიან ისეთები, როგორებიც იყვნენ. ცუდი დროება უდგათ როგორც „იბერიას“, ასევე „კოლხეთს“.

არა, გასული სეზონის შემდეგ ერთობ იერშეცვლილ იმერლებს, კაცი მეტს ვერაფერს მოსთხოვს, ასაკის კვალობაზე რაც შეუძლიათ, აკეთებენ. თანაც, ძმები გიგიაძეების წასვლა, უდავოდ დიდი დანაკლისი გამოდგა და სოსო ფრუიძეს დრო სჭირდება გუნდის შესათამაშებლად. ისე კი, ამ სუსტ „ბ“ ჯგუფში ბოლო ადგილი მათთვის დიდი ვერაფერი ნუგეშია.

მოკლედ, სამტრედიელთა შეჭირვებული ყოფა გასაგებია, მაგრამ „კოლხეთს“ რაღა დაემართა? უდავოა, ასეთი სუსტი გუნდი ფოთში, კარგა ხანია არ უნახავთ, წლევანდელი „კოლხეთი“, შარშანდელის და, მითუმეტეს, უფრო უკანდელის, აჩრდილიღაა დარჩენილი. იმერლებისა არ იყოს, აქაც ბევრი ცვლილება მოხდა. შემადგენლობაც საკმაოდ გადახალისდა. მიუხედავად ამისა, მაინც ძნელად ასახსნელია ზღვისპირელთა ასეთი სუსტი გარჯა.

კლუბის თავკაცებსაც ეტყობა მობეზრდათ ასეთი სიტუაცია და გუნდის გაძლიერებაც გადაუწყვეტიათ. აკი, რამდენიმე ახალი სახეც დავლანდეთ, სტადიონზე მოსვლისას. როგორც გაირკვა, „კოლხეთში“ თამაშს რუსეთიდან დაბრუნებული კიკლიაშვილი და ტერნოპოლის „ნივადან“ გამოსყიდული დავითნიძე აპირებს. ოღონდ ეგ არის, რომ მათი [illegible] ცება [illegible]. ამათ გარდა, ფოთში ჯონი მალამბერიძე და [illegible] პირველი, [illegible] ჟის შემდეგ სავარაუდოდ „კოლხეთში“ გააგრძელებს თამაშს. აი, მეორეს საკითხი ჯერ კიდევ ბურუსითაა მოსილი. დარჩება თუ არა გვასალია თავის ყოფილ გუნდში, ამას დრო გვიჩვენებს.

სანამ ესენი ითამაშებენ, კოლხებმა „ფაზისზე“ ჩატარებული სამი თამაშიდან, მეორედ მოიგეს. თუმცა, ვაი ასეთ მოგებას. თვით თამაში დიდად უინტერესო გამოდგა. ჩვეული დაბალი ტემპი, საგოლე მომენტთა სიმწირე და ერთადერთი კინკილა გოლი, რომელიც საეჭვო პენალტის დანიშვნას მოჰყვა.

პირველ ტაიმში ორად-ორი ეპიზოდის გახსენება თუ ღირს. პირველი, ტაიმის შუაწელისთვის კოლხთა შორის გამორჩეულმა ტრაპაიძემ შექმნა. მან ჩვეულად წაიდრიბლინგა მარცხენა ფლანგზე და ძლიერადაც დაარტყა კიდეც — გუბაზ დოლიძემ ბურთი კუთხურზე მოიგერია. მეორე ეპიზოდი ცოტა მოგვიანებით იშვა, როცა კედელაშვილის საჯარიმოში ჩაწოდებულს მელაძის [illegible] თავური მოჰყვა.

თამაშის განახლებას დიდი არაფერი შეუცვლია. „კოლხეთი“ კვლავ [illegible]ბილოდ უტევდა, მეტოქეც თავს იოლად იცავდა. თუმცა, 57-ე წუთზე მატჩის ერთადერთი გოლი გავიდა. საჯარიმოში ბიწაძესთან ჭიდილში ხუჭუა დაეცა და მეშკოვმა ხელი პენალტის ნიშნულისკენ გაიშვირა. იმერელთა პროტესტმა არ დააყოვნა, მაგრამ ამით რა? ბუნებრივია, მსაჯი შეუვალი აღმოჩნდა. ამ საეჭვო პენალტის დარტყმა ტორჩინავამ ითავა. თითქოს სამართალმა პური ჭამაო და დოლიძემ პენალტი მოიგერია, მაგრამ მოგერიებულს ისევ კოლხთა [illegible] რომ მიუსწრო და გაიტანა. კიდევ [illegible]

ამის შემდეგ „იბერია“ დაფაცურდა, თამაშის გადარჩენა ყოველნაირად სცადა, ინიციატივაც ხელთ იგდო და [illegible]რგა გვარიანად ანერვიულა სტადიონზე მოსული ფოთელი ქომაგნიც. თუმცა, მიუხედავად ამისა ვერც საკმაოდ არეულ კოლხთა მცველებს დასტყუა რაიმე და ვერც მამუკა გვასალიას, რომელმაც ბოლო წუთისთვის გიგა ნიკოლეიშვილის ეფექტურ დარტყმას ლამაზი ნახტომი შეაგება, თორემ გოლი გარდაუვალი ჩანდა.

ასე თუ ისე, „კოლხეთმა“ მნიშვნელოვანი სამი ქულა აიღო. მართალია, თამაშის ხარისხი ისეთი არ იყო, როგორიც უნდა, მაგრამ შედეგი? შედეგი ხომ არის. ჰოდა, ჯერჯერობით ესეც კმარა.

# კარში მაინც დაარტყით!

ხობი
12 სექტემბერი
17 საათი
კოლხეთი
1 000 (ტევადობა 12 000)

**ხობი 0:0 მერანი**

ხობი: ნიქაბერიძე, ონიანი, ზ. კვეკვესკირი, ვ. ალანია, გედენიძე, ხურცილავა (ქაშიბაძე 75), გოგიტაძე, ლ. გვაზავა, ლ. ბუკია, ჭიჭინაძე (დ. დანელია), ზაზა აიანადი
*სათადარიგონი:* ბაბუაძე; ჯამბურია, ტყებუჩავა, ვართაგავა, ჯიქია
თსუ: მერლანი, სვანაძე, ნინუა, ახალაძე, ფარქოსაძე (გ. გვაზავა 85), წუწუნავა, მესხი (ჯობაძე 58), ადამია (ბ. ნოზაძე 76), თ. ბოკერია, ერაძე, დ. არჩვაძე
*სათადარიგონი:* გუგუნავა; ინწკირველი, შ. მახარაძე
გაფრთხილება: არჩვაძე (38)
მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი), ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); ნ. რუსიშვილი (ქუთაისი)
სფფ-ის დელეგატი: ა. დურსუნიში

თენგიზ ძოწუა ხობიდან

სანაკრებო ციებ-ცხელების შემდეგ ჩვენი ქვეყნის სტადიონებიც გამოცოცხლდა და ესოდენ „მონატრებული“ ფეხბურთიც გვეწვია.

ხობში მეტად პრინციპული შეხვედრა გაიმართა. სტუმრებს აქამდე ჯერ წაგება არ ჰქონდათ ნაგემნი, თუმცა არც გამარჯვების სიხარული განეცადათ; სამივე შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით 1:1 ჰქონდათ დამთავრებული. აი, ხობელებმა კი სამ შეხვედრაში მოგებაც მოახერხეს, ფრეც და წაგებაც.

ვინაიდან ეს შეხვედრა კვირას გაიმართა, მეტოქეებმა უკვე იცოდნენ წინა დღის შეხვედრათა შედეგები და აქედან გამომდინარე ცხადი შეიქმნა, ვინც ამ მატჩში გაიმარჯვებდა, ჯგუფში მეორე საფეხურზე აინაცვლებდა.

სანამ მატჩის შესახებ ვისაუბრებდეთ, ერთი ახალი მოვლენის შესახებ ვთქვათ, მით უმეტეს, როცა ეს მთავარი მწვრთნელის ცვლილებას ეხება. დიახ, ხობელთა გუნდს ახალი თავკაცი ჰყავს — ჯონი აბაიშვილი.

არა, ნუ ჩაიხედავთ ძველ გაზეთებში ან არქივში. ეროვნულ ჩემპიონატში ეს სახელი არაფერს გეტყვით. ბატონ ჯონის უფრო ძველი თაობა თუ გაიხსენებს. ის თაობა, რომელსაც ახსოვს 60-70-იანი წლების თბილისისა და ბათუმის „დინამო“, თბილისის ტტუ, ლანჩხუთის „გურია“ და რუსთავის „მეტალურგი“.

ხობელთა ახალ თავკაცს ეროვნულ პირველობაზე კი მხოლოდ „ზოოვეტში“ უმუშავია, ისიც ელგუჯა გუგუშვილის თანაშემწედ. ეს იყო და ეს.

„კოლხეთის“ ხელმძღვანელობას ჯონი აბაიშვილი რუსთავში მარცხის შემდეგ შეუგულებიათ სამწვრთნელოდ. მუშაობას კი სტუდენტებთან ჩასატარებელ მატჩამდე 3 დღით ადრე შესდგომია თბილისელი მწვრთნელი. გუნდის ყოფილი თავკაცი ფრიდონ გოცირიძე კი მეორე მწვრთნელად ჩამოქვეითდა, თუმცა ამ მატჩზე გუნდი აწ უკვე ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა გამოიყვანა.

თვით შეხვედრა კი მეტად უცნაურად წარიმართა. მასპინძლები პირველი წუთებიდანვე შეეცადნენ ინიციატივა ხელში ჩაეგდოთ და შეძლეს კიდეც. ხობელთა უპირატესობა მოედნის ცენტრში აშკარა იყო. ყველა ორთაბრძოლას იგებდნენ და ხშირადაც უტევდნენ, მაგრამ ბოლო ფაზაში ისე უსუსურად ირჯებოდნენ, კაცს გაფიქრებინებდა — ესენი გოლის გამტანნი არ არიანო.

ჯერ ხურცილავას შეეძლო თავი გამოეჩინა, ახლო მანძილიდან ცდილობდა თავურით დარტყმას, მაგრამ კარს დიდი მანძილით ააცილა.

ტაიმის ბოლოს მასპინძლები კიდევ უფრო გააქტიურდნენ. სტუდენტები უკვე ველარ უძლებდნენ მოწინააღმდეგის შეტევებს და სახიფათო მომენტებიც იქმნებოდა, მაგრამ...

ლევან გვაზავამ მარჯვენა ფლანგზე სამი ფეხბურთელი მოატყუა, ცენტრისკენ გადმოინაცვლა და საჯარიმოს ხაზიდან ძლიერად დაარტყა მაგრამ სტუმართა მეკარე მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

გელა გედენიძესაც შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ თავურით ძლიერად დარტყმული ბურთი მერლანმა დიდი გაჭირვებით ჩამოხსნა „ცხრიანიდან“.

მეორე ტაიმიც პირველის მსგავსად დაიწყო. ხობელები კვლავ ფლობდნენ სათამაშო და ტერიტორიულ უპირატესობას, ხოლო სტუმრები კვლავ კონტრშეტევების იმედზე იყვნენ.

მატჩის უცნაურობა იმაში გამოიხატებოდა, რომ მთელი 90 წუთის განმავლობაში თამაში სტუმართა ნახევარზე მიმდინარეობდა; თბილისელთა კონტრშეტევებს, რომლებიც ხანდახან სახიფათოდ გამოიყურებოდა, როინ ონიანი ადვილად კითხულობდა და ანეიტრალებდა და ამის გამო თსუ-ს მთელი მატჩის განმავლობაში ხობელთა კარისკენ ძლიერად ერთხელაც არ დაურტყიათ. მაგრამ, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ვერც მასპინძლებმა შეძლეს ასეთი უპირატესობის გამოყენება და მეორე ტაიმში ერთადერთი საგოლე მომენტი შექმნეს და ისიც უშედეგოდ.

65-ე წუთზე ხურცილავა დარჩა მეკარესთან პირისპირ და თავზე სცადა ბურთის გადაგდება. ეს კი მოახერხა, მაგრამ კარსაც ააცილა.

ცალ-კარა თამაში 0-0 დასრულდა, რითაც მასპინძლები უკმაყოფილონი დარჩნენ, მაგრამ...

ისე, მსაჯობაზე ორივე გუნდმა გამოთქვა პრეტენზია, მაგრამ „შავოსნებს“ იმ დღეს „შავი საქმე“ არ ჩაუდენიათ და ნამდვილად ნორმალურად იმსაჯეს.

მატჩის შემდეგ ჯონი აბაიშვილმა აღნიშნა: „დღეს 11-ის ნაცვლად ფაქტობრივად 8 კაცით ვითამაშეთ. ალანია, ხურცილავა და ჭიჭინაძე მოედანზე რას აკეთებდნენ, ვერ გავიგე. საერთოდ არ იყო სათამაშო დისციპლინა. რომ არა კვეკვესკირისა და ონიანის საიმედო თამაში, არ ვიცი რა მოხდებოდა. გუნდში ნორმალური თავდამსხმელი რომ პრობლემაა, დღესაც კარგად გამოჩნდა. შეცვლების გაკეთების უფლება ფრიდონ გოცირიძეს მივეცი. აქ კი მან შეცდომები დაუშვა, აშკარად დააგვიანა, მიუხედავად იმისა, რომ მე სხვანაირად ვურჩიე. მსაჯობაზე კი რა გითხრათ? ისე მსაჯობდნენ, თითქოს ჩვენ ვიყავით სტუმრები.

რა ვქნა, ამ სამი დღის განმავლობაში მეტი ვერ მოვასწარი. ფრიდონ გოცირიძისგან დახმარებას ველოდი, მაგრამ კაცი ნაწყენია და...“

ჰო, მართლა. თამაშს ქუთაისიდან ჩამოსული სტუმრებიც ესწრებოდნენ. დავით ყიფიანი და მიხეილ ქორქია თამაშს ლოჟიდან ადევნებდნენ თვალს. ბერძნულ აეკ-თან დაპირისპირების შემდეგ ჩვენს პირველობაზე ქუთაისელებს ორი საგარეო შეხვედრა ელით. 20 სექტემბერს თსუ-ს სტუმრობენ, ექვსი დღის მერე კი ხობს ეწვევიან. იმერლებმაც, მომავალ მეტოქეთა დასაზვერად ამაზე უკეთეს მომენტს ალბათ ვერ ვიპოვითო და ხობში ჩასვლა არ დაიზარეს.

# სტავროს სარაფისი

## ბერძენი მზვერავი ქართულ რკინიგზაზე

*საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მე-4 ტურის ცენტრალურ შეხვედრას თბილისის „ლოკომოტივსა“ და „ბათუმს“ შორის ბერძნული პაოკ-ის მენეჯერი სტავროს სარაფისი დაესწრო. სალონიკელი სტუმარი სამთავრობო ლოჟაში რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის გვერდით მოკალათდა და მთელი 90 წუთის განმავლობაში დიდი ყურადღებით აკვირდებოდა მატჩის მსვლელობას. ტაიმებს შორის შესვენებაზე სარაფისმა მობილურ ტელეფონზე ისაუბრა. მან კარგა ხანს ილაპარაკა მშობლიურ ენაზე და როცა საქმეს მორჩა, ქართული მხარის დახმარებით ლოჟაში შესულ ალექსანდრე ჩივაძეს გაეცნო... ამასობაში მეორე ტაიმი დაიწყო და პაოკ-ის მენეჯერმაც დაზვერვა განაგრძო. მატჩის შემდეგ სტავროს სარაფისი რამდენიმე კითხვაზე საპასუხოდ შევაყოვნეთ.*



ბადრი ქეთილაძის ფოტო

სტავროს სარაფისი

**— შთაბეჭდილებას ხომ არ გაგვიზიარებთ?**

— რა გითხრათ, ნორმალური თამაში იყო. ვფიქრობ, შეხვედრა პრინციპული არ იყო და არც გუნდებს გამოუდვიათ ზედმეტად თავი. თქვენებმა, ალბათ, უწყოდნენ ჩემი ჩამოსვლის ამბავი და დარწმუნებული ვარ, ბოლომდე არ გაიხსნენ, რაღაცეები დამიმალეს. არა უშავს, ამას ველოდი.

**— „ლოკომოტივზე“ რას გვეტყვით?**

— საკმაოდ ტექნიკური გუნდია და, ალბათ, მეტიც შეუძლია. რა იქნება, ვნახოთ. თქვენების რეალური ძალა ხუთშაბათს გამოჩნდება. უდავოდ უკეთესი გაიმარჯვებს.

**— რომელმა ფეხბურთელებმა მიიქციეს თქვენი განსაკუთრებული ყურადღება?**

— ყველაზე მეტად მე-9 (ქებაძე), მე-8 (გოგიჩაიშვილი) და მე-2 (ბალაშვილი) ნომრით მოთამაშენი დამამახსოვრდნენ. მათთან სიფრთხილე გვმართებს.

**— ახლა პაოკ-ზე გვითხარით რამე.**

— კარგი გუნდი გვყავს. მეტი რა გითხრათ, თავადაც ნახავთ.

**— გავიგეთ, ბევრი ახალწვეული გყავთ.**

— საკმაოდ. წლეულს 12 ახალი ფეხბურთელი მოვიყვანეთ. მათ შესაძენად 7-8 მილიონამდე დოლარის დახარჯვამ მოგვიწია. ძველი შემადგენლობიდან მხოლოდ 4 წევრიღა შემოგვრჩა. ახალწვეულები სამხრეთ ამერიკის, აფრიკისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან არიან.

**— კოლუმბიელი ადოლფო ვალენსია როგორ ფორმაშია?**

— დასაწყისისთვის ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა. იმედია, კიდევ მოუმატებს.

**— ომარ თეთრაძე?**

— მისი შეძენით კმაყოფილები ვართ, პაოკ-ის ბოლო ორ მატჩში ითამაშა და კარგ ფორმაშია.

**— გუნდის თავკაცზე, ჰოლანდიელ არი ჰაანზე ბევრი კარგი გვსმენია.**

— მართლაც ჩინებული სპეციალისტია. მასთან წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გვაკავშირებს და ამ ვადის გახანგრძლივებაზე ვფიქრობთ.

**— თბილისში გულშემატკივრებსაც იახლებთ?**

— ჩვენ ჩარტერული რეისით მოვფრინავთ. თვითმფრინავში გუნდიანად 100 კაცის მოთავსება იქნება შესაძლებელი. ალბათ, რამდენიმე ათეული ქომაგი გამოგვყვება.

საუბრის დროს დამაინტერესა, ჰქონდათ თუ არა ნანახი ბერძნებს „ლოკომოტივი“ — „ლინფილდის“ შეხვედრის ვიდეოჩანაწერი. ამ საქმეში სარაფისის ქართველმა მეგზურმა, რკინიგზის დეპარტამენტის თანამშრომელმა ნუგზარ ცომაიამ გამარკვია.

— კასეტას ჩვენ ვატანთ ბერძენ სტუმარს. უფრო სწორად კი, გაცვლა მოხდება — პაოკ-ის მენეჯერმა თავისი გუნდის ერთ-ერთი ბოლო სათასო შეხვედრის ვიდეოჩანაწერი ჩამოგვიტანა — მითხრა ბატონმა ნუგზარმა.

ვიდეოინფორმაციები კი გაიცვალა, მაგრამ ბერძნებს მაინც უპირატესობა აქვთ — პაოკ-ის მზვერავმა ხომ უშუალოდ იხილა „ლოკომოტივის“ თამაში.

**ხვიჩა სანიკიძე**

# ძრწოდეთ, მეკობრეებო!

## საფეხბურთო ტელეეთერი ფედერაციის გარეშე გადანაწილდა

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივა, 300 000 დოლარად გაეყიდა თავისი ეგიდით გამართული მატჩების ტელეტრანსლაციის უფლება, ინიციატივად დარჩა. პროექტის თანახმად, ფედერაცია 300 000 დოლარად ყიდდა ეროვნული ნაკრების საშინაო თამაშების, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებისა და ტურის მიმოხილვის, თბილისში მოყვარულ ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი და საქართველოს თასის შეხვედრების ტრანსლაციის და ამ ტრანსლაციების დროს რეკლამის განთავსების უფლებას. თავის მხრივ, მყიდველ ტელეკომპანიას თავის თავზე უნდა აეღო ტელეტრანსლაციის ორგანიზება, უმაღლესი ხარისხის ჩვენება და ეთერში ფედერაციის ლოგოს უფასოდ განთავსება. როგორც ფედერაციის გენმდივანმა ვალერი ჩოლარიამ „სარბიელს“ აპრილის ბოლოს განუცხადა, პროექტით ორი ქართული და ერთი უცხოური ტელეკომპანია იყვნენ დაინტერესებული. ჩოლარიასვე თქმით, ფედერაციის პარტნიორი ტელევიზია აგვისტოს ბოლომდე გაირკვეოდა.

შემოდგომის დასაწყისისთვის მართლაც ძალიან ბევრი რამ გაირკვა. უპირველესად ის, რომ საქართველოს არც ერთმა ტელეკომპანიამ არ ისურვა ფედერაციისთვის 300 000 დოლარის გადახდა. საფეხბურთო ტელეეთერი ისე გადანაწილდა, ფედერაციას ამაში მონაწილეობა არ მიუღია.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ფედერაციის შუამავლობის გარეშე გახდა უეფას პარტნიორი და ჩემპიონთა ლიგის თამაშების ტელესიგნალის ექსკლუზიური გამავრცელებელი საქართველოში. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ფედერაციის მონაწილეობით ანალოგიური პროექტი გაცილებით იაფი ღირს, ვიდრე უეფასთან დამოუკიდებლად მოლაპარაკება. ბუნებრივია, თანხა, რომელიც „რუსთავი 2“-მა უეფას გადაუხადა, კონფიდენციალურია, თუმცა მაგალითისთვის გეტყვით, რომ რუსულ ჟურნალ „დენგის“ მონაცემებით რუსული ტელეკომპანია НТВ-ს უეფას პარტნიორობა წელიწადში 2,5 მილიონი დოლარი უჯდება.

„რუსთავი 2“-სა და უეფას შეთანხმებამ, ფაქტობრივად, აზრი დაუკარგა ფედერაციის პროექტს, რომლის მთავარი ასპექტი ის იყო, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია პარტნიორ ტელევიზიას რეკომენდაციას გაუწევდა უეფაში ჩემპიონთა ლიგის მატჩებისა და მიმოხილვის ტრანსლაციის უფლების მოსაპოვებლად.

უნდა ითქვას, რომ ფედერაციის პროექტით დასაწყისში „რუსთავი 2“-იც იყო დაინტერესებული, თუმცა მან ტექნიკური ბაზის მოუმზადებლობის გამო („პეტეესის“ არქონა) უარი თქვა ეროვნული ნაკრებისა და ჩემპიონატის მატჩების ტრანსლაციაზე.

ყოველივე ამის გამო ფედერაცია იძულებული შეიქნა, წლის ბოლომდე უფასოდ დაეთმო პირველი არხისთვის ეროვნული ნაკრების საშინაო და ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ტრანსლაციის უფლება.

საფეხბურთო ტელეეთერის გადანაწილება ამით არ დასრულებულა. ჩემპიონთა ლიგის დაწყებისთანავე ურთიერთობას „რუსთავი 2“-სა და იმ ტელეკომპანიებს შორის, რომლებიც ტელემეკობრეობას ჩვეულნი არიან, ალბათ, სასამართლო გაარკვევს. ყოველ შემთხვევაში, „რუსთავი 2“ ბოლომდე იბრძოლებს საკუთარი ექსკლუზიური უფლებების დასაცავად. მით უმეტეს, რომ საქართველოს პარლამენტმა ოთხწლიანი ეპოპეა საავტორო უფლებების შესახებ კანონის მიღებით დაასრულა.

ფედერაციას კი ისღა დარჩენია, დაელოდოს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის კენჭისყრას და ორიოდე საფეხბურთო გრანდის ჯგუფში მოხვედრას, რათა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან პარტნიორობა უფრო მიმზიდველი გახდეს.

**სიმონ მენაბდე**

# მთავარია, ვინ რას ისვრის

**იცით,** რით ჰგავს მოსკოვის „ლოკომოტივის“ ინტერვიუძუნწი და სუპერჭირვეული ქართველი ფორვარდი ზაზა ჯანაშია ფეხბურთის მეფესა და აწ უკვე ტკბილ მოგონებას — დიეგო არმანდო მარადონას? მოგიყვებით...

პირველი — აგებულებით და შავგვრემანი კანით.

მეორე — ფეხბურთს თამაშობს კარგად.

მესამე — მინდორზე მცველებს ბურთს „უმალავს“.

მეოთხე — მთლად ნარკომანობას ვერ დავაბრალებთ, მაგრამ ბახუსი (და ქალებიც) ნამეტნავად უყვარს.

მეხუთე — ისვრის.

ზედა ოთხ პუნქტზე ვერავინ იდავებს. აი, მეხუთეში კი ნამდვილადაა განსხვავება — მარადონა ჟურნალისტებს პნევმატური პისტოლეტიდან ესროდა (რა თქმა უნდა, ტყვიას), ზაზა ჯანაშია კი „ალანიას“ ფანატებს დაერია და მათ სულ ბუცები და წვივსაფრები უშინა „ლოკომოტივის“ ავტობუსიდან.

გვესმის ჯანაშიასი, როგორია, ქართველს და გამარჯვებულს რომ აგინებენ...

გვესმის ფანატებისაც, როგორია, საყვარელი გუნდი დაუმარცხეს და მარცხის მთავარი მიზეზი ავტობუსში გამომწვევად იჯდა...

გვინდა იმ ხალხის გვესმოდეს, ასეთ (და უარეს) შემთხვევაში ყვავილების სროლა რომ შეუძლიათ.

მაგრამ ისინი ხომ ფეხბურთს არ თამაშობდნენ.

**პაატა რურუა**

# ბერძენმა ტორპედო შეგვიქო

**— გვსურს თქვენთან ამასწინათ მომხდარი მიწისძვრის გამო მოგისამძიმროთ...**

— სამწუხაროდ, ათენში დიდი ნგრევა და მსხვერპლი იყო. ბევრი ადამიანი უსახლკაროდ დარჩა. ჩვენი სტადიონიც ძალიან დაზარალდა, თითქმის მთლიანად დაინგრა.

**— „ტორპედოსთან“ საპასუხო თამაშს სად გამართავთ?**

— ჯერჯერობით დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით. ოლიმპიურ სტადიონზე ვითხოვეთ თამაში, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია. თუ ეს არ მოხერხდება, ალბათ, „კარაისკაკიზე“, სადაც „ეთნიკოსი“ და „იონიკოსი“ თამაშობენ, ან „პანიონისზე“ მოგვიწევს „ტორპედოს“ მიღება.

**— თქვენი საფეხბურთო ბიოგრაფია გვაინტერესებს...**

— აეკ-ში 15 წლისა მოვხვდი. თავიდან, რა თქმა უნდა, ახალგაზრდულ გუნდში ვთამაშობდი. სამ წელიწადში მთავარ გუნდში ამიყვანეს და იქედან მოყოლებული, ვიდრე 34 წლისა შევიქენი, მისი ერთგული ვიყავი. 10 წელი აეკ-ის კაპიტანიც გახლდით. 10 თამაში მაქვს ჩატარებული ეროვნულ ნაკრებში. ნახევარდაცვაშიც მითამაშია და თავდასხმაშიც. მერე მწვრთნელობას მივყევი. 1978 და 1979 წლებში, ქვეყნის ბოლო ორ ნახევარპროფესიულ ჩემპიონატში აეკ-მა ჩემი ხელმძღვანელობით გაიმარჯვა. მეორე ლიგის ბევრ გუნდში მიმუშავია მთავარ მწვრთნელად. 6 წელი საბერძნეთის ახალგაზრდულ ნაკრებსაც ვწვრთნიდი. 1992-ში აეკ-ში დავბრუნდი. კლუბთან საფეხბურთო აკადემია დავაარსე. ბოლო სამი წელი აეკ-ის მთავარი მწვრთნელის პირველ თანაშემწედ ვარ. უფრო სასელექციო საქმიანობას ვეწევი. საერთო ჯამში 50 წელია, რაც ფეხბურთში ვმოღვაწეობ.



მამუკა დარჩია ქუთაისიდან

ანდრეას სტომატიადისი

**ჯერ რესპონდენტს გაგაცნობთ. ანდრეას სტომატიადისი: უეფას თასზე ქუთაისის „ტორპედოს“ მეტოქის ათენის აეკ-ის მთავარი მწვრთნელის პირველი თანაშემწე. 64 წლის, ფეხბურთში ჭიპმოჭრილი კაცი. 11 სექტემბერს ის „ტორპედო“ — „მერანს“ ადევნებდა თვალს. მატჩის დამთავრებისთანავე ჟურნალისტებმა ინტერვიუ ვთხოვეთ ბერძენ მწვრთნელს და ისიც სიამოვნებით დაგვთანხმდა. თარჯიმნობას თბილისელი სტუდენტი დიმიტრიოს ტატარიდისი გვიწევდა.**

**— წინა სეზონში აეკ-ი ქვეყნის ვიცე ჩემპიონი გახდა. ცუდი შედეგი იყო? თუ არა და, რატომ შეიცვალა გუნდის მთავარი მწვრთნელი?**

— სამწუხაროდ, აეკ-მა გასულ სეზონში სამი მთავარი მწვრთნელი გამოიცვალა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ბოლო დროს კლუბი ხშირად იცვლის ძირითად მეპატრონეს. ამასწინათაც ინგლისურმა ფირმა ENIC-მა კლუბის აქციათა დიდი ნაწილი ჰოლანდიურ საკაბელო ტელეკომპანია NETHOLD-ს მიჰყიდა, რასაც გუნდში სერიოზული ცვლილებები მოჰყვა. ივნისში მთავარ მწვრთნელად იუგოსლაველმა სპეციალისტმა ლიუბიშა ტუმბაკოვიჩმა დაიწყო მუშაობა.

**— რომელმაც აეკ-ის გაძლიერება მოითხოვა?**

— კი, რამდენიმე ახალი ფეხბურთელი დავიმატეთ. დრაგან ჩირიჩი „ბარსელონადან“, ნენად ბიეკოვიჩი „პარტიზანიდან“, გორან პეტრიჩი „კრისტალ პალასიდან“. ტრიანოს დელასი — „შეფილდ იუნაიტედიდან“, ვლადიმირ მატიასევიჩი — „ვოივოდინადან“.

**— თქვენ ამათ გარეშეც სოლიდური შემადგენლობა გყავდათ...**

— ნორვეგიასთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის ქვეყნის ნაკრებში აეკ-ის ხუთი მოთამაშე იყო გამოძახებული — ატმაციდისი, კასაპისი, ნიკოლაიდისი, ლაკისი, ზიკოსი.

**— შვედურ აიკ-თან ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თქვენი გუნდის წარუმატებლობის მიზეზი რა იყო?**

— შვედებთან სათამაშოდ მზადება ადგილზე, ათენში ათდღიანი შეკრებით დავიწყეთ. მერე საფრანგეთში გადავინაცვლეთ და 18 დღე იქ ვემზადეთ. ფაქტობრივად ახალი, შეუთამაშებელი გუნდი გვყავდა და აიკ-თან ორი მატჩის ჯამში წარუმატებლობის მთავარ მიზეზად ეს მიმაჩნია, თუმცა ბედმაც გაგვწირა. ათენში 0:0 კი ვითამაშეთ, მაგრამ ჩვენებმა იმ მატჩში სამჯერ მოარტყეს ძელს. სტუმრადაც შვედები ორჯერ ძელმა გადაარჩინა.

**— ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდით. წარმოიდგინეთ, უეფაზე „ტორპედოსთანაც“ მოგეცარათ ხელი. ამას, ალბათ, დიდი სანქციები მოჰყვება?**

— არც ეგრეა საქმე. აეკ-ი დიდი გუნდია. ჩვენ ვიცით, რა არის ფეხბურთი. ყოველთვის მოგებული ვერ იქნები. ფეხბურთში კარგს ხშირად ცუდი სჭარბობს, მაგრამ ზღვარიც არსებობს.

**— საქართველოში პირველად ბრძანდებით?**

— დიახ. და ძალიან ნასიამოვნები ვარ. აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც სამშობლოში. კეთილი, სტუმართმოყვარე ხალხი ყოფილხართ ქართველები.

**— „ტორპედოზე“ რას გვეტყვით, როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ მეტოქეზე?**

— საერთო ჯამში ეს კარგი, ორგანიზებული გუნდია. თამაშის დაწყებიდან ბოლომდე კარნახობდა მეტოქეს საკუთარ ნება-სურვილს. მართალია, პირველ ტაიმში ბურთის გატანა გაუჭირდა, მაგრამ მეორეში მალე გაიტანა და ამან მთლიანად შეცვალა თამაშის სურათი. შედეგი ლოგიკური იყო.

**— გუნდის ცალკეულ რგოლებზე რას გვეტყვით?**

— გაგიმეორებთ, „ტორპედო“ ორგანიზებული გუნდია.

**— ტორპედოელთაგან ვის გამოარჩევდით?**

— სამი-ოთხი მოთამაშე მომეწონა.

**— კერძოდ?**

— №17 (ჩხეტიანი), №8 (გოგიაშვილი), №2 (იონანიძე), №21 (აზვლედიანი).

**— და რა შანსი აქვს „ტორპედოს“ აეკ-თან?**

— არ მიყვარს რაიმეზე წინასწარ ლაპარაკი.

**— ბატონო ანდრეას, აეკ-ში ჩვენებური თემურ ქეცბაიას თამაშის დროს თუ იყავით?**

— ვიყავი და იმასაც გეტყვით, ქეცბაია აეკ-ში გავლილ ფეხბურთელთაგან ერთ-ერთი უძლიერესი იყო.

**— ტორპედოელთა მთავარი მწვრთნელის დავით ყიფიანის სახელი გეუბნებათ რამეს?**

— რა თქმა უნდა. ყიფიანი ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო მოთამაშე გახლდათ.

**— ვიცით, რომ საბერძნეთის ახალი ჩემპიონატის დაწყება მიწისძვრის გამო რამდენიმე დღით გადაიდო. აიკ-ის შემდეგ თქვენ გუნდს სათამაშო პრაქტიკა დააკლდა?**

— ქვეყნის თასზე ვითამაშეთ, ოღონდ სუსტ მეტოქეებთან. ყველას იოლად ვძლიეთ. 12 სექტემბერს ამხანაგურ მატჩში „პანიონისს“ შევხვდებით.

**— დიდი მადლობა საუბრისთვის.**

**იუზა ბაციტაძე ქუთაისიდან**

# საუზმე ჩემპიონებისათვის

## ინგლისი

VII ტური

**ლივერპული 2:3 მანჩესტერი**

0:1 კარაგერი (3ს.კ.), 0:2 კოული (18), 1:2 ჰიიპია (23), 1:3 კარაგერი (44ს.კ.), 2:3 ბერგერი (68)
ლივერპული: ვესტერველდი, სონგი, ჰიიპია, მატეო, კარაგერი, რედნეპი, ბერგერი, ტომპსონი (შმიცერი 46), ჟერარდი (ჰეგემი 64), კამარა (ოუენი 64), ფაულერი
მანჩესტერი: ტაიბი, ნევილი (კლეგი 83), სტამი, ბერგი, სილვესტრი, გიგზი, ბათი (უოლვორქი 39), სკოულზი, ბექემი, კოული, იორკი
გაფრთხილება: კამარა, სონგი, რედნეპი, ნევილი, ბექემი
გაძევება: კოული (71)
მსაჯი: ბარბერი

**ბრედფორდი 1:1 ტოტენჰემი**

0:1 პერი (76), 1:1 მაკოლი (90)
ბრედფორდი: უოლში, ჰალე, ვეზეროლი, ობრაიენი, ჯეკობსი (მაიერსი 66), უინდასი, მაკოლი, ვილი, ბიგრი, მილსი, სონდერსი (როდრიგესი 71)
ტოტენჰემი: უოლკერი, ქარი, ტარიკო, ფროინდი, პერი, შერვუდი, ფერდინანდი (არმსტრონგი 71), ივერსენი, ჟინოლა (ნილსენი 90), ლეონარდსენი, იანგი
გაფრთხილება: მაკოლი, ფროინდი, იანგი, ივერსენი, შერვუდი
მსაჯი: ვილკი

**არსენალი 3:1 ასტონ ვილა**

0:1 იოაკიმი (44), 1:1, 2:1 შუკერი (45, 49), 3:1 კანუ (82)
არსენალი: მანინგერი, დიქსონი, კიოუნი, ადამსი, უინტერბერნი, პარლოუ, ვიეირა, გრიმანდი, ოვერმარსი (ანრი 82), ბერხკამპი (კანუ 76), შუკერი (სილვინიო 69)
ასტონ ვილა: ჯეიმსი (ენკელმანი 51), დილენი, ეჰიოგუ, საუთგეიტი, კალდერვუდი, რაიტი, ჰენდრი (ტომპსონი 62), ტეილორი, მერსონი, დაბლინი (ვესელი 71), იოაკიმი
გაფრთხილება: უინტერბერნი, გრიმანდი, დილანი, მერსონი, ტეილორი, ეჰიოგუ
მსაჯი: ელერი

**ჩელსი 1:0 ნიუკასლი**

1:0 ლებეფი (37პ)
ჩელსი: დე გუა, ფერერი, დესაი, ლებეფი, ლე სო (პოიეტი 57), გოლდბეკი (პეტრესკუ 46), უაიზი, მორისი, ბაბაიარო, სატონი (ფლო 68), ძოლა
ნიუკასლი: რაიტი, ბარტონი, დაბიზასი, გომა, დომი, დაიერი, სპიდი, ლი (მარიჩი 77), სოლანო (ჰიუზი 87), შირერი, ფერგიუსონი (რობინსონი 73)
გაფრთხილება: უაიზი, ლებეფი, ფერერი, სოლანო, ბარტონი, დაბიზასი, დაიერი
მსაჯი: პოლი

**ქოვენთრი 3:4 ლიდსი**

1:0 მაკალისტერი (2პ), 1:1 ბაუერი (7), 2:1 ალოიზი (17), 2:2 ჰაკერბი (25), 2:3 ჰარტი (33პ), 3:3 ჩიპო (54), 3:4 ბრიჯესი (60)
ქოვენთრი: ჰედმანი, ქუინი (სტრაჩანი 75), შოუ, უილიამსი, ედვორთი, ჩიპო, მაკალისტერი, ჰაჯი, ფროგატი (მაკშეფრი 75), ალოიზი
ლიდსი: მარტინი, მილსი, რადებე, დაბერი (ვუდგეიტი 54), ჰარტი (კელი 62), ჰოპკინი, ბაუერი, ბეტი, კიუელი, ბრიჯესი, ჰაკერბი
გაფრთხილება: ჰაჯი, ქუინი, მაკალისტერი, ჰოპკინი, მილსი
მსაჯი: დანი

**უიმბლდონი 2:2 დერბი**

0:1 კარბონარი (14), 1:1 ჰართსონი (62), 2:1 ეუელი (63), 2:2 ჯონსონი (81)
უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, რობერტსი, ტეჩერი, კორტი, ჰართსონი, ეუელი, გეილი, პედერსენი, ბადირი (ირლი 76), ანდერსონი
დერბი: ჰულტი, კარბონარი, შნური (ბეკი 52), პოუელი, ჯონსონი, ბარტონი (ბაიანო 70), დელაპი, ერანიო (ბოჰინენი 65), ლაურსენი, პრიორი, ფუერტესი
გაფრთხილება: პედერსენი, ტეჩერი, ფუერტესი
მსაჯი: ვაილი

**შეფილდი 0:2 ევერტონი**

0:1 ბარმბი (14), 0:2 ჯემილი (18)
შეფილდი: პრესმენი, ნოლანი, ტომი, უოლკერი, ბრისკო, სონერი, ათერტონი, რუდი (ოდონელი 46), ალექსანდერსონი (დონელი 64), დე ბილდე (კარბონე 64), ბუთი
ევერტონი: ჟერარდი, ვეიერი, გაფი, უოთსონი, ანსუორთი, ბარმბი, უორდი (ჰატჩინსონი 67), ჯემილი, პემბრიჯი (შავიერი 47), ჯეფერსი (კოლინზი 79), კემპბელი
გაფრთხილება: დონელი, ოდონელი, ბრისკო, კოლინზი
მსაჯი: პელსი

**სანდერლენდი 2:0 ლესტერი**

1:0 ბატლერი (28), მაკანი (82)
სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, ბატლერი, ბოულდი, გრეი, სამერბი, ბოლი, შვარცი (უილიამსი 74), მაკანი (როი 86), ქუინი (დიკიო 79), ფილიპსი
ლესტერი: ფლაუერსი, სინკლერი, ელიოტი, ტაგარტი, იმპი, სევიჯი (გილკრისტი 71), ლენონი, იზეტი, გაპი, ჰესკი, კოტი (მარშალი 57)
გაფრთხილება: ბოულდი, ქუინი, სორენსენი, მაკანი, სევიჯი
გაძევება: ტაგარტი (62)
მსაჯი: დარსო

**ვესტ ჰემი 1:0 უოტფორდი**

1:0 დი კანიო (48)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ფოქსი, სტიმაცი, პირსი (მარგასი 46), სინკლერი, ლომასი, ლამპარდი, მონკური (კარიკი 81), კელერი, დი კანიო, ვანჩოპე
უოტფორდი: ჩემბერლენი, ლიტლი, პეიჯი, უილიამსი, რობინსონი, რაიტი (ნგონგე 70), ჰიდი, პალმერი, კენედი, სმარტი (გუდმუნდსონი 70), მუნი
გაფრთხილება: მუნი, გუდმუნდსონი
მსაჯი: გალახერი

**მიდლსბრო 3:2 საუთჰემპტონი**

0:1 კაჩლული (15), 1:1 პალისტერი (17), 1:2 პახარსი (55), 2:2 გესქოინი (67პ), 3:2 დინი (78)
მიდლსბრო: შვარცერი, სტამპი (სტოკდეილი 64), ვიკერსი (გევინი 64), კუპერი, პალისტერი, ციგე, მასტო, გესქოინი, ინსი, რიკარდი (არმსტრონგი 64), დინი
საუთჰემპტონი: ჯოუნსი, დოდი, ლუნდეკვამი, რიჩარდსი, ბენალი, რიპლი (ოუკლი 27), სოლტვედტი, ჰიუზი, კაჩლული, ბოა მორტე, პახარსი
გაფრთხილება: რიკარდი, კუპერი
გაძევება: ბოა მორტე (67)
მსაჯი: ლოჯი

შაბათ-კვირის ინგლისის სტადიონებზე გაგორებულ ბურთს დიდი მოულოდნელობანი არ მოჰყოლია. თუმც, დამტკიცდა, რომ პრემიერლიგა გახურდა და თავისი ჩვეული ფორმა — ამუშავებული ხორცსაკეპი მანქანის იერი მიიღო.

მთავარი ამბები შაბათს მოხდა და უკანმოუხედავ ორთაბრძოლათა კოლაჟი ასე ჩამოიქნა: „ვესტ ჰემის" სტიუარტ პირსს ფეხი მოტყდა, „ლივერპულის" ჯემი კარაგერმა ორი ავტოგოლი ჩაიწერა, ენდი კოული მინდვრიდან გააძევეს, „არსენალის" დავორ შუკერმა თავისი პირველი პრემიერლიგული გოლი გაიტანა, ბობი რობსონმა სამშობლოში დაბრუნება მარცხით აღნიშნა, პატარა „ბრედფორდის" კაპიტანმა სტიუარტ მაკკოლმა 92-ე წუთზე გაუთანაბრა „ტოტენჰემს".

ლიდერი და ჩემპიონი „მანჩესტერი" ლივერპულში თამაშობდა ჟერარ ულიეს გუნდთან. ბოლო დროს ბობოლათა დამარცხებას შეჩვეული „ენფილდი" დიდი გნიასით შეეგება სტუმრებს, რომელთაც აკლდნენ კაპიტანი როი კინი, გარი ნევილი და დენის ირვინი. ირვინის ადგილას თამაშობდა ფრანგი მიშელ სილვესტრი. მანჩესტერელთა კარში პირველად ისტორიაში იდგა იტალიელი — მასიმო ტაიბი. სტუმრებმა 3:2 მოიგეს, მაგრამ გაირკვა — კლუბმა მეკარე იპოვნა. ტაიბიმ შმაიხელის ადგილი დაიკავა.

უკვე მეოთხე წუთზე ლივერპულელთა მცველმა კარაგერმა ისეთი თავური დაჰკრა გიგზის ჩამოწოდებულს, რომ სხვის კარში რომ გაეტანა ეს ბურთი, ტურის შედევრად მოინათლებოდა. თოთხმეტი წუთი გავიდა და კოულმა ბექემის ჩამოწოდებულს საფირმო თავური შეაგება — 0:2. მერე კი... იტალიელს ენის არცოდნის გამო თავის მცველებთან კონტაქტი უჭირდა და გამოსვლაზე მისი შეცდომა მოსალოდნელიც იყო. თანაც, ინგლისურ კროსებს აგრე უცბად ალღოსაც ვერ აუღებ. ამიტომაც გაუშვა პირველი საპასუხო გოლი.

„ზუსტად ასე შეცდა შმაიხელი თავის სადებიუტო მატჩში", გაიხსენა სერ ალექს ფერგიუსონმა „ზუსტად ასეთი გაუშვა. მაგრამ ეს არაფერი. მეორე ტაიმში მასიმომ სამი ნაღდი გოლი გამოაძრო ჩვენი კარიდან. ამიტომ შენაძენი სწორი და საჭიროა. იგი მალე მიეჩვევა ჩვენს თამაშს".

იმ სამი მკვდარი ბურთის გამოძრობამდე კი კარაგერს ჰენინგ ბერგის თავურის შემდეგ ბურთი გაებლანდა ფეხებში და „მანჩესტერი" კვლავ ორი ბურთით დაწინაურდა. მაგრამ „ენფილდი" ხომ ის ადგილი არ არის, სტუმარმა რომ ამოისუნთქოს? „ლივერპულის" შტურმი შთამბეჭდავი იყო. ულიემ მოედანზე შემოუშვა ლარის ჰეგემი და მაიკლ ოუენი. ამასობაში კი გუნდის ნამდვილ ლიდერად ქცეულმა პატრიკ ბერგერმა ბერგსა და ფილ ნევილს შორის გააღწია და ერთი გოლი გაქვითა. მსაჯმა გრემ ბარბერმა თავისი სიმშვიდით თამაშის სადავეები კინაღამ დაკარგა: მოედნის შუაგულში, რიგობერ სონგსა და კოულს შორის ატეხილ ძიძგილაობას ამ უკანასკნელის გაძევება მოჰყვა. ბრწყინვალედ მოთამაშე დევიდ ბექემმა კი ზუსტად ისე უპასუხა მის წამქცევ ჯეიმი რედნეპს, როგორც ოდესღაც სიმეონეს, თუმცა, ამჯერად წითელი აღარ ყოფილა. ოუენის დარტყმული მარცხენა ძელს გაედო, „ლივერპულმა" თავი გადადო, მაგრამ მეტი ველარაფერი მოახერხა.

„მანჩესტერი" კი 16 ქულით ლიდერობს პრემიერლიგას. ფერგიუსონის გუნდი თითქოს ერთგვარი მარაგით იგებს ყველა თამაშს, თითქოს ერთი ჩვეულებრივი საუზმეაო. მარაგით ვერა, მაგრამ იგებს „ჩელსი". მისი ჩქარ სუნთქვას გრძნობს შარშანდელი ჩემპიონი. ვიალის გუნდს არ წაუგია, ორი თამაშიც მარაგში აქვს და ბედკრულ „ნიუკასლსაც" მოუგო. ჯორდთა მოხუცი მწვრთნელი მსაჯობამ ალაშფოთა. „ჩელსიმ" ფრანკ ლებეფის პენალტით მოიგო. ეს პენალტი სელესტინ ბაბაიაროს წაქცევისთვის დაინიშნა და მედიამ საეჭვოდ აღიარა. რობსონი კი თავად მოითხოვდა პენალტს დაიერის მოცელვისთვის. ასეა, თუ ისე „ჩელსიმ" კვლავ მოიგო, კვლავ 1:0. პაოლო დი კანიოს ერთადერთი გოლით მოიგო ასევე წაუგებელმა და ორი თამაშის შემნახავმა „ვესტ ჰემმა". თუმცა, პირსის ტრავმამ გუნდი დაცვის გარეშე დატოვა. მენეჯერ ჰარი რედნეპს დაშავებული ჰყავს რიო ფერდინანდი, იან პირსი, ნილ რადოკი და სკოტ მინტო.



REUTERS ლივერპულიდან

ლივერპული — მანჩესტერი 2:3 ლივერპულელი პატრიკ ბერგერის გოლი საკმარისი არ აღმოჩნდა

„არსენალმა" ჰაიბერიზე დასცა „ასტონ ვილა". მეთოფენი თუმც კი აგებდნენ, მაგრამ მხოლოდ ერთ წუთს. ბედი არ გინდა? სტუმართა პირველივე დარტყმა, ტაიმის მიწურულს გოლით დასრულდა. მაგრამ შუკერს ადრე თუ გვიან ხომ უნდა გაეხსნა თავისი პრემიერლიგული რეესტრი? მან საუცხოო დარტყმით გაათანაბრა და მეორე ტაიმი ოთხი წუთის დაწყებული იყო, როცა კვლავ გაიტანა. წერტილი კი შეცვლაზე შემოსულმა ნვანკვო კანუმ დასვა — 3:1

ამერიკულ თრილერთა დარი მატჩები გაიმართა ქოვენთრისა და მიდლსბროში. პატარა „ბირო" ორჯერ აგებდა ბობოქარ „საუთჰემპტონთან", რომელსაც ჰასან კაჩლული და მარიანს პახარსი აწინაურებდნენ, მაგრამ ვარსკვლავთა ამბავმა მაინც თავისი გაიტანა: პირველად გარი პალისტერმა გაათანაბრა ბარე ორმოცი იარდიდან დაკრულით. მეორედ კი ფეხმოშუშებულმა პოლ გესქოინმა შეაგდო პენალტი, რომელიც პოლ ინსის წაქცევისთვის დაინიშნა. ინსთან ჭიდილში გამოსტყუა მსაჯს წითელი ბარათი სამხრეთელმა ლუიშ ბოა მორტემ. თუმც, რომ არა ბოროელთა მეკარე მარკ შვარცერის შეცდომები, ეგებ მასპინძლებს არც გასჭირვებოდათ.

გაცინებული, მაგრამ თავდამძიმებული ჩანდა ქოვენთრის „ჰაიფილდ როუდიდან" გამოსული „ლიდსის" მენეჯერი დევიდ ოლირი. „ლიდსმა" მოიგო, მაგრამ ჰაი, რა ჭიდილში. შეხვედრის პირველ ოცდაცამეტ წუთში ხუთი გოლი გავიდა.

„დაცვამ გადამრია", აღნიშნა ოლირიმ „ჩვენმა დაცვამ ძალიან უხარისხოდ ითამაშა".

მართლაც კალეიდოსკოპი იყო: მეორე წუთზე გარი მაკალისტერმა პენალტით დააწინაურა „ქოვენთრი". ხუთ წუთში ლი ბოუერმა გაქვითა. ათ წუთში ჯონ ალოიზიმ კვლავ გაუტანა „ლიდსს". კიდევ რვა წუთში დარენ ჰაკერბიმ თავის ყოფილ კლუბს უპასუხა. გავიდა ასევე რვა წუთი და იან ჰარტმა პენალტით გაასწრებინა „ლიდსს". „ქოვენთრიმ" შტურმით დაიწყო მეორე ტაიმი კვლავ გაიტანა — იუსუფ ჩიპომ იმედი ჩასახა. მაგრამ „ლიდსმა" მაინც თავისი გაიტანა. მაიკლ ბრიჯისმა წერტილი დასვა — 4:3. და შეხვედრის ბოლო ნახევარ საათს გოლი არ გასულა...

აი, ასე და აღსანიშნავი ისღა რჩება, რომ „ტოტენჰემ ჰოთსუპრმა" ბრედფორდში ძლივს გაიტანა და თავი რომ ქუდში ეგონა, სწორედ მაშინ დაკარგა ორი ქულა.

**ირაკლი გამყრელიძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 7 | 6 | 1 | 0 | 19:6 | 13 | 19 | 3 | 3 | 0 | 0 | 11:1 | 10 | 9 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:5 | 3 | 10 |
| 2 | ჩელსი | 5 | 4 | 1 | 0 | 9:2 | 7 | 13 | 3 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 9 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 |
| 3 | ვესტ ჰემი | 5 | 4 | 1 | 0 | 9:3 | 6 | 13 | 3 | 3 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 9 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 4 |
| 4 | ლიდსი | 7 | 4 | 1 | 2 | 12:9 | 3 | 13 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 4 | 3 | 0 | 1 | 9:6 | 3 | 9 |
| 5 | არსენალი | 7 | 4 | 1 | 2 | 10:7 | 3 | 13 | 4 | 3 | 0 | 1 | 8:4 | 4 | 9 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | –1 | 4 |
| 6 | ასტონ ვილა | 7 | 4 | 1 | 2 | 9:6 | 3 | 13 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | –1 | 6 |
| 7 | მიდლსბრო | 7 | 4 | 0 | 3 | 10:10 | 0 | 12 | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | –2 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 2 | 6 |
| 8 | სანდერლენდი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:8 | 0 | 11 | 4 | 2 | 2 | 0 | 5:1 | 4 | 8 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:7 | –4 | 3 |
| 9 | ევერტონი | 7 | 3 | 1 | 3 | 13:9 | 4 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 9:2 | 7 | 7 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:7 | –3 | 3 |
| 10 | ტოტენჰემი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:8 | 2 | 10 | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 2 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 |
| 11 | ლესტერი | 7 | 3 | 1 | 3 | 9:8 | 1 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 7 | 4 | 1 | 0 | 3 | 5:6 | –1 | 3 |
| 12 | ლივერპული | 6 | 3 | 0 | 3 | 8:7 | 1 | 9 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 0 | 3 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 6 |
| 13 | საუთჰემპტონი | 6 | 3 | 0 | 3 | 10:12 | –2 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 1 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | –3 | 3 |
| 14 | დერბი ქაუნთი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:9 | –2 | 8 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | –2 | 3 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 0 | 5 |
| 15 | უოტფორდი | 7 | 2 | 0 | 5 | 4:8 | –4 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | –1 | 3 | 4 | 1 | 0 | 3 | 1:4 | –3 | 3 |
| 16 | უიმბლდონი | 7 | 1 | 3 | 3 | 11:16 | –5 | 6 | 4 | 0 | 2 | 2 | 5:7 | –2 | 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:9 | –3 | 4 |
| 17 | ქოვენთრი | 7 | 1 | 2 | 4 | 8:10 | –2 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 6:7 | –1 | 3 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | –1 | 2 |
| 18 | ბრედფორდი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | –5 | 5 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | –3 | 2 | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | –2 | 3 |
| 19 | ნიუკასლი | 7 | 0 | 1 | 6 | 8:19 | –11 | 1 | 3 | 0 | 1 | 2 | 4:6 | –2 | 1 | 4 | 0 | 0 | 4 | 4:13 | –9 | 0 |
| 20 | შეფილდ უენსდი | 7 | 0 | 1 | 6 | 3:15 | –12 | 1 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:8 | –6 | 0 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:7 | –6 | 1 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| კოული (მანჩესტერი) | 6 |
| იორკი (მანჩესტერი) | 5 |
| ფილიპსი (სანდერლანდი) | 5 |

**VIII ტური**

18 სექტემბერი
ასტონ ვილა — ბრედფორდი
დერბი — სანდერლენდი
ლესტერი — ლივერპული
მანჩესტერი — უიმბლდონი
საუთჰემპტონი — არსენალი
უოტფორდი — ჩელსი

19 სექტემბერი
ევერტონი — ვესტ ჰემი
ლიდსი — მიდლსბრო
ნიუკასლი — შეფილდი
ტოტენჰემი — ქოვენთრი

## პირველი დივიზიონი

VII ტური

**ბარნსლი 2:1 სტოკპორტი**
1:0, 2:0 შერონი (17, 44), 2:1 დჯაფო (88)

**ბირმინგემი 1:1 ვესტ ბრომვიჩი**
1:0 ა. ჯონსონი (42), 1:1 ჰიუზი (53)

**ბლექბერნი 2:0 ტრანმერი**
1:0 უორდი (82), 2:0 ბლეიკი (87)

**ჩარლტონი 2:1 ბოლტონი**
0:1 იოჰანსენი (13), 1:1 სტიუარტი (22), 2:1 მენდონკა (50)

**გრიმსბი 1:0 უოლსოლი**
1:0 ალენი (72)

**სიტი 2:1 კრ. პალასი**
0:1 მორისონი (40), 1:1 ჯობსონი (44), 2:1 ტეილორი (60)

**ნორვიჩი 2:1 ქრიუ**
1:0 რობერტსი (19), 1:1 კრამბი (31), 2:1 იდი (83)

**პორტ ვეილი 0:2 ფულემი**
0:1 პესქისოლიდო (36), 0:2 კოულმენი (56)

**პორტსმუთი 1:1 იფსვიჩი**
1:0 უითინგემი (48), 1:1 სკაუკროფტი (88)

**სვინდონი 0:0 ნოტინგემი**

**ვულვზი 0:1 ჰადერსფილდი**
0:1 სტიუარტი (60პ)

**ქუინზ პარკი — შეფილდი**
გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იფსვიჩი | 6 | 4 | 2 | 0 | 17:6 | 14 |
| სიტი | 6 | 4 | 1 | 1 | 10:2 | 13 |
| ბირმინგემი | 7 | 3 | 3 | 1 | 16:11 | 12 |
| ბარნსლი | 7 | 4 | 0 | 3 | 17:14 | 12 |
| ჰადერსფილდი | 6 | 3 | 1 | 2 | 12:7 | 10 |
| ფულემი | 6 | 2 | 4 | 0 | 7:4 | 10 |
| ჩარლტონი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 9 |
| ნოტინგემი | 7 | 2 | 3 | 2 | 9:8 | 9 |
| სტოკპორტი | 5 | 3 | 0 | 2 | 6:5 | 9 |
| პორტსმუთი | 6 | 2 | 3 | 1 | 6:8 | 9 |
| ქუინზ პარკი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:7 | 8 |
| ნორვიჩი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:9 | 8 |
| გრიმსბი | 7 | 2 | 2 | 3 | 6:8 | 8 |
| შეფილდ იუნ. | 6 | 2 | 2 | 2 | 9:13 | 8 |
| ბლექბერნი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 7 |
| ვესტ ბრომვიჩი | 5 | 1 | 4 | 0 | 5:4 | 7 |
| პორტვეილი | 7 | 2 | 1 | 4 | 9:12 | 7 |
| უოლსოლი | 7 | 1 | 3 | 3 | 7:13 | 6 |
| ვულვზი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 5 |
| ქრიუ | 5 | 1 | 2 | 2 | 8:10 | 5 |
| ბოლტონი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:8 | 5 |
| სუინდონი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:8 | 5 |
| ტრანმერი | 7 | 1 | 1 | 5 | 3:11 | 4 |
| კრ. პალასი | 6 | 1 | 1 | 4 | 8:17 | 4 |

## მეორე დივიზიონი

VII ტური. ბორნმუთი — რედინგი 3:1; ბრენტფორდი — მილუოლი 0:0; კემბრიჯი — ბრენტფორდი 2:2; ჩესტერფილდი — სტოკი 0:2; კოლჩესტერი — სკანთორპი 0:1; ლუთონი — რექსჰემი 3:1; ნოტსი — ბლექპული 2:1; ოლდემი — ბერი 2:0; ოქსფორდი — ჯილინგემი 1:2; პრესტონი — ბარნლი 0:0; უიგანი — როვერსი 3:1; უიკომბი — კარდიფი 3:1

## მესამე დივიზიონი

VI ტური. ჩელტენემი — შრუსბერი 0:1; კარლაილი — ლინკოლნი 1:0; ჩესტერი — ექსეტერი 1:1; ალიფაქსი — ბრაიტონი 2:1; მაკლსფილდი — საუთენდი 1:2; ნორთჰემპტონი — ჰარტლპული 2:1; პლიმუთი — როტერჰემი 1:1; როჩდეილი — დარლინგტონი 0:0; სუონსი — ბარნეტი 1:2; ტორკი — ჰალი 0:1; იორკი — პეტერბრო 0:0; მენსფილდი — ლეიტონი 1:1

# გერმანია

IV ტური

**დორტმუნდი 1:1 ფრაიბურგი**

0:1 ბაია (41), 1:1 ბობიჩი (90)
დორტმუნდი: ლემანი, როიტერი, ვიორნსი (ნიეგუსი 25), კოლერი, რეინა, სტევიჩი (რიკენი 63), მიოლერი, ნერლინგერი, დედე, ბობიჩი, იკპება
ფრაიბურგი: გოლცი, დიარა, შერმელი, კონდე, ვილი, გიუნეში (მიულერი 37), ბაია, ცაიერი, კობიაშვილი, სელიმი (ცქიტიშვილი 77), ბრუნსი (ბენ სლიმანი 63)
გაფრთხილება: ნერლინგერი, ბაია, შერმელი, კონდე
გაძევება: დიარა (33)
მსაჯი: კემლინგი

**დუისბურგი 1:2 ბაიერნი**

0:1 ტარნატი (7), 0:2 ლინკე (43), 1:2 ოსტჰოფი (67)
დუისბურგი: მენგერი, ემერლინგი (ბუგერა 79), ვოლერტი, კოვაჩევიჩი, შნაიდერი, ვოლტერსი (ჰოერსენი 52), ტიოფტინგი, ჰირში, ცაიერი, შპისი (ბაიერლე 56), ოსტჰოფი
ბაიერნი: დრეერი, ანდერსონი, მათეუსი, ლინკე, შტრუნცი, იერემისი (ფინკი 68), ეფენბერგი, ტარნატი, სალიჰამიჯიჩი, სანტა კრუზი (ელბერი 86), პაულო სერჟიო (შოლი 81)
გაფრთხილება: ჰირში, შნაიდერი, ემერლინგი, ვოლერტი, ეფენბერგი, სალიჰამიჯიჩი, შტრუნცი
მსაჯი: შტაინბორნი

**ჰამბურგი 5:1 ჰერტა**

1:0 მაჰდავიკია (2), 2:0, 3:0, 4:0 პრეგერი (24, 41, 67), 4:1 დარდაი (84), 5:1 კოვაჩი (90)
პრეეცმა ვერ გაიტანა პენალტი (54)
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, პანადიჩი, ჰოოგმა, ჰერჩი, გროთი, ნ. კოვაჩი, კარდოსო (გრამოცისი 83), ჰოლერბახი, მაჰდავიკია, იებოა (ჰაშემიანი 79), პრეგერი (დემბინსკი 74)
ჰერტა: კირალი, ჰერცოგი, ჰელმერი, ვაიტი, ჰარტმანი, ტომი, კონსტანტინიდისი, დარდაი, ნოიენდორფი (მიხალკე 63), პრეეცი, ვოში (დაეი 63)
გაფრთხილება: პრეგერი, კონსტანტინიდისი, ტომი
მსაჯი: დარდენე

**ლევერკუზენი 3:2 შალკე**

0:1 სანდი (37), 1:1 ნოივილი (64), 2:1 რაიხენბერგერი (68), 3:1 ბრდარიჩი(76), 3:2 გრეშკო (80 ს.კ.)
ლევერკუზენი: ჰაინენი, რ. კოვაჩი, ნოვოტნი, ჰაპე (გრეშკო 51), შნაიდერი, ემერსონი, რამელო, ბაინლიხი, პონტე (ბრდარიჩი 58), ნოივილი, ზე რობერტო (რაიხერბერგერი 63)
შალკე: რეკი, აიგენრაუხი, ვალდოხი, ტონი, ვან კერკჰოვენი, ჰელდი (მიულერი 68), გუსენსი, ვილმოტსი (ლატალი 77), ალპუგანი, ასამოა, სანდი
გაფრთხილება: ზე რობერტო, რამელო, კოვაჩი, ვან კერკჰოვენი, ვალდოხი, ასამოა
მსაჯი: ფლაიშერი

**ვერდერი 5:0 ლაუტერნი**

1:0 პიცარო (17), 2:0 ბოდე (42), 3:0 ბოგდანოვიჩი (46), 4:0 ფრინგსი (49), 5:0 დაბროვსკი (88)
ვერდერი: როსტი, ტიკუზუ (როემბიაკი 75), ბაუმანი, სეზარი (დაბროვსკი 73), ვიდნერი, ფრინგსი, ვიკი, აილტსი, ბოდე, პიცარო, ბოგდანოვიჩი (აილტონი 66)
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, კომლიენოვიჩი, რამზი, კოხი (ტარე 46), შიონბერგი, ბუკი, ხრისტოვი, შტრასერი (რაიხი 53), ვაგნერი, მარშალი, პეტერსონი (რატინიო 46)
გაფრთხილება: ვიდნერი
გაძევება: ხრისტოვი (17)
მსაჯი: აუსტი

**მიუნხენი 2:0 აინტრახტი**

1:0 მაქსი (25), 2:0 ჩერნი (83)
მიუნხენი: ჰოფმანი, პასლაკი, ვანენბურგი, კურცი, ჩერნი (ბორიმიროვი 85), რიდლი, ჰესლერი (პროსენიკი 62), ტაისი, პიურკი (გრაილიხი 80), ვინკლერი, მაქსი
აინტრახტი: ნიკოლოვი, იანსენი (ფიორტოფტი 78), ბინდევალდი, კრახტი, ცამპახი (გებჰარდტი 45), გუიე-მიენი, შური (კუჩერა 45), ჰელდტი, ვებერი, სალუ, ჩენ იანგი
გაფრთხილება: ჰესლერი, ვებერი, შური
მსაჯი: ფრიოლიხი

**ჰანზა 2:1 ულმი**

1:0 ოსვალდი (4), 1:1 გორა (79), 2:1 აგალი (90)
ჰანზა: პიკენჰაგენი, განსაუგე, ვაილანდტი, ოსვალდი, ლანგე (ტილემანი 75), ვიბრანი, იასერი, ემარა, ბრაიტკროიცი (აჰანფუფი 59), აგალი, კოვაჩევიჩი (არვიდსონი 68)
ულმი: ლაუქსი, უნსოლდი, გრაუერი, შტადლერი, რადოკი, ოტო, გორა, როსლერი, ზდრილიჩი (ვაიზი 67), ვან დერ ჰაარი, ტრკულია (შარინგერი 46)
გაფრთხილება: ლანგე, გორა, გრაუერი, ვან დერ ჰაარი
გაძევება: ვან დერ ჰაარი (45), გრაუერი (60), ვაიზი (77), რადოკი (90)
მსაჯი: ფანდელი

**უნტერჰახინგი 2:0 შტუტგარტი**

1:0 რაკლი (28), 2:0 კიოგლი (62)
უნტერჰახინგი: ვიტმანი, ბერგენი, შტრემელი, ზაიფერტი, მატიას ციმერმანი, ობერლაიტნერი, კიოგლი (შერტელი 78), შვარცი, შტრაუბე, რაკლი (მარკ ციმერმანი 60), ზაიტცი (გარსია 90)
შტუტგარტი: ვოლფარტი, ტიამი, შნაიდერი, ბორდონი, კელერი, ჯორჯევიჩი (პინტო 46), სოლდო, ბალაკოვი, კარნელი (ლისტეში 63), კუკა, დანდი (განეა 46)
გაფრთილება: შტრაუბე, კელერი, ლისტეში, ვოლფარტი
მსაჯი: კრუგი

**არმინია 0:0 ვოლფსბურგი**

არმინია: კოხი, პეტერსი, შტრატოსი, კლიცპერა, რიდლევიჩი (ბოდე 56), მაისნერი, ჰოფშნაიდერი (ვატერინკი 71), ვაისენბერგერი (ბაგერი 71), მაული, ლაბადია, ვან დერ ვენი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ონილი, ტომსენი, კრიგერი (მალტრიცი 27), გრაინერი, აკონორი, ნოვაკი, დამაიერი (ვუკი 75), ვაისერი (ბალვანცი 86), იუსკოვიაკი, აკპობორი
გაფრთხილება: კოხი, ბოდე, ნოვაკი, ვუკი
მსაჯი: ვაკი

# მოიგებდნენ, აბა რა?!



REUTERS ჰამბურგიდან

ჰამბურგი — ჰერტა 5:1. ჰამბურგელ როი პრეგერს ჰეთ თრიკის შესრულებაში ვაიტმაც (მარცხნივ) ვერ შეუშალა ხელი

ფრედი ბობიჩის მიერ 90-ე წუთზე გატანილმა გოლმა „ფრაიბურგს" პატარა სენსაციის მოხდენაში შეუშალა ხელი, ხოლო დორტმუნდის „ბორუსია" 1998 წლის 28 სექტემბრის შემდეგ ბუნდესლიგაში პირველი საშინაო მარცხისგან იხსნა.

თამაშამდე „ფრაიბურგი" ფრეზეც თანახმა იყო, მატჩის შემდეგ კი თითოეული ფეხბურთელი მოპოვებული ქულით უკმაყოფილო გახლდათ. ეს გასაკვირი არც არის, ნაწილობრივ ქართულ გუნდს ხომ ფაქტობრივად სამი ქულა ედო ჯიბეში.

არადა, 33-ე წუთზე მატჩის ბედი ყველამ გადაწყვეტილად ჩათვალა. დიარა კოლერს გაშლილი ფეხით ჩაუხტა და მსაჯსაც წითელი ბარათი გამოსტყუა. თუმცა „ფრაიბურგზე" ამ ეპიზოდმა უარყოფითად ვერ იმოქმედა. გუნდმა ძველებურად გააგრძელა და 41-ე წუთზე მიზანსაც მიაღწია. კობიაშვილის კუთხურიდან ჩაწოდებულს ბაიას უზუსტესი დარტყმა მოჰყვა. მანამდე იკპებას და ბობიჩს შეეძლოთ გატანა, მაგრამ კარგი მომენტები ვერ გამოიყენეს. მეორე ტაიმის დასაწყისშივე სტუმრებს კიდევ ერთი გოლის გატანის საშუალება მიეცათ, მაგრამ ბრუნსმა ლემანთან პირისპირ გასვლით ვერ ისარგებლა. მატჩის მიწურულს ჰერლიხს ჰქონდა გათანაბრების შანსი, მაგრამ გოლცმა სასწაულებრივ აულო. სამაგიეროდ, ბოლო წუთზე ბობიჩმა იმარჯვა და კოლერის დარტყმულს ზუსტად დაამატა — 1:1.

„დორტმუნდის" წინააღმდეგ სრულად მხოლოდ კობიაშვილმა ითამაშა, ცქიტიშვილი 77-ე წუთზე ჩაერთო მატჩში, ხოლო იაშვილის მინდორზე გაყვანა ფინკემ ვერ გარისკა.

„ბაიერნს" „დუისბურგთან" შეხვედრაში სტუმრად ძირითადი შემადგენლობის შვიდი ფეხბურთელი აკლდა, თუმცა სამი ქულის მოპოვება მაინც შეძლო. ჰიცფელდმა არ ათამაშა ფრანგი ბიქსენტე ლიზარაზუც, რომელსაც მათეუსთან სერიოზული კონფლიქტი აქვს, მწვრთნელმაც ამ უკანასკნელის დაყენება არჩია.

„საფეხბურთო ჰოლივუდმა", როგორც გუნდში ბოლო დროს დატრიალებული ამბების გამო „ბაიერნს" ეძახიან, თავიდანვე შეუტია სტაუჩეს გარეშე მოთამაშე „დუისბურგს" და შედეგსაც მალე მიაღწია. მე-7 წუთზე ტარნატმა ჯარიმიდან ჩვეულად დაარტყა და დაახლოებით 30 მეტრიდან ანგარიშიც გახსნა. ტაიმის მიწურულს შტრუნცის კუთხურს ლინკეს თავური მოჰყვა, ბურთი სალიჰამიჯიჩს მოხვდა და კარში აღმოჩნდა, თუმცა გოლი რატომღაც ლინკეს ჩაეთვალა — 2:0. მეორე ტაიმში მასპინძლები კი ეცადნენ, მაგრამ ერთი ბურთის გაქვითვალა მოახერხეს.

„პირველი ტაიმის დებიუტში ჩინებულად ვითამაშეთ. ტარნატმაც ბრწყინვალე გოლი გაიტანა. იმის შემდეგ ჩვენს თამაშს ფეხბურთი აღარ ეთქმოდა" — განაცხადა მატჩის შემდეგ ოტმარ ჰიცფელდმა.

„ევროპა, გაფრთხილდით, ჩვენ მოვდივართ" — აფრთხილებენ ბერლინის „ჰერტას" ქომაგები ევროპულ გრანდებს. „ჰერტამ" წლეულს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში თამაშის შანსი მოიპოვა და ბერლინელებიც ოპტიმისტურად განწყობილნი ელიან ხვალინდელ მატჩს სტუმრად „გალათასარაისთან". „ჰერტამ" თუ ლიგაშიც ისევე ითამაშა, როგორც შაბათს ჰამბურგში, მაშინ მალევე მოუწევს ევროპასთან დამშვიდობება. „ჰამბურგმა" „ჰერტას", რბილად რომ ვთქვათ, გადაუარა და „ლევერკუზენთან" ერთად ბუნდესლიგის ლიდერობაც განიმტკიცა.

„ჰერტას" რბევა მე-2 წუთზე ირანელმა მეჰდი მაჰდავიკიამ დაიწყო, მერე კი „ვოლფსბურგიდან" „ჰამბურგში" სეზონის წინ გადასული როი პრეგერის ჯერი დადგა. რომელმაც ზედიზედ სამი გოლი გაიტანა და 74-ე წუთზე თავისი ადგილი პოლონელ დემბინსკის დაუთმო. 84-ე წუთზე დარდაიმ გარღვევა განახორციელა და ანგარიში შეამცირა, თუმცა ბოლო წუთზე ნიკო კოვაჩმა ისარგებლა სტუმართა დაცვის მორიგი უხეში შეცდომით და „ჰერტას" განადგურებას წერტილი დაუსვა. ამ შეხვედრაში „ჰერტას" ლიდერი მიხაელ პრეეცი დაუბრუნდა, რომელმაც 90 წუთი ითამაშა, მაგრამ ხელი ისევ თაბაშირში ჰქონდა და ორთაბრძოლებსაც ხშირად ერიდებოდა, ისე, პრეეცს გოლის გატანის ჩინებული შანსი მაინც მიეცა, მაგრამ 54-ე წუთზე მისი პენალტი კოლეგათა რისხვა მეკარე ჰანს-იორგ ბუტმა მოიგერია.

გაჭირვებით მოიგო „ლევერკუზენმა", რომელიც „შალკეს" მასპინძლობდა. სტუმრებმა კონტრშეტევებზე ააგეს თამაში და სამჯერ მასპინძელთა კართან მწვავე მომენტებიც შექმნეს. გოლი კი ერთხელ გაიტანეს. 37-ე წუთზე თავი დანიელმა ებე სანდმა გამოიჩინა. „ლევერკუზენმა" მატჩის ხსნა მეორე ტაიმში შეძლო. ჯერ ნოივილმა აღადგინა წონასწორობა, შემდეგ რაიხენბერგერმა ისარგებლა ვან კერკჰოვენის შეცდომით და რეკს ბურთი თავზე გადაუგდო. 76-ე წუთზე ბრდარიჩმა რობერტო კოვაჩის პასი შეაშნო და დიდიქოს ყველაფერს ნათელი მოჰფინა — 3:1. თუმცა მე-80-ზე სანდმა ითამაშა კარგად, გრეშკო ბევრს ეცადა მისი დარტყმულის მოგერიებას, მაგრამ მხოლოდ ავტოგოლს გამორჩა. ბოლოს „შალკეს" ქულის მოპოვებაც შეეძლო, მაგრამ მატიშეკის ნაცვლად მოთამაშე ჰაინენმა შეუშალა ხელი.

ბუნდესლიგის მეორე „საფეხბურთო ჰოლივუდი" „კაიზერსლაუტერნი" „ჰერტაზე" მეტად შერცხვა ბრემენში „ვერდერთან". ამ მატჩში, ცხადია, არ უთამაშია (ალბათ აღარც მომავალში ითამაშებს) შვეიცარიელ ჩირიაკო სფორცას, რომელსაც მწვრთნელ ოტო რეჰაგელთან მოუვიდა უთანხმოება და ახლა გუნდიდან წასასვლელად აქვს საქმე. „ლაუტერნმა" ხუთი ბურთი გაუშვა, თავად კი ერთიც ვერ გაიტანა და მწარე მარცხი იწვნია. ამ შედეგზე მე-17 წუთზე სტუმარი ხრისტოვის გაძევებამაც იქონია გავლენა. თამაშის შემდეგ რეჰაგელმა ჟურნალისტებს სთხოვა, ამ წაგებას გუნდის შინაარეულობას ნუ დაუკავშირებთო. ისე, საინტერესოა, სხვა რისი ბრალი უნდა იყოს, ფეხბურთელთა ასეთი უჯიგრო და უემოციო თამაში.

ძალიან საინტერესოდ განვითარდა მოვლენები „ჰანზა" — „ულმის" მატჩში. მასპინძლები უკვე მე-4 წუთზე დაწინაურდნენ ოსვალდის ზუსტი დარტყმით. შემდეგ თამაში ისე გაგრძელდა, როგორც ამ დონის გუნდებს შეეფერებათ, 45-ე წუთზე კი დაიწყო...

არბიტრმა ფანდელმა ტაიმის ბოლო წუთზე ვან დერ ჰარი მეორედ გააფრთხილა და სტუმრებიც ათნი დარჩნენ. მე-60 წუთზე ფანდელმა „ულმს" მეორე ფეხბურთელიც გაუძევა — ვან დერ ჰაარის მსგავსად გრაუერმაც მეორე ყვითელი მიიღო. 77-ე წუთზე მესამე ულმელმაც დატოვა მინდორი, უხეშობა ვაიზს არ ეპატია. 79-ზე კი... ანგარიში გათანაბრდა. რვაკაციანმა და უმწვრთნელო (ფანდელმა ემოციურობა არც მარტინ ანდერმატს აპატია) „ულმმა" თერთმეტკაციან „ჰანზას" სტუმრად გაუტანა. 90-ე წუთზე ფანდელმა ბოლო იმედის ჯარიმისთვის რადოკი გააძევა. „ულმი" შვიდი კაცით დარჩა მინდორზე. სულ მალე კი აგალიმ გამოიყენა თავისი შანსი და სტუმრებს მეორე გოლი გაუტანა. თამაშიც მასპინძლებმა მოიგეს 2:1. მოიგებდნენ, აბა რა...

**ვანო ოქროპირიძე**

## მეორე ბუნდესლიგა

IV ტური

**ვალდჰოფი 1:1 კარლსრუე**
1:0 ვინჩე (29), 1:1 კრიგი (35)

**ბერლინი 2:0 ზტ. პაული**
1:0 ბრინკმანი (60), 250 ჩირიჩი (86)

**ოფენბახი 0:2 ჰანოვერი**
0:1 ბლანკი (21), 0:2 შტეფული (90)

**გლადბახი 1:2 ალემანია**
0:1 შმიდტი (15პ), 1:1 პოლსტერი (18), 1:2 დინი (41)

**ფორტუნა 1:0 ხემნიცი**
1:0 მუსავი (29)

**ფიურტი 1:0 კოტბუსი**
1:0 ტიური (83)

**კიკერსი 2:2 ობერჰაუზენი**
0:1 ვიერი (16), 0:2 ტობორგი (24), 1:2 ზაიმერი (67), 2:2 კარლი (72პ)

**მაინცი 1:1 ნიურნბერგი**
1:0 პოლიკელა (37), 1:1 ფაინბირი (75)

**ბოხუმი — კიოლნი**
ნუხელ გვიან გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:3 | 10 |
| კოტბუსი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:1 | 9 |
| ბერლინი | 4 | 2 | 2 | 0 | 9:6 | 8 |
| ფიურტი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| ბოხუმი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:1 | 7 |
| კიოლნი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ჰანოვერი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:7 | 7 |
| ალემანია | 4 | 2 | 1 | 1 | 8:9 | 7 |
| ხემნიცი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| ფორტუნა | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| ვალდჰოფი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:6 | 5 |
| კარლსრუე | 4 | 1 | 2 | 1 | 7:6 | 5 |
| კიკერსი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:11 | 4 |
| ზტ. პაული | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | 2 |
| მაინცი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | 2 |
| ობერჰაუზენი | 4 | 0 | 1 | 3 | 5:11 | 1 |
| ოფენბახი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:9 | 1 |
| გლადბახი | 4 | 0 | 0 | 4 | 3:10 | 0 |

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ჰამბურგი | 4 | 3 | 1 | 0 | 13:4 | 9 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 7 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 4 |
| 2 | ლევერკუზენი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 4 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 3 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 |
| 3 | აინტრახტი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:6 | 2 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | –1 | 3 |
| 4 | ვოლფსბურგი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | –1 | 1 |
| 5 | დორტმუნდი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 |
| 6 | ბაიერნი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 0 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | –1 | 3 |
| 7 | არმინია | 4 | 1 | 3 | 0 | 4:2 | 2 | 6 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 |
| 8 | მიუნხენი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:6 | 1 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | –4 | 0 |
| 9 | უნტერჰახინგი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 0 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | –4 | 0 |
| 10 | ჰანზა | 4 | 2 | 0 | 2 | 8:10 | –2 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:3 | 3 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | –5 | 0 |
| 11 | ვერდერი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:2 | 4 | 5 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:1 | 4 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 |
| 12 | ფრაიბურგი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:5 | 2 | 5 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 |
| 13 | ჰერტა | 4 | 1 | 2 | 1 | 8:9 | –1 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:6 | –4 | 1 |
| 14 | შალკე | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | –2 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | –2 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 |
| 15 | ლაუტერნი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:11 | –8 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | –1 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:9 | –7 | 0 |
| 16 | დუისბურგი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | –3 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | –1 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | –2 | 1 |
| 17 | ულმი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | –5 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | –1 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | –4 | 0 |
| 18 | შტუტგარტი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:7 | –6 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | –1 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | –5 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| პრეგერი (ჰამბურგი) | 4 |
| სალუ (აინტრახტი) | 4 |
| კოვაჩი (ჰამბურგი) | 3 |
| მაქსი (მინხენი) | 3 |

**V ტური**

17 სექტემბერი

| | | |
|---|---|---|
| შალკე | - | უნტერჰახინგი |
| მიუნხენი | - | დორტმუნდი |
| ლაუტერნი | - | ჰამბურგი |
| შტუტგარტი | - | დუისბურგი |
| ვოლფსბურგი | - | ვერდერი |
| ჰერტა | - | ლევერკუზენი |
| ულმი | - | არმინია |
| ფრაიბურგი | - | ჰანზა |
| აინტრახტი | - | ბაიერნი |

## იტალია

# შვიდი ოთხიანი ანუ ჯერ ადრეა

II ტური

**რომა 0:0 ინტერი**

რომა: ანტონიოლი, რინალდი, ალდაირი, მანგონე, კაფუ, ტომაზი (კ. ძანეტი 82), ასუნსაო, კანდელა, ტოტი, დელვეკიო, მონტელა (დი ფრანჩესკო 57)
ინტერი: პერუცი, პანუჩი, ბლანი, ჩიმიჩი, ხ. ძანეტი, დაბო (მორიერო 46), დი ბიაჯო (კოე 71), პაულუ სოუზა, გეორგატოსი, რონალდო (ვიერი 57), სამორანო
გაფრთხილება: დი ბიაჯო, მანგონე, მორიერო
მსაჯი: მესინა

**რეჯინა 2:2 ფიორენტინა**

1:0 კალონი (17პ), 1:1 ფირიკანო (33), 1:2 ჰაინრიხი (40), 2:2 რეგი (85)
რეჯინა: ორლანდონი, ჯაკეტა, კირილო (რეგი 76), სტოვინი, ბერნინი, ბრევი, ბარონიო, პრალია (მარტინო 61), მორაბიტო, კალონი, პოსანძინი
ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, ფირიკანო, პიერინი, დი ლივიო (ბრესანი 83), კოისი, ამოროზო, ჰაინრიხი, რუი კოშტა (ოკონი 70), კიეზა (მიატოვიჩი 77), ბატისტუტა
გაფრთხილება: მორაბიტო, კოისი, ბატისტუტა, მარტინო
მსაჯი: ჩეზარი

**უდინეზე 3:0 პიაჩენცა**

1:0 პოჯი (9პ), 2:0 ლოკატელი (74), 3:0 მუცი (81)
უდინეზე: ტურჩი, სოტილი, გარგო, ბერტოტო, ფიორე, ჯანიკედა, ვან დერ ვეგდტი (ბისგაარდი 74), უენო (იორგენსენი 69), ლოკატელი (პიძარო 83), მუცი, პოჯი
პიაჩენცა: რომა, ლუკარელი, დელი კარი, ვერხოვოდი, მანიგეტი, საკეტი (პიოვანი 46), კრისტალინი, მაცოლა (სტროპა 67), ლამაკი (მორონე 83), დიონიჯი, რასტელი
გაფრთხილება: ვან დერ ვეგდტი, ლოკატელი, მანიგეტი, ვერხოვოდი, მუცი
მსაჯი: სერენა

**პარმა 1:1 ბოლონია**

0:1 სინიორი (46), 1:1 ინგესონი (77ს.კ.)
პარმა: ბუფონი, ლასისი, ტურამი, კანავარო, ფუზერი, ვალემი, დ. ბაჯო (ბრედა 70), ვანოლი, ორტეგა (დი ვაიო 77), კრესპო (მაინი 89), სტანიჩი
ბოლონია: პალიუკა, პაგანინი, ბია, ტარანტინო, პარამატი (ფალკონე 11), ბინოტო, ინგესონი, მაროკი (ზე ელიასი 25), ნერვო, ვენტოლა (სანჩესი 80), სინიორი
გაძევება: სტანიჩი (86)
გაფრთხილება: ბინოტო, ტარანტინო, სტანიჩი
მსაჯი: რადომონტი

**მილანი 3:1 პერუჯა**

1:0 ბირჰოფი (28), 1:1 მატერაცი (40), 2:1 შევჩენკო (59), 3:1 ლეონარდო (71)
მილანი: აბიატი, კოსტაკურტა, აიალა (ნგოტი 75), მალდინი, გული, ალბერტინი (ჯუნტი 61), ამბროზინი, სერჟინიო, შევჩენკო (ლეონარდო 61), ბირჰოფი, ვეა
პერუჯა: მაძანტინი, დაინო, კალორი, მატერაცი, მილანეზე, ესპოზიტო, ოლივე (ბიზოლი 76), ტედესკო, რაპაიჩი, ნაკატა, მელი (ტაპია 73)
გაფრთხილება: ამბროზინი, სერჟინიო, ბიზოლი
მსაჯი: მაძოლი

**კალიარი 0:1 იუვენტუსი**

0:1 კონტე (57)
კალიარი: სკარპი, ვილა, ლოპესი, გრასადონია, მაიელე (ოლივეირა 46), ბერტა, კონტი (კავეცი 66), დე პატრე, მაკელარი, ონილი, მბომა (კორადი 83)
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ფერარა, მონტერო (ტუდორი 76), იულიანო, კონტე, ტაკინარდი, დავიდსი, პესოტო, ზიდანი (ძამბროტა 74), ინძაგი, დელ პიერო (ოლისე 87)
გაფრთხილება: გრასადონია, ტაკინარდი, ვილა, ტუდორი, კავეცი
მსაჯი: ბორიელო

**ბარი 0:0 ლაციო**

ბარი: ფ. მანჩინი (გრეგორი 52), დე როსა, გრაცია, ინოჩენტი, კოლაუტო (ჯორჯეტი 70), პეროტა, ოლივარესი (ფერარი 46), დ. ანტერსონი, მარკოლინი, ოსმანოვსკი, მასინგა
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, მიხაილოვიჩი, ფავალი, ლომბარდო (რ. მანჩინი), სიმეონე, ალმეიდა, ნედვედი, ს. ინძაგი (ბოკშიჩი 59), სალასი (კ. ანდერსონი 80)
გაფრთხილება: მასინგა, ალმეიდა, ფავალი, ნესტა, ს. ინძაგი
მსაჯი: ტრეოზი

**ტორინო 2:1 ვენეცია**

0:1 ვალტოლინა (34), 1:1 ფერანტე (64), 2:1 არტისტიკო (87)
ტორინო: ბუჩი, ბონომი, კრუზი (ივიჩი 46), მალტალიატი, დიავარა, ბრამბილა (არტისტიკო 67), სკარკილი, კოკო, ასტა, ფერანტე, ლენტინი (სომეზე 55)
ვენეცია: კონსელი, ბრიოსკი, ლუპი, ბილიკა, ვალტოლინა, იაკინი (ბერგი 70), ვოლპი, პედონე, ბეტარინი, პეტკოვიჩი (კარნაშალი 51), ბორგობელო (პავანი 77)
გაძევება: ბრიოსკი (51)
გაფრთხილება: ვოლპი, ბერგი, მალტალიატი, ფერანტე, სკარკილი, არტისტიკო, ბრიოსკი
მსაჯი: დე სანტისი

**ვერონა 2:0 ლეჩე**

1:0 მარასკო (20), 2:0 ალიეტი (43)
ვერონა: ბატისტინი, გონელა, ფრანჩესკეტი, მეძანო (ფალსინი 46), დიანა, მარასკო, კოლუჩი, მელისი, ჯანდებიაჯი, კამარატა (ადაილტონი 82), ალიეტი (სალვეტი 59)
ლეჩე: კიმენტი, პივოტო (ბილიოტი 62), ვიალი, ხუარესი, ბალერი, კონტიკო, სავინო (პიანჯერელი 77), ლიმა, პერადიზო (ბონომი 46), ლუკარელი, სესა
გაფრთხილება: ლუკარელი, ხუარესი, ლიმა, პარადისო, ალიეტი, სესა
მსაჯი: ტომბოლინი

ძალიან ძნელი საქთმელია, რატომ ითამაშა „ინტერმა“ რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“, „რომას“ წინააღმდეგ, პირველ ტაიმში შავი, მეორეში კი თეთრი ტრუსებით — ამის შესახებ, ჯერჯერობით, ინფორმაცია არ ჩამოსულა — თუმცა სერია A-ს მეორე ტურში უფრო მნიშვნელოვანი ამბები მოხდა.

მნიშვნელოვნად ის გარემოება გვეჩვენება, რომ ორი ტურის შემდეგ ორი გამარჯვება ერთ გუნდსაც არ აქვს, ხოლო თითო მოგებითა და ფრით ანუ ოთხი ქულით ცხრილის ზედა შვიდეული იწონებს თავს. ფავორიტები, „ინტერი“, „მილანი“, „ფიორენტინა“, „იუვენტუსი“ და „ლაციო“ სწორედ ამ შვიდეულში გახლავან, „პარმა“ და „რომა“ კი ორფრთიანთა ოთხეულში შეყოვნდნენ.

თუმცა, ცხრილის ანალიზს ჯერ კიდევ არ აქვს აზრი. ის, რომ ესა თუ ის გუნდი დაწინაურებულთა ჯგუფში არ არის, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დღეის სწორს იქ არ აღმოჩნდება. მოკლედ, ძალიან ადრეა.

სამაგიეროდ, ჩემპიონთა ლიგის თამაშებია კარს მომდგარი. იტალიიდან ლიგაში მოგეხსენებათ, სამი გუნდი გავიდა, „მილანი“, „ლაციო“ და „ფიორენტინა“. ამიტომაც მათდამი ბუნებრივი ყურადღება დამატებითი ნაპერწკალით გახლდათ შეხურებული.

„ლაციომ“, რომელიც დღეს ლევერკუზენის „ბაიერს“ ხვდება, ბარიში 0:0 ითამაშა. რომაელები ორივე ტაიმის განმავლობაში ფლობდნენ ინიციატივას, თუმცა ალენ ბოკშიჩმა, კენეტ ანდერსონმა, ატილიო ლომბარდომ და რობერტო მანჩინიმ თავიანთი წილი საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს და ვერ მოიპოვეს სამი ქულა, რომელიც გაზაფხულზე, ვინ იცის, როგორ მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.

„ფიორენტინა“, რომაელთა მსგავსად, დღეს თამაშობს ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩს. ფლორენციის გუნდი ევროპის კლუბთა მთავარ შეჯიბრებაში 30 წელიწადია, არ გასულა. დღეს იგი ლონდონის „არსენალს“ მასპინძლობს, შაბათს კი „რეჯინას“ სტუმრობდა.

მოგეხსენებათ, „რეჯინა“ ისტორიაში პირველადაა სერია A-ში და თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველ ტურში ტურინში ითამაშა „იუვენტუსთან“ (სხვათა შორის, 1:1 გაახერხა), გამოდის, რომ შაბათს ქალაქში უდიდესი მნიშვნელობის მატჩი შედგა — პირველი მასპინძლობა უძლიერესთა ლიგაში.

მასპინძლები ადრევე დაწინაურდნენ, მე-17 წუთზე მოჰამედ კალონმა პენალტით გახსნა ანგარიში (მან წინა ტურშიც შეაგდო), მაგრამ „ფიორენტინამ“ პირველსავე ტაიმში არათუ გაქვითა, დაწინაურებაც შეძლო.

„რეჯინა“ არგენტინელმა თავდამსხმელმა ენრიკე რეგიმ იხსნა. შეხვედრის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე მისმა ზუსტმა დარტყმამ რეჯო კალაბრიას ცენტრალური ქალაქის გუნდს 85-წლიან ისტორიაში პირველი საშინაო ქულა მოაპოვებინა. ბუნებრივია, რეჯინას სტადიონზე ტევა არ იყო, 26-ივე ათასი ბილეთი გაყიდული გახლდათ.

შაბათსვე ითამაშა „უდინეზემ“, რომელიც მართალია, ჩემპიონთა ლიგაში არ არის, მაგრამ უეფას თასზე დანიურ „ოლბორგთან“ დღეს უწევს გაჯიბრება. მოკლედ, ისიც სამშაბათისაა.

უდინელებმა „ლაციოსა“ და „ფიორენტინასგან“ განსხვავებით, გაიმარჯვეს (3:0) და ზემოხსენებულ ოთხქულიანთა შვიდეულს გატანილ-გაშვებულთა უკეთესი სხვაობის წყალობით სათავეშიც ჩაუდგნენ. სამი გოლიდან ყველაზე ლამაზი თომას ლოკატელიმ შეაგდო: „პიაჩენცას“ მეკარე, ფოავიო რომა ახლო ძელთან ჩამოიცილა და მახვილი კუთხიდან ბურთი ბადეში შეაგორა. ერთ-ერთი გოლი „უდინეზეს“ ახალმა შენაძენმა რობერტო მუციმაც გაიტანა. აღსანიშნავია, რომ მას პირველი ტურის შეხვედრაშიც ჰქონდა გოლი შეგდებული.





რომა — ინტერი 0:0. რომაელი ალდაირი (№6) სამორანოსა(№1+8) და რონალდოს მარტო აღუდგა

„მილანმა“ — ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგაში „ჩელსის“ უნდა დაუპირისპირდეს — იოლად დაამარცხა „პერუჯა“, 3:1. ჩემპიონთაგან ერთი გოლი, ცხადია, გერმანიის ნაკრების კაპიტანმა ოლივერ ბირჰოფმა გაიტანა, მეორე მისმა ახალმა თანაგუნდელმა, უკრაინელმა ანდრეი შევჩენკომ, რომელსაც უდინელი მუცის მსგავსად, ორ ტურში უკვე ორჯერ აქვს მეტოქის კარში ბურთი შეგდებული, ხოლო მესამედ პერუჯელთა მეკარე შევჩენკოს შემცვლელმა, ბრაზილიელმა ლეონარდომ დასცა.

მილანელთა მწვრთნელს, ალბერტო ძაკერონის კი თავისი ფეხბურთელებიდან ყველაზე მეტად სხვა ბრაზილიელი, განაპირა მცველი სერჟინიო მოეწონა:

„დღეს სერჟინიომ საუცხოოდ ითამაშა, თუმცა იგივეს მთელ გუნდზეც ვიტყოდი. ჩვენ თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში მოწინააღმდეგის ნახევარზე ვიყავით. მეტოქეს კი ერთადერთი შესაძლებლობა ჰქონდა, ის, რომელიც გამოიყენა.

„იუვენტუსის“ კაპიტანმა ანტონიო კონტემ თავისიანები კალიარიდან სამი ქულით დააბრუნა, ხოლო „პარმას“ ჯერ ერთი, ხორვატი მარიო სტანიჩი გაუძევეს, მეორეც, ბოლონიელ კლას ინგესონს თავით საკუთარ კარში რომ არ შეგდო, იქნებ ვერც გაექვითა ჯუზეპე სინიორის გოლი.

ხოლო „ინტერმა“ „რომასთან“ სტუმრობისას, შესვენებისას, შავი შორტები თეთრით რატომ შეცვალა, უცნობია. მილანელებმა გოლი ვერც შავი სამოსით გაიტანეს და ვერც თეთრით, ხოლო მათმა მეკარემ, ანჯელო პერუციმ შესვენებამდეც და შესვენების შემდეგაც დიდებულად ითამაშა.

ამ შეხვედრაში ტერიტორიულ უპირატესობას თითქოს უფრო „ინტერი“ ფლობდა, მაგრამ მწვავე მომენტები მასპინძლებისა იყო; ლუიჯი დი ბიაჯომ ყოფილ თანაგუნდელთა, რომაელთა წინააღმდეგ თავდებით ითამაშა. გააფრთხილეს კიდეც, მერე კი გამოცვალეს; დი ბიაჯოში გაცვლილმა, ფაქტობრივად, ხურდად დამატებულმა კრისტიანო ძანეტიმაც ყოფილ თანაგუნდელებს შეუტია, მაგრამ ვერას გახდა. თან დროც არ ეყო — მოედანზე მეორე ტაიმში შევიდა; ვერას გახდა რონალდო, სამაგიეროდ თავი დაგვამახსოვრა „ინტერის“ ბერძენმა შენაძენმა, გეორგიოს გეორგატოსმა...

**პაპუნა ძედია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | უდინეზე | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 2 | ინტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 3 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 3 | მილანი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 4 | ფიორენტინა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 5 | იუვენტუსი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 6 | ტორინო | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 7 | ლაციო | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 8 | ვერონა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | –1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | –3 | 0 |
| 9 | რეჯინა | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 10 | პარმა | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 11 | რომა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 12 | ბოლონია | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 13 | ვენეცია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | –1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | –1 | 0 |
| 14 | ბარი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | –1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | –1 | 0 |
| 15 | ლეჩე | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | –2 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | –2 | 0 |
| 16 | პერუჯა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | –2 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | –2 | 0 |
| 17 | პიაჩენცა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | –3 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | –3 | 0 |
| 18 | კალიარი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | –2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | –1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | –1 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვიერი (ინტერი) | 3 |
| შევჩენკო (მილანი) | 2 |
| კალონი (რეჯინა) | 2 |
| მუცი (უდინეზე) | 2 |

**III ტური**

19 სექტემბერი

ბარი — მილანი
ბოლონია — რეჯინა
ფიორენტინა — ვერონა
ინტერი — პარმა
იუვენტუსი — უდინეზე
ლაციო — ტორინო
პერუჯა — კალიარი
პიაჩენცა — ლეჩე
ვენეცია — რომა

## სერია B

III ტური

**ალძანო 2:1 ძიევო**

0:1 დე ჩეზარე (25), 1:1 სკალცო (55), 2:1 ბრავო (86)

**ბრეშა 4:1 სალერნიტანა**

1:0 ფილიპინი (6), 2:0 ძონონჩელი (23), 3:0 ბონაძოლი (26), 3:1 ბელმონტე (31), 4:1 ილანა (34)

**კოზენცა 2:1 მონცა**

1:0 აპა (21), 1:1 ამბროზი (45), 2:1 გუცო (90)

**ემპოლი 1:0 სამპდორია**

1:0 დი ნატალე (30)

**ჯენოა 1:2 პესკარა**

0:1 როსი (48), 0:2 ვუკოია (84), 1:2 ფრანჩიოზო (88)

**ნაპოლი 4:0 ფერმანა**

1:0 შვოხი (54), 2:0 ლუჩენტი (58), 3:0, 4:0 სტელონე (76, 88)

**პისტოიეზე 2:1 სავოია**

1:0 ბონალდი (50), 1:1 გირარდელო (51), 2:1 ბელოტო (64)

**რავენა 1:3 ატალანტა**

0:1 კაკია (1), 1:1 მურჯიტა (45), 1:2 ლორენცი (60), 1:3 ძენონი (63)

**ტერნანა 1:0 ვიჩენცა**

1:0 არტიკო (45პ)

**ტრევიზო 2:1 ჩეზენა**

1:0 პიცი (36), 2:0 ტონი (67), 2:1 შიენცა (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატალანტა | 3 | 3 | 0 | 0 | 7:3 | 9 |
| პესკარა | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| ალძანო | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ემპოლი | 3 | 2 | 0 | 1 | 2:1 | 6 |
| ტერნანა | 3 | 2 | 0 | 1 | 2:2 | 6 |
| ნაპოლი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:1 | 5 |
| ბრეშა | 3 | 1 | 2 | 0 | 5:2 | 5 |
| ჯენოა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| სავოია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ვიჩენცა | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| კოზენცა | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| პისტოიეზე | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| სამპდორია | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| კიევო | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 3 |
| ტრევიზო | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ჩეზენა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| რავენა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| მონცა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| სალერნიტანა | 3 | 0 | 1 | 2 | 3:8 | 1 |
| ფერმანა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:5 | 1 |

## სერია C1/A

II ტური. ალბინოლეფე — სიენა 1:1; ბრეშელო — კომო 1:1; კარარეზე — სანდონა 0:0; ჩიტადელა — ლივორნო 1:1; კრემონეზე — ლუმეცანე 0:0; ლეკო — რეჯანა 0:0; ლუკეზე — მონტევარკი 2:1; მოდენა — ვარეზე 1:1, პიზა — სპალ წუხელ გვიან გაიმართა

## სერია C1/B

II ტური. არეცო — გუალდო 3:1; ატლეტიკო — ფ. ანდრია 0:0; ასკოლი — პალერმო 0:1; ბენევენტო — აველინო 1:0; კროტონე — ვიტერბეზე 5:2; ჯულიანოვა — ანკონა 1:0; ლოდიჯანი — კატანია 2:1; მარსალა — სტაბია 1:1; ნოჩერინა — დი სანგრო 0:0

# შეუდარებელი და უცნაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ესპანეთი

III ტური

### ბილბაო 2:2 რეალი

1:0 ი. გერერო (15), 1:1 მაკმანამანი (20), 2:1 ხერემი (41 ს.კ.), 2:2 გუტი (76)

ბილბაო: ი. ეჩებერია, ფელიპე (ხავი გონსალესი 80), ლაკრუსი (ესკერო 58), ლარასაბალი, ფერეირა, ალკორტა, ი. გერერო, ურუტია, ედუ ალონსო (ლარაინსარი 66), ურსაისი, ხ. ეჩებერია

რეალი: კასილასი, რობერტო კარლოსი, ჟულიო ცეზარი, იერო, მიჩელ სალგადო, სავიო (ივან ელგერა 33), მაკმანამანი, რედონდო (გუტი 72), ხერემი, მორიენტესი (ანელკა 60), რაული

გაფრთხილება: მორიენტესი, მიჩელ სალგადო

გაძევება: მიჩელ სალგადო (28)

მსაჯი: დუდენ იბანიესი

### მალიორკა 3:0 ნუმანსია

1:0 სტანკოვიჩი (35), 2:0 კარლოსი (22), 3:0 დიეგო (31)

მალიორკა: ბურგოსი, მ. სოლერი, ფერნანდო ნინიო, ნადალი, ოლაისოლა, იბაგასა (ფ. სოლერი 66), სტანკოვიჩი, ლაურენი, ენგონგა, დიეგო (არმანდო 66), კარლოსი (კუინტეროსი 29)

ნუმანსია: პოპესკუ (მირალესი 52), ნუნიესი, ოკტავიო, მუნისი, ივან როჩა, ხაუმე, მორანი (ხორხე პერესი 21), კასტანიო (ინიაკი 62), ნაგორე, პაჩეტა, რუბენ ნავარო

გაფრთხილება: ბურგოსი, ნადალი, ნუნიესი, ივან როჩა

მსაჯი: მედინა კანტალიეხო

### ოვიედო 1:2 რასინგი

0:1, 0:2 სალვა (8პ, 45პ), 1:2 დელი ვალდესი (76)

ოვიედო: ესტებანი, რაბარივონი, ბორისი, ბანელი, დანჟუ, კლასენსი (გონსალესი 55), პომპეი (ივანი 30), პაულო ბენტო (ხაიმე 55), ესკურსა, დელ ვალდესი, ლოსადა

რასინგი: სებალოსი, სიეტესი, ტაისი, არსენო, მელბერგი, ისმაელი, ესპინა, მუნიტისი (რუშფელტი 79), სალვა, ამავისკა, მანხარინი (ჩემა 67)

გაფრთხილება: პაულო ბენტო, ბანგო, კლასენსი, პომპეი, დანჟუ, რაბაროვონი, ივანი, ხაიმე, ისმაელი, მუნიტისი, სებალოსი, არსენო

გაძევება: რაბარივონი (80)

მსაჯი: მეხია დავილა

### ბარსელონა 3:0 ესპანიოლი

1:0 რივალდო (71), 2:0 კლუივერტი (85), 3:0 რივალდო (86)

ბარსელონა: ჰესპი, სერხი, ბოგარდი, დეუ (ფ. დე ბური 35), რაიციგერი (რ. დე ბური 65), კოკუ, გვარდიოლა, გაბრი (ზენდენი 70), რივალდო, კლუივერტი, ფიგუ

ესპანიოლი: კავალიერო, კრისტობალი, როტჩენი, პოკეტინიო, არტეაგა (ტამუდო 65), სერხიო გალკა, დე ლუკასი (კორინი 46), მაერო, ნავასი, პოსე, ბენიტესი (როხერი 65)

გაფრთხილება: კოკუ, ზენდენი, ფიგუ, ფ. დე ბური, დე ლუკასი, პოკეტინიო, ბენიტესი, კორინო

გაძევება: პოკეტინიო (45პ)

მსაჯი: ფერნანდეს მარინი

### სევილია 0:0 სარაგოსა

სევილია: ვალენსია, ნანდო, მარჩენა, ეკტორი, პიბიჩი, კვედო (ტაბარე 38), ოლივერა (მოია 65), ცარტასი, პოდესტა, სალაიეტა, ხუან კარლოსი (ანხელი 46)

სარაგოსა: ხუანმი, აგუადო, სუნდგრენი, პაკო, პაბლო, მარკოს ვალესი, არაგონი (ხოსე იგნასიო 68), აკუნია, ჟამელი (ხუანელე 68), მილოშევიჩი, ველისკა (კუარტერო 75)

მსაჯი: ლოსანტოს ომარი

### დეპორტივო 2:0 ვალიადოლიდი

1:0 მაკაი (1), 2:0 ჯალმინია (26პ)

დეპორტივო: სონგო, რომერო, შურერი, სეზარი, ჯალმინია, ხაიმე, მაურო სილვა, სკალონი, ტურუ ფლორესი (მანუელ პაბლო 11), მაკაი (პაულეტა 85), ვიქტორი (ფერნანდო 76)

ვალიადოლიდი: სესარი, პეინზე (ეუსებიო 55), ორლანდო, პენია, მარკოსი, გარსია კალვო, აროლდ ლოსანო, ჩემა, ტურიელი (ლუის გარსია 78), კონგო (პეტერნაკი 55), ვიკტორი

გაფრთხილება: სესარი, აროლდ ლოსანო, ვიკტორი, გარსია კალვო

მსაჯი: იტურალდე გონსალესი

### რაიო 2:1 სოსიედადი

1:0 ფერონი (18), 1:1 იდიაკესი (55), 2:1 მიჩელი (90)

რაიო: კალერი, მიჩელ II (ელდერი 46), ფერონი, ესტიბარისი (მიჩელ I 73), ალკასარი, ლორენსი (ბოლო 61), ერნანდესი, კოტა, პოშნერი, სემბრანოსი, კანაბალი

სოსიედადი: ალბერტო, ლონეს რეკარტე, პიკაბეა, ლორენი, არანსაბალი, ადეპოჟუ (კუხზაუერი 31), ბარკერო (ანტია 74), ფ. გერერო, დე პაულა (ალდეონდო 54), ბონილია, იდიაკესი

გაფრთხილება: პოშნერი, ფერონი, პიკაბეა, ბარკერო, ფ. გერერო, იდიაკესი, ანტია, კუხბაუერი

გაძევება: ფ. გერერო (70)

მსაჯი: პრადოს გარსია

### ატლეტიკო 1:2 სელტა

0:1 კარპინი (32პ), 1:1 ვალერონი (37), 1:2 ხუანფრანი (86)

ატლეტიკო: ტონი, კაპდევილია, გამარა, სანტი, პილიპაუსკასი (გასპარი 46), ვალერონი, ვენტურინი (უგო ლეალი 72), ბეიბლი, ჰასელბაინკი, სოლერი, ლარდინი (პაუნოვიჩი 46)

სელტა: დუტრუელი, ველასკო, ჯოროვიჩი, კასერესი, მოსტოვოი (ჯოვანელა 56), სელადესი, მაკელელე, კარპინი (რევივო 72), ხუანფრანი, მაკართი (კავიედესი 66), გ. ლოპესი

გაფრთხილება: ტონი, ბეიბლი, სოლარი, გ. ლოპესი, ველასკო, ჯოროვიჩი, სელადესი, ჯოვანელა

მსაჯი: ანდრადას ასურმენდი

### ვალენსია 0:2 ალავესი

0:1 მანიო (83), 0:2 ასტუდილიო (88)

87-ე წუთზე პაბლომ (ალავესი) ვერ გაიტანა პენალტი

ვალენსია: კანისარესი, ფაჯანი (ოსკარი 76), პელეგრინო, ბიორკლუნდი, ანგლომა (როში 24), კილი გონსალესი, მენდიეტა, ხერარდი, ანგულო, კ. ლოპესი, ხუან სანჩესი (ილიე 64)

ალავესი: ერერა, ტორეს მესტრე, ტელესი, კარმონა, კონტრა, ნან რივერა (მორალესი 75), დესიო, პაბლო, იბონ ბეგონია (მანიო 52), ასტუდილიო, ხავი მორენო (სალინასი 62)

გაფრთხილება: ფაჯანი, კარმონა, პაბლო, დესიო, ტელესი

გაძევება: ბიორკლუნდი (86)

მსაჯი: ლოპეს ნიეტო

### მალაგა 3:0 ბეტისი

1:0 ვალკარსე (26), 2:0 დე ლოს სანტოსი (51), 3:0 კატანია (69)

მალაგა: კონტრერასი, როტეტა, ვალკარსე, ლარაინსარი, ბრავო, როხასი, დე ლოს სანტოსი (ფერნანდო სანსი 86), რუფეტე, კატანია, დარიო სილვა (ლუკე 67), ედგარი (სანდრო 73)

ბეტისი: ტონი პრატსი, ფილიპესკუ, ბორნესი, კარპანი, რივასი, ოტერო, ფინიდი, დენილსონი, ალექსისი (იტო 82), ბენხამინი, ოლი (ალფონსო 60)

გაფრთხილება: დარიო სილვა, როტეტა, ლარიანსარი, ვალკარსე, დენილსონი

მსაჯი: დიას ვეგა



REUTERS ბარსელონიდან

„ესპანიოლთან" თამაშამდე „ბარსელონას" ქვეყნის ჩემპიონის კუთვნილი თასი გადასცეს.
დგანან მარცხნიდან: ჰესპი, ბოგარდი, გვარდიოლა, რივალდო, დეუ
სხედან: კლუივერტი, რაიციგერი, კოკუ, სერხი, ფიგუ, გაბრი

„ბარსელონას" გულშემატკივრებს აღარ აეჭვებთ ის, რომ კლუბის ბრაზილიელი თავდამსხმელი რივალდო წლეულს საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდება. კატალონიელებს სწამთ, რომ „ფრანს ფუტბოლის" დაწესებული ოქროს ბურთი, რომელიც აგერ უკვე თითქმის ნახევარი საუკუნეა, წლის საუკეთესო მოთამაშეებს გადაეცემათ, შობის დღესასწაულისთვის ბრაზილიელის ხელთ აღმოჩნდება.

ბარსელონაში ბევრია ისეთი კლუბი, რომლებშიც „ბარსელონას" ერთგული გულშემატკივრები ერთიანდებიან. საერთოდ, ასეთ ორგანიზაციებს თუ გაერთიანებებს ფან-კლუბებად მოიხსენიებენ. ერთი სიტყვით, ესპანეთის ჩემპიონთა ქომაგები ყოველი სეზონის დასრულებისთანავე საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად გამოკითხვას ატარებენ, ხოლო გამარჯვებულს, ანუ რჩეულ მოთამაშეს რაიმე ფასიანი საჩუქრით კი არა, უბრალოდ, ლამაზი ტიტულით — „გულშემატკივართა გულის გამხარებლის" სახელით აჯილდოებენ. თუ ვინ უხარებს გულს კატალონიელთა ქომაგებს, ბოლო ორი წლის მანძილზე, ვფიქრობთ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. ეგ კი არა, „ბარსელონას" თავგადაკლული მხარდამჭერნი ბრაზილიელ რივალდოს კლუბის ისტორიაში საუკეთესოდ თუ არა, ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ ნამდვილად მიიჩნევენ. ლუის სესარ კავალიერო, „ბარსელონას" გულშემატკივართა ერთ-ერთი კლუბის დირექტორი, ამბობს, რომ ოქროს ბურთი რივალდოს ხელებში, ეს ქომაგებისთვის უდიდესი სიხარული იქნება.

შობის დღესასწაულამდე და შესაბამისად, „ფრანს ფუტბოლის" მორიგ რეფერენდუმამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა, თუმცა ერთი რამ ახლავე შეიძლება ითქვას — რივალდო ოქროს ბურთის უპირველესი კანდიდატია. „ბარსელონას" ლიდერი ბოლო წლებია, ჩინებულად თამაშობს.

ბარსელონურ დერბიში ბრაზილიელმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დღესდღეობით მასავით ძლიერი არავინაა და „ესპანიოლთან" ჩინებული თამაში, 98 ათასი გულშემატკივრის გასახარად, ორი გოლით დაამშვენა.

„ესპანიოლთან" მატჩი „ბარსელონას" გულშემატკივრებისთვის სასიხარულოც იყო და შიშის მომგვრელიც. თავად გუნდი აქ არაფერ შუაშია, პირიქით, როცა თითქმის გადაჭედილ „კამპ ნოუს" „ბარსელონა" ესპანეთის ჩემპიონისთვის განკუთვნილი თასით წარუდგა, მაყურებელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ქომაგები მწვრთნელის, ლუის ვან გაალის განცხადებამ დაზაფრა — ჰოლანდიელს გადაუწყვეტია, ბარსელონელთა კერპი ლუის ენრიკე ივან დე ლა პენიას, მიგელ ანხელ ნადალის, ჯოვანის და სხვათა გზას გაუყენოს, ანუ კლუბიდან გაუშვას:

— ფეხბურთელებთან ურთიერთობა ყოველდღე მიწევს და მათ მუდამ ვაკვირდები. გამორიცხულია, რაიმე ცვლილება გამომეპაროს, პროგრესი იქნება ეს თუ რეგრესი. ლუის ენრიკეს აშკარად ემჩნევა, რომ ბოლო ხანებში ძველებურად ველარ თამაშობს, არასტაბილური გახდა და, შესაბამისად, მიჭირს მასზე დაყრდნობა. თუ სიტუაცია არ გამოსწორდა, ლუის ენრიკეს სხვაგან მოუწევს გადასვლა."

გულშემატკივართათვის ძნელია საყვარელ ფეხბურთელებთან განშორება, მაგრამ მწვრთნელებს ეს არ აინტერესებთ. ისინი ულმობელნი არიან — როცა მოთამაშისგან სარგებელს ველარ ხედავენ, მის არცთუ უსახელო წარსულს ხელს აფარებენ და ასხვისებენ. ალბათ, ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ გაუჭირდებათ „ბარსელონას" ქომაგებს ლუის ენრიკესთან გამოთხოვება, ფეხბურთელთან, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ „კამპ ნოუზე" მადრიდის „რეალიდან" მივიდა (ეს კი თავადვე ხვდებით, რას ნიშნავს!) მალევე იქცა „ბარსელონას" ვარსკვლავად.

ლუის ენრიკეს მადრიდში დაბრუნებას ესპანელი ჟურნალისტები არ გამორიცხავენ, თუმცა საეჭვოა, ასე მოხდეს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ გაურკვეველია, საერთოდ დატოვებს თუ არა ნახევარმცველი „ბარსელონას", მეორეც, ლუის ენრიკე „რეალიდან" ისე წავიდა, თავმოყვარე კაცი იქით არც გაიხედავს. ერთი სიტყვით, ჯერ ამაზე საუბარი ადრეა.

მისი ახლანდელი კლუბი პრიმერა დივიზიონის ლიდერია, მისმა ყოფილმა კლუბმა, სამეფოდ წოდებულმა მადრიდის „რეალმა" კი ამ სეზონში პირველად დაკარგა ქულები — ბილბაოში მხოლოდ ფრეს დასჯერდა.

— ძნელია, როდესაც ფეხბურთელს გიძევებენ, კაცნაკლულს გიწევს თამაშის გაგრძელება. ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ. უდავოდ რთული მატჩი იყო და მოხარული ვარ, რომ მარცხს თავი დავაღწიეთ. მიუხედავად იმისა, რომ ფრედ ვითამაშეთ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს შეხვედრა ჩვენს სასარგებლოდ დასრულდა — განაცხადა ჯონ ტოშაკმა, მადრიდელთა უელსელმა მწვრთნელმა.

ესპანელები ტოშაკს ერთ შენაძენს უწონებენ — ინგლისელ ნახევარმცველ სტივ მაკმანამანს ჟურნალისტები მუდამ აქებენ. ექსლივერპულელი მადრიდს მოერგო. ვერ გეტყვით, მომავალშიც ასე კარგად ითამაშებს ინგლისელი პრიმერა დივიზიონში თუ არა, მაგრამ, ფაქტია, რომ ადაპტაციამ ჩინებულად ჩაიარა — მაკმანამანმა უკვე მეორე გოლი გაიტანა და თან უბრწყინვალესი.

— შარშან „რეალთან" წავაგეთ. მინდოდა, ახლა მაინც დაგვემარცხებინა მეტოქე, მაგრამ არ გამოგვივიდა, თუმცალა საამისოდ არაფერი დაგვიშურებია — განუცხადა მასმედიას პირველი გოლის გამტანმა იულენ გერერომ.

გერეროს გოლი მაკმანამანმა გაქვითა. უკვე გითხარით, ლამაზი გოლი იყოო. ლამაზი კი იმიტომ, რომ ალბიონელმა, სანამ იმანოლ ეჩერებრიას კარს დალაშქრავდა, სამი მეტოქე მოატყუა, მერე ბურთი სავიოსთან გაათამაშა და გოლიც ამის შემდეგ შეაგდო. შემდეგ მეტოქეებმა გოლები გაცვალეს, საბოლოოდ კი ფრე — 2:2.

**ლაშა გოდუაძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბარსელონა | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 2 | რაიო ვალეკანო | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 4 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 3 | დეპორტივო | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 5 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 4 | რეალი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 4 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 |
| 5 | მალაგა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 3 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | –1 | 0 |
| 6 | რასინგი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 1 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | –1 | 0 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 6 |
| 7 | სელტა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 |
| 8 | ალავესი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 0 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | –1 | 3 |
| 9 | სოსიედადი | 3 | 1 | 1 | 1 | 7:5 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | –1 | 1 |
| 10 | სარაგოსა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | –2 | 1 |
| 11 | ბილბაო | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | –1 | 0 |
| 12 | მალიორკა | 3 | 1 | 0 | 2 | 5:4 | 1 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | –1 | 0 |
| 13 | ვალიადოლიდი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | –2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | –3 | 0 |
| 14 | ესპანიოლი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | –3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | –4 | 0 |
| 15 | ოვიედო | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | –4 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | –4 | 0 |
| 16 | ნუმანსია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | –5 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | –6 | 0 |
| 17 | სევილია | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | –1 | 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | –1 | 0 |
| 18 | ბეტისი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | –4 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | –4 | 0 |
| 19 | ვალენსია | 3 | 0 | 0 | 3 | 3:7 | –4 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | –3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | –1 | 0 |
| 20 | ატლეტიკო | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | –6 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | –3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | –3 | 0 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მაკაი (დეპორტივო) | 4 |
| სალვა (რასინგი) | 4 |
| რივალდო (ბარსელონა) | 3 |
| კატანია (მალაგა) | 3 |

IV ტური

19 სექტემბერი

სოსიედადი — მალიორკა
სელტა — რაიო
სარაგოსა — ატლეტიკო
რასინგი — სევილია
ესპანიოლი — ოვიედო
ალავესი — ბარსელონა
ბეტისი — ვალენსია
ვალიადოლიდი — მალაგა
რეალი — დეპორტივო
ნუმანსია — ბილბაო

## მეორე დივიზიონი

IV ტური

### ატლეტიკო B 1:3 კომპოსტელა

0:1 ჩანგი (27), 0:2 ლიასი (36), 1:2 მოლინა (53), 1:3 ვიედმა (66)

### ტოლედო 1:3 ლას პალმასი

0:1 ტევენე (31), 1:1 კინი (44), 1:2 ტევენე (56), 1:3 სეკუეიროსი (81)

### ელჩე 1:1 ხეტაფე

1:0 კარმელო (5), 1:1 ხავი ხიმენესი (79)

### ეიბარი 0:1 ესტრემადურა

0:1 დურე (38)

### ტენერიფე 1:1 სალამანკა

1:0 ემერსონი (7პ), 1:1 სილვანი (16)

### ლეგანესი 0:1 ოსასუნა

0:1 ალფრედო (12)

### სპორტინგი 2:1 ლეიდა

0:1 ხავი პენია (8), 1:1 ჩერიშევი (71), 2:1 მარიო (85)

### ვილიარეალი 0:0 ბადახოსი

### მერიდა 0:0 კორდობა

### უელვა 1:1 ლოგრონიესი

1:0 ხოსე (33), 1:1 მოლისტი (86)

### ლევანტე 2:0 ალბასეტე

1:0 ტომასი (6), 2:0 სალილიასი (76პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესტრემადურა | 4 | 4 | 0 | 0 | 6:1 | 12 |
| კომპოსტელა | 4 | 3 | 0 | 1 | 8:3 | 9 |
| ლას პალმასი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:4 | 9 |
| ოსასუნა | 4 | 3 | 0 | 1 | 5:2 | 9 |
| სპორტინგი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| სალამანკა | 4 | 2 | 2 | 0 | 6:2 | 8 |
| მერიდა | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 8 |
| ლევანტე | 4 | 2 | 1 | 1 | 8:6 | 7 |
| ტენერიფე | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| უელვა | 4 | 2 | 1 | 1 | 4:5 | 7 |
| ვილიარეალი | 4 | 1 | 3 | 0 | 4:2 | 6 |
| ბადახოსი | 4 | 1 | 3 | 0 | 3:2 | 6 |
| ალბასეტე | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| ელჩე | 4 | 0 | 3 | 1 | 4:5 | 3 |
| ატლეტიკო B | 4 | 1 | 0 | 3 | 5:8 | 3 |
| ტოლედო | 4 | 1 | 0 | 3 | 3:7 | 3 |
| ლოგრონიესი | 4 | 0 | 2 | 2 | 7:9 | 2 |
| ხეტაფე | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | 2 |
| ეიბარი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | 2 |
| ლეგანესი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:8 | 1 |
| კორდობა | 4 | 0 | 1 | 3 | 0:4 | 1 |
| ლეიდა | 4 | 0 | 1 | 3 | 4:9 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუსეთი

XXIII ტური

**ალანია 0:2 ლოკომოტივი**
0:1 ხარლაჩევი (6), 0:2 ლოსკოვი (61)

**კრილია 1:2 დინამო**
0:1 კლიუევი (27), 1:1 პეტროსიანცი (37), 1:2 იახიმოვიჩი (63)

**ცსკა 2:0 როსტსელმაში**
1:0 სემაკი (53), 2:0 კულიკი (59)

**ზენიტი 1:0 ნ. ნოვგოროდი**
1:0 პოპოვიჩი (25)

**ურალანი 1:1 ჟემჩუჟინა**
1:0 შუკანოვი (27), 1:1 ბონდარევი (87)

**შინიკი 0:0 სატურნი**

**ჩერნომორეცი 1:1 როტორი**
1:0 კუცენკო (17), 1:1 ვერეტენიკოვი (66)

ქართველ გულშემატკივრებს, რა თქმა უნდა, „ალანია" — „ლოკომოტივის" პერიპეტიები გაინტერესებთ. ამ მატჩში ხომ ხუთმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა. მათგან სამი (წერეთელი, ჭიჭველიშვილი, დემეტრაძე) ბოსკამპის ნაკრების წევრია. მათი ალანიელი თანაგუნდელი გია ჩხაიძე გუცაევის ნაკრების ღირსებას იცავდა. რაც შეეხება „ლოკომოტივის" ქართველ ფორვარდ ზაზა ჯანაშიას, კარგად მოგეხსენებათ, რომ ბოსკამპმა ეროვნული გუნდიდან მოკვეთა.

ვინაიდან ვლადიკავკაზური მატჩის პირდაპირი ტელეტრანსლაცია ბევრმა თქვენგანმა იხილა, თავს არ შეგაწყენთ. უბრალოდ გაგაცნობთ, როგორ შეაფასა გაზეთმა „სპორტ-ექსპრესმა" ჩვენებურების თამაში. დანარჩენი თქვენთვის მოგვინდვია.

ჭიჭველიშვილი (4,5) — ითამაშა არასაიმედოდ. შესვენების მერე გამოცვალეს.

წერეთელი (4,5) — ამ შეხვედრაში მის მოქმედებას აქტივში ვერაფრით ჩავუთვლიდით. ჯანაშიას საშუალება მისცა, კარის გასწვრივ გადაეწოდებინა ბურთი ხარლაჩევისთვის და ამას გოლი მოჰყვა.

დემეტრაძე (6,5) — „ალანიაში" საუკეთესო იყო. ნიგმატულინის კართან მუდმივად ამწვავებდა სიტუაციას. ჰქონდა რამდენიმე კარგი მომენტი, მაგრამ მისმა მეურვე არიფულინმა თავის გამოჩენის საშუალება არ მისცა.

შეცვლაზე შესული გია ჩხაიძის თამაში არ შეუფასებიათ.

ჯანაშია (7,5) — მატჩის საუკეთესო მოთამაშე. მეტოქის დაცვა დაარბია. ორი საგოლე პასი გააკეთა... ტრავმის გამო თამაში ველარ გააგრძელა.

ზაზას ტრავმამ არ აგალელვოთ. ძველმა იარამ შეახსენა თავი. იგი „ლოკომოტივს" უეფაზეც დაეხმარება. საკითხავი ისაა, ჩვენი ნაკრები როდის დაიხმარს ჯანაშიას...

**ხვიჩა სანიკიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 25 | 18 | 5 | 2 | 57:18 | 59 |
| ლოკომოტივი | 23 | 16 | 4 | 3 | 52:23 | 52 |
| ცსკა | 23 | 11 | 8 | 4 | 40:21 | 41 |
| ტორპედო | 23 | 10 | 9 | 4 | 29:25 | 39 |
| დინამო | 23 | 10 | 5 | 8 | 37:33 | 35 |
| ალანია | 22 | 10 | 4 | 8 | 43:30 | 34 |
| ზენიტი | 23 | 8 | 8 | 7 | 28:26 | 32 |
| ნ. ნოვგოროდი | 23 | 8 | 4 | 11 | 25:35 | 28 |
| როსტსელმაში | 22 | 7 | 6 | 9 | 21:27 | 27 |
| სატურნი | 24 | 6 | 7 | 11 | 22:32 | 25 |
| როტორი | 23 | 6 | 6 | 11 | 29:42 | 24 |
| ჩერნომორეცი | 23 | 6 | 6 | 11 | 22:36 | 24 |
| ურალანი | 23 | 6 | 5 | 12 | 19:31 | 23 |
| კრილია | 24 | 6 | 4 | 14 | 31:42 | 22 |
| ჟემჩუჟინა | 23 | 4 | 9 | 10 | 20:37 | 21 |
| შინიკი | 23 | 4 | 8 | 11 | 14:31 | 20 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| დემეტრაძე (ალანია) | 18 |
| ტიხონოვი (სპარტაკი) | 16 |
| ლოსკოვი (ლოკომოტივი) | 12 |




ვიდრე რუსეთის ჩემპიონი „ტარასოვკას" ბაზაზე ჩემპიონთა ლიგის შეხვედრისთვის ემზადება, „ლოკომოტივი" მოსკოვის „სპარტაკთან" ქულათა სხვაობას ამცირებს

## ჰოლანდია

IV ტური.

**სპარტა 3:0 უტრეხტი**
1:0 მარბუსი (34), 2:0 ელ ხატაბი (41), 3:0 მარბუსი (58)

**გრააფსხაპი 1:2 ეინდჰოვენი**
0:1 ხოხლოვი (21), 1:1 როელოფსენი (42), 1:2 ნილისი (89)

**სიტარდი 0:2 ვარვაიკი**
0:1 უგენდორპი (29), 0:2 კორნელისე (90)

**ტვენტე 0:0 ვიტესი**

**ჰერენვენი 2:4 ტილბურგი**
1:0 დენებუმი (37), 1:1 ვიქტორია (48), 1:2 ბომბარდა (63), 2:2 დე ნოიერი (82), 2:3, 2:4 სანუ (89, 90)

**მაასტრიხტი 1:1 კამბური**
0:1 გუდმინი (4), 1:1 ტაივო (90)

**აიაქსი 2:2 ფეიენოორდი**
1:0 კნოპერი (17), 2:0 ვამბერტო (58), 2:1 ბოსველტი (60), 2:2 კალუ (68)
აიაქსი: გრიმი, ნიუენბურგი, ვერლაატი, დე კლერი, ვინტერი, დანი (ვიერკლაუ 48), კნოპერი, ვიჩგე, არველაძე (ვამბერტო 46), მახლასი (როიზერი 57), ლაუდრუპი

**ალკმაარი 1:2 როდა**
0:1 დოომერნიკი (2), 0:2 ზაფარინი (22), 1:2 ჰუიბერსი (68)

— ჩვენ ძალიან სწრაფად ვითამაშეთ. მეტოქეს სწორედ ამით ვაჯობეთ. თუმცა გუნდის მოქმედებით მაინც უკმაყოფილო ვარ — განაცხადა ეინდჰოვენელთა ბელგიელმა მწვრთნელმა ერიკ გერეტსმა.

ჰოლანდიის ჩემპიონატის ლიდერი „ეინდჰოვენი" უსახელო „გრააფსხაპზე" მარდი ალმოჩნდა. სტუმრებმა მეორე და გადამწყვეტი გოლი უსწრაფესად გათამაშებული კომბინაციის შემდეგ გაიტანეს.

— რატომ უნდა დაველოდო მეტოქის მცველებს, რომლებიც იმის მაგივრად, რომ თავდამსხმელებს მეურვეობდნენ, მსაჯს ეკამათებიან? მე ჩემი საქმე გავაკეთე, გოლი გავიტანე, ახლა ეს გოლი, ვისაც როგორ მოესურვება, ისე მიიღოს — თქვა ლუკ ნილისმა, „ეინდჰოვენის" კიდევ ერთმა ბელგიელმა.

გოლი, რომელიც ნილისმა გაიტანა, ზოგიერთთა აზრით, წესების დარღვევით გავიდა, ზოგიც საწინააღმდეგოს ამტკიცებს. სიტუაცია კი ასეთი იყო: სტუმართა ერთ-ერთი ბოლო შეტევა გრააფსხაპელებმა უხეშად ჩაშალეს, რის გამოც დაჯარიმდნენ კიდეც. მასპინძლები მსაჯს მივარდნენ, ამ დროს კი „ეინდჰოვენის" ფინელმა ნახევარმცველმა იონას კოლკამ უმეთვალყურეოდ დარჩენილი ლუკ ნილისი დაინახა, ბურთიც გაუთამაშა, ბელგიელმა კი „გრააფსხაპს" წესი აუგო.

ოთხი ტურის შემდეგ „ეინდჰოვენი" ერთადერთი გუნდია, ქულა რომ არ დაუკარგავს. ჰოლანდიური ფეხბურთის სამი გრანდიდან დანარჩენ ორს — „აიაქსსა" და „ფეიენოორდს" შეეძლო, ასპროცენტიანი შედეგით გაეგრძელებინა სვლა ჩემპიონობისკენ, მაგრამ მათი დაპირისპირება ფრედ დასრულდა. ტურის ცენტრალურ მატჩად სწორედ „ამსტერდამ არენაზე" შემდგარი შეხვედრა მიიჩნეოდა.

მასპინძელთა ბრაზილიელი თავდამსხმელი ვამბერტო არც მეტი, არც ნაკლები მეტრი და 62 სანტიმეტრი სიმაღლისაა, მაგრამ როტერდამელებს ლამაზი თავურით გოლი კი გაუტანა.



აიაქსი — ფეიენოორდი 2:2. შოთა არველაძე ტრავმის გამო შეცვალეს

არა, ბრაზილიელს არც სტუმართა მცველებისთვის უჯობნია და არც შემთხვევით მოხვედრია ბურთი თავზე, უბრალოდ, შესანიშნავმა დანიელმა ფეხბურთელმა ბრაიან ლაუდრუპმა იმდენად დიდებული პასი მიაწოდა კარის წინ ეულად მყოფ ვამბერტოს ამ უკანასკნელს ხელი რომ მოსცარვოდა, თავის მოჭრა იქნებოდა. მასპინძლები 2:0 დაწინაურდნენ, რამაც ამსტერდამელთა მწვრთნელი იან ვოუტერსი ისე გაახარა, იგი მოედანზე შევარდა, თუმცა საქმე არც ისე ყოფილა, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა.

მალე ბოსველტი ერთ გოლს ქვითავს, მოგვიანებით კი „ფეიენოორდის" კოტდივუარელ თავდამსხმელ ბონავენტურა კალუს მეორე ბურთი გააქვს. ამსტერდამელთა იმედებს ცივი წყალი გადაესხა, 84-ე წუთზე კი ჟან პოლ ვან გასტელმა დედაქალაქელებს სიმწრის ოფლი ადინა — მისი საჯარიმო დარტყმა „აიაქსის" კარის ძელმა მოიგერია. გოლი რომ გასულიყო, „ფეიენოორდი" „აიაქსის" მინდორზე 1987 წლის შემდეგ პირველად გაიმარჯვებდა.

ტურის სხვა შეხვედრებიდან უდავოდ აღსანიშნავია „ტილბურგის" მიერ ბოლო წუთებზე მოპოვებული სამი ქულა ჰერენვენში — ჩემპიონთა ლიგაში მოთამაშე ტილბურგელებმა მასპინძლებს გამარჯვება 89-ე და 90-ე წუთებზე დასტყუეს.

**ლაშა გოდუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 4 | 4 | 0 | 0 | 14:4 | 12 |
| ფეიენოორდი | 4 | 3 | 1 | 0 | 13:3 | 10 |
| აიაქსი | 4 | 3 | 1 | 0 | 14:6 | 10 |
| ტილბურგი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:5 | 10 |
| ვალვაიკი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| როდა | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| ალკმარი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| უტრეხტი | 3 | 2 | 0 | 1 | 2:3 | 6 |
| ტვენტე | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| ვიტესი | 4 | 1 | 2 | 1 | 8:9 | 5 |
| სპარტა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ჰერენვენი | 4 | 1 | 0 | 3 | 8:11 | 3 |
| გრააფსხაპი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| კამბური | 4 | 0 | 2 | 2 | 2:9 | 2 |
| სიტარდი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:8 | 1 |
| დენ ბოსხი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |
| მაასტრიხტი | 4 | 0 | 1 | 3 | 6:17 | 1 |
| ნაიმეგენი | 3 | 0 | 0 | 3 | 5:9 | 0 |

## ბელგია

V ტური

**სენტ ტრუიდენი 1:5 აალსტი**
1:0 ისაიაში (8), 1:1 გრომენი (50), 1:2 კურემენი (56), 1:3 ტიებო (81), 1:4 ვან დენ ბოში (89), 1:5 ვერგილენი (90)

**მუსკრონი 5:3 გენტი**
0:1 ნილსენი (21), 1:1, 2:1 ზევლაკოვი (38, 40), 3:1 ტანგე (47), 3:2 რუსელი (64პ), 4:2, 5:2 ტანგე (74, 86), 5:3 ნილსენი (90)

**ლიერსი 5:1 მეხელენი**
1:0 ვან მეირი (35პ), 2:0 პეიტიე (39ს.კ.), 3:0, 4:0 ვან დე ვეიერი (62, 65), 5:0 პუისეგემსი (70), 5:1 რიბუსი (83)

**გეელი 0:0 სტანდარდი**

**ლომელი 0:2 ჰარელბეკე**
0:1 პაასი (23), 0:2 მიჩკოვი (49)

**შარლერუა 2:1 გენკი**
0:1 სტრუპარი (33პ), 1:1 დე კონდე (36), 2:1 ბრონიო (89)

**ლოკერენი 1:1 ბეერსხოტი**
0:1 დეგრიზი (36), 1:1 ნიკჩევიჩი (56)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 4 | 4 | 0 | 0 | 13:2 | 12 |
| ლიერსი | 5 | 4 | 0 | 1 | 14:7 | 12 |
| ანდერლეხტი | 4 | 3 | 1 | 0 | 14:7 | 10 |
| ვესტერლო | 4 | 3 | 1 | 0 | 13:8 | 10 |
| გენტი | 5 | 3 | 0 | 2 | 13:10 | 9 |
| გენკი | 5 | 2 | 2 | 1 | 14:9 | 8 |
| აალსტი | 5 | 2 | 1 | 2 | 12:9 | 7 |
| მუსკრონი | 5 | 2 | 1 | 2 | 10:10 | 7 |
| ბეერსხოტი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:8 | 7 |
| შარლერუა | 5 | 2 | 0 | 3 | 8:9 | 6 |
| მეხელენი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:11 | 6 |
| ჰარელბეკე | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | 5 |
| ლომელი | 5 | 1 | 2 | 2 | 8:11 | 5 |
| გეელი | 5 | 0 | 4 | 1 | 3:7 | 4 |
| სტანდარდი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:9 | 4 |
| ლოკერენი | 5 | 0 | 3 | 2 | 4:8 | 3 |
| სენტ ტრუიდენი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:14 | 2 |
| ბევერენი | 4 | 0 | 1 | 3 | 5:12 | 1 |

## პორტუგალია

III ტური

**ჟილ ვისენტე 2:0 ლეირია**
1:0, 2:0 ნასიმენტო (53პ, 88)

**ამადორა 2:2 გიმარაეში**
1:0 რამალიო (38), 1:1 ედმილსონი (46), 1:2 რივა სილვა (48), 2:2 ოლივეირა (90)

**ფარენსე 0:3 სპორტინგი**
0:1 კვამე (3), 0:2 რუი ჟორჟე (9), 0:3 ტეიშეირა (90)

**სეტუბალი 4:2 მარიტიმუ**
1:0 პაულო ფილიპე (52), 2:0 კონდე (60), 3:0 სერჟიო ჟუაო (63), 3:1 სილვა (69), 3:2 მარიანო (75), 4:2 კარლოსი (84)

**სანტა კლარა 0:3 ბენფიკა**
0:1 რიბეირო (22), 0:2 კანდაუროვი (25), 0:3 ნუნო გომეში (45)

**რიუ ავე 4:1 სალგეირუში**
1:0, 2:0, 3:0 ენრიკესი (39, 60, 72), 4:0 გამა (75), 4:1 პაკიტო (90)

**ბრაგა 0:1 პორტუ**
0:1 ჟარდელი (48პ)

**ბოავიშტა 1:0 ბელენენსეში**
1:0 ესტევანი (25)

**ალვერკა — კამპომაიორენსე**
*წუხელ გვიან გაიმართა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჟილ ვისენტე | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| სპორტინგი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| რიუ ავე | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ბენფიკა | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ბოავიშტა | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| გიმარაეში | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 5 |
| პორტუ | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| ბელენენსეში | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| სეტუბალი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| ალვერკა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| სალგეირუში | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| ფარენსე | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |
| ამადორა | 3 | 0 | 2 | 1 | 3:6 | 2 |
| სანტა კლარა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | 2 |
| ლეირია | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| მარიტიმუ | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| ბრაგა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:5 | 0 |
| კამპომაიორენსე | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შვედეთი

XX ტური. კალმარი — იორგრიტე 2:2; გიოტებორგი — აიკ 1:0; ჰელსინგბორგი — ტრელებორგი 5:3; იურგარდენი — ელფსბორგი 1:2; ნორჩიოპინგი — მალმიო 5:1; იორებრო — ჰალმსტადი 1:2; ჰამარბი — ფრიოლუნდა 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიკ | 20 | 12 | 4 | 4 | 31:11 | 40 |
| ჰელსინგბორგი | 20 | 12 | 3 | 5 | 33:21 | 39 |
| ჰალმსტადი | 20 | 11 | 4 | 5 | 37:17 | 37 |
| იორგრიტე | 20 | 10 | 6 | 4 | 34:17 | 36 |
| გიოტებორგი | 20 | 9 | 5 | 6 | 21:24 | 32 |
| კალმარი | 20 | 8 | 3 | 9 | 26:31 | 27 |
| ნორჩიოპინგი | 20 | 7 | 5 | 8 | 29:29 | 26 |
| იორებრო | 20 | 8 | 2 | 10 | 21:26 | 26 |
| ფრიოლუნდა | 20 | 6 | 6 | 8 | 23:28 | 24 |
| ტრელებორგი | 20 | 6 | 5 | 9 | 31:37 | 23 |
| ელფსბორგი | 20 | 6 | 5 | 9 | 31:39 | 23 |
| მალმიო | 20 | 6 | 3 | 11 | 23:34 | 21 |
| იურგარდენი | 20 | 4 | 6 | 10 | 19:32 | 18 |
| ჰამარბი | 20 | 4 | 5 | 11 | 22:35 | 17 |

## ჩეხეთი

VI ტური. ვიქტორია — პრადეც კრალოვე 2:1; დრნოვიცე — ლიბერეცი 1:1; ოპავა — ბანიკი 2:3; სიგმა — ბლშანი 0:1; სპარტა — ბუდეიოვიცე 7:0; ტეპლიცე — ბრნო 2:1; დუკლა — სლავია 1:1; იაბლონეცი — ბოჰემიანსი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 6 | 4 | 2 | 0 | 8:3 | 14 |
| სპარტა | 6 | 3 | 2 | 1 | 16:7 | 11 |
| ბოჰემიანსი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:5 | 11 |
| ტეპლიცე | 6 | 3 | 1 | 2 | 11:10 | 10 |
| დრნოვიცე | 6 | 3 | 1 | 2 | 7:6 | 10 |
| ბუდეიოვიცე | 6 | 3 | 1 | 2 | 8:11 | 10 |
| ბრნო | 6 | 3 | 0 | 3 | 9:10 | 9 |
| ბანიკი | 6 | 2 | 2 | 2 | 12:9 | 8 |
| ლიბერეცი | 6 | 1 | 5 | 0 | 6:4 | 8 |
| დუკლა | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 8 |
| ვიქტორია | 6 | 1 | 4 | 1 | 9:10 | 7 |
| ბლშანი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:11 | 7 |
| იაბლონეცი | 6 | 2 | 0 | 4 | 6:11 | 6 |
| ოპავა | 6 | 1 | 2 | 3 | 8:8 | 5 |
| სიგმა | 6 | 0 | 4 | 2 | 4:6 | 4 |
| ჰ. კრალოვე | 6 | 0 | 1 | 5 | 4:11 | 1 |

## პოლონეთი

VIII ტური. ვისლა — პოლონია 2:3; გურნიკი — პოგონი 2:2; ლეხი — რუხი 1:2; ამიცა — რაძიონკოვი 1:1; ოდრა — პლოცკი 1:2; ზაგლებე — გროცლინი 1:0; ლკს — ჰალეკსი 1:1; ლეგია — ვიძევი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუხი | 8 | 6 | 2 | 0 | 18:5 | 20 |
| პოლონია | 8 | 5 | 2 | 1 | 16:7 | 17 |
| ვისლა | 8 | 5 | 2 | 1 | 18:10 | 17 |
| ამიცა | 8 | 4 | 2 | 2 | 14:11 | 14 |
| ზაგლებე | 8 | 4 | 2 | 2 | 10:8 | 14 |
| გურნიკი | 8 | 3 | 4 | 1 | 21:12 | 13 |
| პლოცკი | 8 | 4 | 1 | 3 | 12:12 | 13 |
| ჰალეკსი | 8 | 3 | 3 | 2 | 10:11 | 12 |
| ლეგია | 8 | 2 | 5 | 1 | 11:11 | 11 |
| პოგონი | 8 | 2 | 5 | 1 | 10:10 | 11 |
| ლკს | 7 | 2 | 3 | 2 | 3:4 | 9 |
| რაძიონკოვი | 8 | 2 | 1 | 5 | 5:15 | 7 |
| ოდრა | 8 | 1 | 2 | 5 | 9:13 | 5 |
| ვიძევი | 7 | 1 | 2 | 4 | 10:15 | 5 |
| ლეხი | 8 | 0 | 2 | 6 | 6:16 | 2 |
| გროცლინი | 8 | 0 | 0 | 8 | 5:18 | 0 |

## შვეიცარია

XI ტური

**ლუცერნი 2:0 გრასჰოპერი**

1:0 ვისი (36პ), 2:0 ჟოლერი (54)

**დელემონი 1:0 ლუგანო**

1:0 დრაკოპულოსი (87)

**სერვეტი 2:1 სენტ გალენი**

0:1 განე (14), 1:1 ვოლფი (49), 2:1 რეი (81პ)

**არაუ 1:3 ბაზელი**

0:1 პუგელი (8), 0:2 კანტალუპი (71), 1:2 ვოიჩეკოვსკი (81), 1:3 სავიჩი (87)

**ლოზანა 2:2 ივერდონი**

1:0 დიოჟი (2 ს.კ.), 1:1 ენილტონი (11), 1:2 ჟენი (18), 2:2 პუჩე (21)

**ციურიხი 2:1 ქსამაქსი**

1:0 ჟამარაული (4), 1:1 ბიელი (20), 2:1 მორეტი (55ს.კ.)

ციურიხი: პასკოლო, კასტილიო (ჟანინი 46), შტოკლასა, ფიშერი, კვენტინი, შასო, ეიდელი (კებე 82), სანტანა (აკალე 46), **ჟამარაული**, ბარტლეტი, **ყაველაშვილი**

თითქმის ორთვიანი წარუმატებელი სერია, როგორც იქნა, დაასრულა გოჩა ჯამარაულისა და მიხეილ ყაველაშვილის „ციურიხმა". რაიმონდო პონტეს გუნდმა მიმდინარე ჩემპიონატში პირველ და ამ მატჩამდე უკანასკნელ გამარჯვებას 21 ივლისს მიაღწია. მაშინ, ჩემპიონატის მე-4 ტურში „ციურიხმა" საკუთარ მინდორზე ლიგის დებიუტანტი „დელემონი" 3:1 დაამარცხა.

„ქსამაქსთან" „ციურიხმა" ისე ითამაშა, კრიტიკა არავის დასცდენია. ბევრი ამ გუნდს ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევდა, თუმცა „ციურიხის" სტარტმა ისინი გააწბილა. შაბათს კი ყველაფერი სხვაგვარად იყო. მასპინძლები თავიდანვე ლაღად ათამაშდნენ და მალე ჯამარაულმა გახსნა კიდეც ანგარიში. პირველ ტაიმში „ციურიხს" კიდევ სამჯერ შეეძლო გოლის გატანა, აქედან ორი მომენტი ისევ ჯამარაულს ჰქონდა, თუმცა ქართველმა ნახევარმცველმა ვერც ერთი ვერ გამოიყენა. სამაგიეროდ, სტუმართა ერთადერთი კონტრშეტევა გოლით დასრულდა — ბიელის დარტყმული პასკოლომ ვერ მოიგერია. მეორე ტაიმის დაწყება და „ქსამაქსის" კართან სახიფათო მომენტის შექმნა ერთი იყო, თუმცა შტოკლასას სტუმართა მეკარე დელაიმ აუღო. ამას ყაველაშვილის სახიფათო თავური მოჰყვა, ბურთი ოდნავ ასცდა კარს. 55-ე წუთზე კი მასპინძლები მეორედ დაწინაურდნენ — მორეტიმ შასოს ჩაწოდებული ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. მალე კვლავ ყაველაშვილმა იაქტიურა, მაგრამ ამჯერად ბურთი ხარიხას გაარტყა. მასპინძლებს ამის შემდეგაც უამრავჯერ შეეძლოთ ანგარიშის შეცვლა, თუმცა „ციურიხმა" საბოლოოდ 2:1 მოიგო. „ქსამაქსმა" სამ ქულასთან ერთად მცველი სენეც დაკარგა, რომელიც მსაჯმა ყაველაშვილთან უხეშობისთვის გააძევა მინდვრიდან. მასპინძელთა უპირატესობაზე კუთხურთა რაოდენობაც მეტყველებს — ცხრამეტი ერთის წინაღმდეგ.



ციურიხი — ქსამაქსი 2:1. გოჩა ჯამარაულს გატანილ გოლს ულოცავენ

„გუნდმა ჩინებულად ითამაშა, თუმცა მეტი გოლის გატანა გვმართებდა. ეს მატჩი 5:1 ან 6:1 უნდა მოგვეგო. იმედია, ხუთშაბათს ბელგიურ „ლიერსთან" უეფას თასის შეხვედრაში ამდენ მომენტს არ გავაცუდებთ" — თქვა თამაშის შემდეგ „ციურიხის" მთავარმა მწვრთნელმა რაიმონდო პონტემ.

ტურის ცენტრალური მატჩი ჟენევაში შედგა, სადაც ჩემპიონმა „სერვეტმა" ლიდერ „სენტ გალენს" უმასპინძლა. პირველი ტაიმი სტუმრებმა კარგად ჩაატარეს და 1:0 მოიგეს. მეორეში კი მასპინძლები გააქტიურდნენ. მათ გამუდმებულ შეტევებს უკვალოდ არ ჩაუვლია, ჯერ ვოლფმა გაათანაბრა ანგარიში, 81-ე წუთზე კი რეიმ თავისიანებს მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუტანა.

ჩემპიონობის კიდევ ერთი ფავორიტი — ციურიხის „გრასჰოპერი" შაპუიზას გარეშე ეწვია „ლუცერნს" და 0:2 დამარცხდა. აღსანიშნავია, რომ „გრასჰოპერს" წლევანდელ სეზონში არც ერთი საგარეო მატჩი არ მოუგია.

**ვანო ოქრობირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ გალენი | 11 | 6 | 3 | 2 | 19:12 | 21 |
| სერვეტი | 11 | 6 | 1 | 4 | 21:17 | 19 |
| ბაზელი | 11 | 4 | 6 | 1 | 14:7 | 18 |
| გრასჰოპერი | 11 | 4 | 4 | 3 | 19:13 | 16 |
| ივერდონი | 11 | 4 | 4 | 3 | 17:13 | 16 |
| ლოზანა | 11 | 4 | 4 | 3 | 14:11 | 16 |
| ლუცერნი | 11 | 4 | 3 | 4 | 11:13 | 15 |
| ქსამაქსი | 11 | 2 | 6 | 3 | 16:19 | 12 |
| ციურიხი | 11 | 2 | 5 | 4 | 8:14 | 11 |
| დელემონი | 11 | 3 | 2 | 6 | 14:22 | 11 |
| არაუ | 11 | 3 | 2 | 6 | 13:24 | 11 |
| ლუგანო | 11 | 2 | 4 | 5 | 14:15 | 10 |

# პსჟ-მ ლიდერობა დაიბრუნა

## საფრანგეთი

VI ტური

**რენი 2:1 მონაკო**

0:1 გალიარდო (23), 1:1 და კოსტა (25ს.კ.), 2:1 ნონდა (55)

**პსჟ 2:1 ბორდო**

1:0 მადარი (22), 2:0 ოკოჩა (80), 2:1 ვილტორდი (83პ)

**მონპელიე 3:1 მარსელი**

0:1 დიუგარი (1), 1:1, 2:1 დელეი (54, 62), 3:1 უედეკო (64)

**ლანსი 0:3 სედანი**

0:1 კენი (32პ), 0:2 დებლოკი (38), 0:3 მიონე (90)

**ბასტია 1:1 ნანსი**

1:0 ანდრე (75), 1:1 კორეა (85)

**ტრუა 1:0 ნანტი**

1:0 საიფი (53)

**სენტ ეტიენი 3:3 ლე ავრი**

1:0 ალექსი (7), 2:0 გუელი (15პ), 2:1 პუჟე (35), 2:2 დენიო (57), 2:3 ვებერი (63), 3:3 პოტიონი (70)

**ლიონი 0:0 ოსერი**

**მეცი 0:0 სტრასბური**

საფრანგეთის ჩემპიონატის მეექვსე ტურის შემდეგ „პარი სენ ჟერმენი" კვლავ ერთპიროვნული ლიდერია. „ბორდოს" მომგებმა პსჟ-მ „მონაკოს" მარცხით და „ლიონი" — „ოსერის" ფრით ისარგებლა და გათამაშების ცხრილში პირველი საფეხური დაიკავა. მონპელიეში „მარსელის" დამარცხების შემდეგ კი საფრანგეთში აღარ დარჩა გუნდი, წაგებების გრაფაში ნულიანი რომ ეწეროს.

„ოსერთან" და „ლიონთან" დაკარგული ოთხი ქულის შემდეგ დედაქალაქურმა გუნდმა კვლავ მიაგნო თავის თამაშს და ნიგერიელი ჯეი-ჯეი ოკოჩას ბრწყინვალე თამაშის წყალობით ქვეყნის ჩემპიონებს სამი ქულა აართვა. ელი ბოპს კი ჩემპიონთა ლიგაში პრაღის „სპარტასთან" შეხვედრის წინ ბევრი საფიქრალი აქვს, ისე სუსტად ითამაშეს ჟირონდელებმა. თანაც სტუმრებს ორი ფეხბურთელი, პავონი და ჟერომ ბონისელი დაუშავდათ.

ყოფილი ლიდერი „მონაკო" ბრეტანში დამარცხდა. „რენმა" ისეთივე ანგარიშით იმარჯვა, როგორითაც „ბორდოს" მოუგო. „ლა რუტ-დულორიანის" სტადიონზე სტუმრებს ეტყობა ფეხები უკანკალებთ და კარები ემლებათ ხოლმე. ჯერ იყო და ბორდოელმა საველიჩმა გაუტანა თავის მეკარეს, ახლა კი და კოსტამ „გამოიჩინა თავი".

ლიონის „ოლიმპიკი" საკუთარ მოედანზე ძალიან ცუდად გამოდის. აქამდე შინ ჩატარებულ ოთხ მატჩში მან უკვე შვიდი ქულა დაკარგა, თუმცა მეექვსე ტურში მასზე უარეს დღეში მეორე, მარსელის „ოლიმპიკი" ჩავარდა. მონპელიეში სტუმრები დებიუტშივე დაწინაურდნენ. მათმა მწვრთნელმა, როლან კურბისმა ანგარიშის შენარჩუნება სცადა და შესვენებაზე კრისტოფ დიუგარი და ფაბრიციო რავანელი გამოცვალა, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია.

ალსანიშნავია აგრეთვე „სტრასბურის" მეცში მოპოვებული ქულა, რადგან ალზასელებს უკვე შვიდი წელია, მეზობელ ლოტარინგიაში მარცხის გარდა ვერაფრისთვის მიეღწიათ.



პსჟ — ბორდო 2:1. მეტოქეები ერთმანეთს ჰაერშიც არაფერს უთმობდნენ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსჟ | 6 | 4 | 1 | 1 | 9:5 | 13 |
| ლიონი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:5 | 11 |
| ოსერი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:7 | 11 |
| მონაკო | 6 | 3 | 1 | 2 | 13:7 | 10 |
| სტრასბური | 6 | 3 | 1 | 2 | 6:6 | 10 |
| ნანტი | 6 | 3 | 0 | 3 | 7:4 | 9 |
| სედანი | 6 | 3 | 0 | 3 | 11:11 | 9 |
| ბორდო | 6 | 2 | 2 | 2 | 11:8 | 8 |
| ბასტია | 6 | 2 | 2 | 2 | 9:10 | 8 |
| რენი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:9 | 8 |
| მარსელი | 6 | 1 | 4 | 1 | 8:7 | 7 |
| ნანსი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:9 | 7 |
| მონპელიე | 6 | 2 | 1 | 3 | 9:12 | 7 |
| ლანსი | 6 | 2 | 1 | 3 | 3:6 | 7 |
| მეცი | 6 | 1 | 3 | 2 | 4:3 | 6 |
| სენტ ეტიენი | 6 | 1 | 3 | 2 | 12:14 | 6 |
| ტრუა | 6 | 2 | 0 | 4 | 4:11 | 6 |
| ლე ავრი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:10 | 5 |

### მეორე დივიზიონი

IX ტური. ნიორი — ლილი 0:3; ლე მანი — სოშო 2:1; კაენი — გენიონი 2:2; კანი — ლორიანი 1:0; აიაჩო — ნიცა 1:0; შატორუ — ნიმი 0:2; ლუანი — ლავალი 2:0; ტულუზი — გენგამი 1:2; ვასკეალი — ამიენი 0:0; კრეტეი — ვალანსი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 9 | 8 | 1 | 0 | 16:4 | 25 |
| ამიენი | 9 | 4 | 5 | 0 | 15:8 | 17 |
| კანი | 9 | 5 | 2 | 2 | 9:6 | 17 |
| ლე მანი | 9 | 4 | 4 | 1 | 13:10 | 16 |
| ნიმი | 9 | 4 | 3 | 2 | 10:7 | 15 |
| გენგამი | 9 | 4 | 3 | 2 | 13:11 | 15 |
| ტულუზი | 9 | 4 | 2 | 3 | 11:7 | 14 |
| კაენი | 9 | 3 | 4 | 2 | 9:7 | 13 |
| კრეტეი | 9 | 3 | 3 | 3 | 10:10 | 12 |
| ლორიანი | 9 | 3 | 2 | 4 | 8:8 | 11 |
| სოშო | 9 | 3 | 2 | 4 | 10:11 | 11 |
| ვალანსი | 9 | 2 | 4 | 3 | 9:10 | 10 |
| გენიონი | 9 | 2 | 4 | 3 | 9:11 | 10 |
| ლავალი | 9 | 2 | 3 | 4 | 7:8 | 9 |
| ლუანი | 9 | 2 | 3 | 4 | 7:10 | 9 |
| ნიცა | 9 | 1 | 5 | 3 | 7:10 | 8 |
| აიაჩო | 9 | 2 | 2 | 5 | 8:14 | 8 |
| ვასკეალი | 9 | 1 | 4 | 4 | 3:7 | 7 |
| ნიორი | 9 | 1 | 4 | 4 | 6:12 | 7 |
| შატორუ | 9 | 1 | 2 | 6 | 10:19 | 5 |

## შოტლანდია

VI ტური

**კილმარნოკი 0:1 სელტიკი**

0:1 ბერჩილი (73)

**დანდი იუნ 3:1 ჰიბერნიანი**

1:0 ტელესნიკოვი (4), 1:1 ლეტეპი (49), 2:1 მანა (71), 3:1 დოდსი (90პ)

**ჰართსი 4:0 დანდი**

1:0 ადამი (7), 2:0 ჯექსონი (73), 3:0 კამერუნი (75) 4:0 სევერინი (81)

**რეინჯერსი 3:0 აბერდინი**

1:0, 2:0 მოლსი (16, 47), 3:0 ალბერტსი (85პ)

**სტ. ჯონსტონი 1:1 მოზერუელი**

1:0 თომასი (25), 1:1 სტენსერი (61)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 6 | 6 | 0 | 0 | 18:3 | 18 |
| სელტიკი | 6 | 5 | 0 | 1 | 16:3 | 15 |
| დანდი იუნ. | 6 | 3 | 2 | 1 | 10:9 | 11 |
| ჰართსი | 6 | 3 | 1 | 2 | 12:10 | 10 |
| სტ. ჯონსტონი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:9 | 8 |
| ჰიბერნიანი | 6 | 1 | 3 | 2 | 9:11 | 6 |
| დანდი | 6 | 2 | 0 | 4 | 9:12 | 6 |
| მოზერუელი | 6 | 1 | 3 | 2 | 7:11 | 6 |
| კილმარნოკი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:6 | 4 |
| აბერდინი | 6 | 0 | 0 | 6 | 0:18 | 0 |



REUTERS

რეინჯრსი — აბერდინი 3:0. მიხაელ მოლსს (მარჯვნივ) მხოლოდ ასე თუ შეაჩერებდნენ

# სპორტული ლატარია "CROCO"

### ჩემპიონთა ლიგა. I ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 14.09 | 501 | დინამო (უკრაინა) — მარიბორი (სლოვენია) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,5 |
| | 502 | ლევერკუზენი (გერმანია) — ლაციო (იტალია) | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| | 503 | ფიორენტინა (იტალია) — არსენალი (ინგლისი) | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | 504 | აიკ (შვედეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | 505 | ბოავიშტა (პორტუგალია) — რუსენბორგი (ნორვეგია) | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | 506 | ფეიენოორდი (ჰოლანდია) — დორტმუნდი (გერმანია) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 507 | მანჩესტერი (ინგლისი) — კროაცია (ხორვატია) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 508 | მარსელი (საფრანგეთი) — შტურმი (ავსტრია) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 15.09 | 509 | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — რეალი (ესპანეთი) | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| | 510 | მოლდე (ნორვეგია) — პორტუ (პორტუგალია) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 511 | ბაიერნი (გერმანია) — პსვ (ჰოლანდია) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 512 | ვალენსია (ესპანეთი) — რეინჯერსი (შოტლანდია) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 513 | სპარტა (ჩეხეთი) — ბორდო (საფრანგეთი) | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| | 514 | ტილბურგი (ჰოლანდია) — სპარტაკი (რუსეთი) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 515 | ჩელსი (ინგლისი) — მილანი (იტალია) | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | 516 | გალათასარაი (თურქეთი) — ჰერტა (გერმანია) | 2,1 | 2,9 | 3,2 |

### უეფას თასი. I ეტაპი. I მატჩები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 14.09 | 517 | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — მონპელიე (საფრანგეთი) | (4,0-1,15) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 518 | პარტიზანი (იუგოსლავია) — ლიდსი (ინგლისი) | (5,0-1,1) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 519 | ვოლფსბურგი (გერმანია) — დებრეცენი (უნგრეთი) | (1,01-15,0) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 520 | უდინეზე (იტალია) — ოლბორგი (დანია) | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 521 | სტაბეკი (ნორვეგია) — დეპორტივო (ესპანეთი) | (7,5-1,05) | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | 522 | სტიაუა (რუმინეთი) — ლინცერი (ავსტრია) | (1,4-2,3) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 15.09 | 523 | ჰიკ (ფინეთი) — ლიონი (საფრანგეთი) | (10,0-1,02) | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 16.09 | 524 | ვიკინგი (ნორვეგია) — სპორტინგი (პორტუგალია) | (5,0-1,1) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 525 | ბენფიკა (პორტუგალია) — დინამო (რუმინეთი) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 526 | პარმა (იტალია) — კრივბასი (უკრაინა) | (1,01-15,0) | 1,02 | 10,0 | 17,0 |
| | 527 | მტკ (უნგრეთი) — ფენერბაჰჩე (თურქეთი) | (2,8-1,3) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 528 | მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) — ლანსი (საფრანგეთი) | (7,5-1,05) | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | 529 | ტეპლიცე (ჩეხეთი) — ფერენცვაროში (უნგრეთი) | (1,7-1,7) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 530 | ბოდიო გლიმტი (ნორვეგია) — ვერდერი (გერმანია) | (7,5-1,05) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 531 | ზენიტი (რუსეთი) — ბოლონია (იტალია) | (7,5-1,05) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 532 | სკონტო (ლატვია) — ვიძევი (პოლონეთი) | (2,3-1,4) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 533 | ცსკა (ბულგარეთი) — ნიუკასლი (ინგლისი) | (7,5-1,05) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 534 | რომა (იტალია) — სეტუბალი (პორტუგალია) | (1,05-7,5) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 535 | მონაკო (საფრანგეთი) — სენტ ჯონსტონი (შოტლანდია) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 536 | ანორთოსისი (კვიპროსი) — ლეგია (პოლონეთი) | (3,1-1,25) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 537 | ინტერი (სლოვაკეთი) — რაპიდი (ავსტრია) | (5,0-1,1) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 538 | გორიცა (სლოვენია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | (7,5-1,05) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 539 | ვოივოდინა (იუგოსლავია) — სლავია (ჩეხეთი) | (1,9-1,55) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 540 | სიგმა (ჩეხეთი) — მალიორკა (ესპანეთი) | (7,5-1,05) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 541 | ტორპედო (საქართველო) — აეკ (საბერძნეთი) | | | ანგარიში — | 5,0 |
| | 542 | ჰაიდუკი (ხორვატია) — ლევსკი (ბულგარეთი) | (1,3-2,8) | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | 543 | როდა (ჰოლანდია) — შახტარი (უკრაინა) | (1,25-3,1) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 544 | ლოკომოტივი (რუსეთი) — ლიუნგბიუ (დანია) | (1,05-7,5) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 545 | ლეხი (პოლონეთი) — გიოტებორგი (შვედეთი) | (5,0-1,1) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 546 | ჰელსინგბორგი (შვედეთი) — კარპატი (უკრაინა) | (1,15-4,0) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 547 | სელტიკი (შოტლანდია) — ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 548 | ვესტ ჰემი (ინგლისი) — ოსიეკი (ხორვატია) | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 549 | ტოტენჰემი (ინგლისი) — ზიმბრუ (მოლდოვა) | (1,02-10,0) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 550 | ანდერლეხტი (ბელგია) — ოლიმპია (სლოვენია) | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 551 | ციურიხი (შვეიცარია) — ლიერსი (ბელგია) | (3,1-1,25) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 552 | ლოზანა (შვეიცარია) — სელტა (ესპანეთი) | (7,5-1,05) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 553 | ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) — ბრიუგე (ბელგია) | (7,5-1,05) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 554 | ბეირა მარი (პორტუგალია) — ვიტესი (ჰოლანდია) | (3,1-1,25) | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | 555 | იონიკოსი (საბერძნეთი) — ნანტი (საფრანგეთი) | (7,5-1,05) | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | 556 | გრაცერი (ავსტრია) — სპარტაკი (სლოვაკეთი) | (1,3-2,8) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 557 | აკადემისკი (დანია) — გრასჰოპერი (შვეიცარია) | (2,5-1,35) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 558 | აიაქსი (ჰოლანდია) — დუკლა (სლოვაკეთი) | (1,01-15,0) | 1,02 | 10,0 | 17,0 |
| | 559 | კაიზერსლაუტერნი (გერმანია) — კილმარნოკი (შოტლანდია) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 560 | იუვენტუსი (იტალია) — ომონია (კვიპროსი) | (1,01-15,0) | 1,02 | 10,0 | 17,0 |
| | 561 | ამიცა (პოლონეთი) — ბრონდბიუ (დანია) | (3,1-1,25) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 562 | ლოკომოტივი (საქართველო) — პაოკ (საბერძნეთი) | | | ანგარიში — | 5,0 |
| | 563 | არისი (საბერძნეთი) — სერვეტი (შვეიცარია) | (1,9-1,55) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 564 | ატლეტიკო (ესპანეთი) — ანკარაგიუჯიუ (თურქეთი) | (1,05-7,5) | 1,2 | 5,0 | 9,0 |

### ჰოლანდია. გადადებული მატჩები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.09 | 001 | ალკმარი — უტრეხტი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 002 | სპარტა — გრააფსხაპი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### იტალია. თასის I ეტაპი. VI ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.09 | 003 | ტერნანა — ლეჩე | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| | 004 | ლუკეზე — ფ. ანდრია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 005 | სავოია — ჩეზენა | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 006 | პალერმო — სამპდორია | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | 007 | ჯენოა — ემპოლი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 008 | მონცა — ლუმეცანე | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 009 | ატალანტა — პისტოიეზე | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 010 | კიევო — კრემონეზე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 011 | გუალდო — რეჯინა | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| | 012 | კოზენცა — ტრევიზო | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| | 013 | სალერნიტანა — ფერმანა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 014 | კომო — ნაპოლი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | 015 | სტაბია — რეჯანა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 016 | პესკარა — ბრეშა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| | 017 | სპალ — ვიჩენცა | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| | 018 | რავენა — ალძანო | 1,4 | 2,9 | 8,0 |

### ინგლისი. ლიგის თასი. II ეტაპი. I მატჩები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 14.09 | 019 | ბარნსლი — სტოკპორტი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| | 020 | ბირმინგემი — როვერსი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 021 | ბრედფორდი — რედინგი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 022 | კარდიფი — უიმბლდონი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | 023 | ჩესტერი — ასტონ ვილა | 7,0 | 3,8 | 1,35 |
| | 024 | ჩესტერფილდი — მიდლსბრო | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | 025 | ქრიუ — იფსვიჩი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 026 | კრისტალ პალასი — ლესტერი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 027 | ჯილინგემი — ბოლტონი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 028 | გრიმსბი — ლეიტონი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 029 | ჰადერსფილდი — ნოტსი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 030 | ჰალი — ლივერპული | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| | 031 | ნორვიჩი — ფულემი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 032 | ოქსფორდი — ევერტონი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | 033 | პორტსმუთი — ბლექბერნი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 034 | შეფილდი — პრესტონი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 035 | სტოკი — უენსდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 036 | სანდერლენდი — უოლსოლი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 037 | სუონსი — დერბი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | 038 | ტრანმერი — ქოვენთრი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | 039 | უოტფორდი — უიგანი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 040 | ვესტ ბრომვიჩი — უიკომბი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 041 | ჩარლტონი — ბორნმუთი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 15.09 | 042 | სიტი — საუთჰემპტონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 043 | ნოტინგემი — ბრისტოლი | 1,4 | 3,5 | 7,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

---

კალათბურთი

კორაჩის თასი. შესარჩევი წრე. I მატჩი

## აზოტი — ბკ კიევი

15 სექტემბერი. თბილისი. სპორტის სასახლე. 18 საათი

მსაჯები: აგნის პერკონსი (ლატვია), ფიოდორ დმიტრიევი (ბელარუსი)

# მინისტრის გუნდს რა მნაღვლება... აზოტმა კი ვერც ივარჯიშა

კორაჩის თასის შესარჩევი წრის პირველ შეხვედრაში საქართველოს ვიცე-ჩემპიონი რუსთავის „აზოტი" უკრაინულ „ბკ კიევს" ხვალ სპორტის სასახლეში უმასპინძლებს. მანამდე კი მასპინძლობა უკვე შედგა. გუშინ რუსთაველი კლუბის თავკაცობა აეროპორტშივე შეეგება კიეველთა თხუთმეტკაციან დელეგაციას. მოკითხვისა და სალამ-ქალამის შემდეგ დამხვდურები სტუმართ სასტუმრო „აჭარისკენ" გაუძღვნენ.

ჩვენი ვარაუდი, კიეველებს თვით ალექსანდრ ვოლკოვი ჩამოუძღვებაო, არ გამართლდა. უკრაინის სპორტის მინისტრი, ამასთანავე „ბკ კიევის" დამაარსებელი კი გახლავთ, მაგრამ მინისტრობა არაა სახუმარო საქმე. ჰოდა, ვოლკოვსაც, თბილისში ჩამოსვლას აგრერიგად რომ ეშურებოდა, სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი საკეთებელი გამოუჩნდა და...

ისე, ვოლკოვი რომ პირნათელია საქმესთან, სწორედ ესეთი უნდა. საკუთარი პირმშო (ვოლკოვი მინისტრობამდე „ბკ კიევის" პრეზიდენტიც გახლდათ) არც გადიდკაცების მერე დაივიწყა და... სულო და გულო. რაღა ევროპა და რაღა ამერიკა, სულ ერთიანად შემოატარა „ბკ კიევს", მოაჩიტა, მოალონიერა და ეს ნაფერებ-ნალოლიავები გუნდი ხვალ, საღამოს ექვს საათზე თავს დაუკრავს „აზოტს".

ჰო, მართლა. ერთი შავი კაციც გამოუყოლებიათ აქეთობისას. მაღალ-მაღალი, ბამბის ქულასავით თეთრი უკრაინელების გვერდით ამერიკელი ზანგი კურტის მაკენტსი ღამის თორმეტი საათივით გამოიყურება. ამპლუით გამთამაშებელი ყოფილა და სულ ბოლო ხანს გადმოუბირებიათ ისრაელის რომელიღაც კლუბიდან. მისი ძალიან დიდი იმედი გვაქვსო, ამბობს კიეველთა მწვრთნელი კოვალენკო, რომელიც არც სერგეია და არც ევგენი. არცთუ შორეულ წარსულში საკალათბურთო სამყაროსთვის ცნობილი კოვალენკოები უკრაინელთა დამრიგებლის მხოლოდ მოგვარეები არიან და მეტი არაფერი.

რაკი კიეველთა ზანგზე ჩამოვაგდე სიტყვა, ბარემ დავამთავრებ: ამას თურმე ჭამა ყვარებია ძალიან. ტრაპიდან ხეირიანად არც კი ჩამოსულიყო, „მაკდონალდსის" რესტორანი მოუკითხავს. რუსთაველის გამზირზე „მაკდონალდსს" რომ ჩავუარეთ, სიხარულისგან ცქმუტვა დაიწყოო, გვითხრა რუსთაველი გუნდის მეორე მწვრთნელმა ამირან ხაჩიძემ და ცხადი გახდა: მაკენტსს არც ქართული სამზარეულოს შესახებ სმენია და... არც საქართველოზე.

აბა, ასეთებთან ჩვენ რა ხელი გვქონდა. ჰოდა, ცოტა მოვიცადეთ, სტუმრებს დაბინავება ვაცალეთ და სასტუმროს ნომერში „ბკ კიევის" მენეჯერ ალექსანდრ სალნიკოვს ავუწრიალეთ ტელეფონი. დიახ, დიახ, ეს სწორედ ის სალნიკოვია, უკრაინული კალათბურთის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. ერთი კი გაიკვირვა ალექსანდრ პეტროვიჩმა, მაგრამ მერე ნელ-ნელა გაგვიშინაურდა და...

„ათი წელია საქართველოში არ ვყოფილვარ. ახლა მივხვდი, როგორ მომნატრებია აქაურობა, სულ სხვანაირი ხალხი ხართ, მასპინძლობაც ყველასგან გამორჩეული იცით.

თამაში? რა გითხრათ... ალბათ იცით, „ბკ კიევი" სულ ახლახან შექმნილი გუნდია. აქედან გამომდინარე, წლეულს დიდი ამბიციები არ გვექნება. შევეცდებით, სანახაობრივი, გამართული კალათბურთი ვითამაშოთ და თბილისელ გულშემატკივარს თავი დავამახსოვროთ, რა თქმა უნდა, არც წაგებას ვაპირებთ. მართალია, მეტისმეტად ახალგაზრდული გუნდი გვყავს, მაგრამ ინდივიდუალურად ყველა ძლიერი და იმედისმომცემი კალათბურთელია. ვიცი, თქვენც ძალიან გიჭირთ, არც ჩვენ ვართ მაინცდამაინც დალხენილები. ერთი სიტყვით, ყველაფერი მოედანზე გამოჩნდება."

ერთსაც ვიტყვი და უკრაინელებზე ამით დავამთავრებ. რაკიღა გუშინ „ბკ კიევს" ვარჯიში აღარ მოუხერხდა, კოვალენკომ სადღეისოდ ორი ვარჯიში დაგეგმა, ვინძლო, დანაკარგი ამით ავინაზღაუროთო.

„აზოტზე" კი ბევრიც არაფერია სათქმელი. რაც არის, ისიც ორად იყოფა — კარგი და ცუდი. კარგი ის არის, რომ სურდოშეყრილი რამაზ გოგობერიშვილი მომჯობინდა და ამ უქმეებზე გუნდთან ერთად ივარჯიშა კიდეც. ცუდი კი... საიდან დავიწყოთ? ალბათ, იქიდან, რომ მოთამაშეებს კუთვნილი ხელფასები ძალიან უგვიანდებათ, იქნებ ამიტომაც არ უვარჯიშია გუშინ „აზოტს"...

**გიორგი გიქაშვილი**

# სლოვანმა უგრეხელიძე დაიტოვა

სლოვენია

I ტური

**სლოვანი 62:72 პივოვარნა ლაშკო**

**სლოვანი:** ნოვაკი (22), ჟაკელი (3), შინკოვეცი, **უგრეხელიძე** (2), ჯურკოვიჩი (10), კოვაჩი (2), პავიჩი (6), **ბოისა** (7), შეშტარშიჩი (10), **ცქიტიშვილი**

**პივოვარნა ლაშკო:** იურაკი (6), გილიჩი (2), ლისიცა (16), გოლოვიცი (29), ჰაფნარი (6), ჟარკოვიჩი (2), დრაგშიჩი (3), კუნცი, ნახბარი (8)

ლიუბლიანის „სლოვანმა" ველარ მოახერხა მაღალი ცენტრის სამაილა სამაკეს სამშობლოდან ჩამოყვანა და, ამიტომ, მესამე უცხოელისთვის განკუთვნილი ადგილი ქართველი დავით უგრეხელიძით შეავსო. შეგახსენებთ, რომ უგრეხელიძე კრანის „ტრიგლავში" იყო განათხოვრებული, მაგრამ „სლოვანმა", ცენტრის დეფიციტი რომ გაუჩნდა, იგი უკან დაიბრუნა. სამაგიეროდ, „ტრიგლავში" გაანათხოვრეს მეორე ქართველი, ირაკლი კეიდია, რომელიც „სლოვანის" ძირითადში ვერ ხვდებოდა და მხოლოდ ახალგაზრდული შემადგენლობით მოუწევდა დაკმაყოფილება. კეიდიას განათხოვრების ამბავი პარასკევს, ჩემპიონატის დაწყების წინა დღეს გადაწყდა, ამიტომ ქართველმა კალათბურთელმა „ტრიგლავში" არათუ თამაში, ხეირიანად ვარჯიშიც ვერ მოასწრო.

„პივოვარნა ლაშკო" სლოვენიის ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია და მომავალ კვირაში ევროლიგის გათამაშებაშიც ჩაებმება. ამდენად, ახალგაზრდულ და ჩამოყალიბების პროცესში მყოფ „სლოვანს" ამგვარ ძლიერ და გამოცდილ გუნდთან წარმატების იმედი მაინცდამაინც არ უნდა ჰქონოდა. „სლოვანის" მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა ქართველთაგან სასტარტო ხუთეულში ვლადიმერ ბოისა დააყენა, რომელმაც 29 წუთი დაჰყო მოედანზე. ბოისამ 7 ქულა, 2 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 პასი გააკეთა. უგრეხელიძემ 8 წუთი ითამაშა, ორი ნასროლიდან ერთი ჩააგდო და მატჩიც 2 ქულით დაასრულა. ნიკა ცქიტიშვილმა კი ექვსი წუთის განმავლობაში მხოლოდ ერთი ჩაჭრით გამოიჩინა თავი.

დღეს „სლოვანი" უნგრეთს გაემგზავრება, სადაც ხვალ კორაჩის თასის შესარჩევი წრის პირველ მატჩში შეხვდება იქაურ „ატომერომუს". უგრეხელიძე ამ შეხვედრაში მონაწილეობას ვერ მიიღებს: „სლოვანს" მისი გვარი თავდაპირველ განაცხადში შეტანილი არ ჰქონდა და ქართველ კალათბურთელს ამ მიზეზის გამო უნგრეთის ვიზის მიღება დაუგვიანდა.

# ჩვენ? სხვა რა, იმედი...

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პლეი ოფი. პირველი მატჩი

## საქართველო 25(14):32(15) დანია

11 სექტემბერი. თბილისი. სპორტის სასახლე. 18.30 საათი



ნაქებ დანიელს ლარს კრისტიანსენს (№9) ქართველებმა ვერაფერი მოუხერხეს

დასაწყისი პირველ გვერდზე

**საქართველო:** ერაძე, კენჭაძე; ქობელაშვილი (2), ყიფიანი, კეკელიძე, გვაზავა, მეიფარიანი (2), დათუკაშვილი (5), გელაშვილი (3), ბოყოჩაძე (6), ორჯონიკიძე (4), თურქია (3)

**დანია:** ანდრიისენი, ნორკლიტი; ბიერე (2), იორგენსენი (2), ფოგი (2), ვილელმსენი (1), კრისტიანსენი (8), ბოლდსენი, კრამპაუ (1), პაულსენი (9), იორგენსენი, ჰიერმინდი (7)

**გაფრთხილება:** თურქია; ბოლდსენი, ფოგი, კრამპაუ

**ორწუთიანი გაძევება:** თურქია, დათუკაშვილი, ყიფიანი; ფოგი, იორგენსენი (2), ვილელმსენი, ბიერე

**მსაჯები:** ვ. ფეგირი, დ. სტეგურა (უკრაინა)

**კომისარი:** შ. იუგი (სლოვენია)

თამაშის დაწყებამდე ოპტიმისტურად ვიყავით განწყობილნი. საამისოდ რამდენიმე მიზეზიც გვქონდა. ჯერ ერთი, საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზაზა დოლიძეს მოწინააღმდეგე საფუძვლიანად ჰყავდა შესწავლილი და ბიჭებსაც თითოეული დანიელის სუსტი და ძლიერი მხარეებიც ნათლად აუხსნა, ამას კი ქართველებისთვის თამაში უნდა გაეადვილებინა. თანაც დანიელები დაგეგმილი პარასკევის ნაცვლად შაბათს, გამთენიისას ჩამოვიდნენ თბილისში და სავსებით მოსალოდნელი იყო, ხანგრძლივი მგზავრობით გადაღლილებს თავიანთი შესაძლებლობები სრულად ვერ გამოევლინათ. არც ჩვენი ხელბურთელების ჟინისა და მონდომების უგულებელყოფა შეიძლებოდა. მაგრამ, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო...

მატჩი დანიელებმა დაიწყეს და პირველი ტყორცნაც მათი იყო. კრისტიანსენს ერაძემ აუღო და მანვე წამოიწყო კონტრშეტევაც, რომელიც ბოყოჩაძემ დაასრულა — 1:0. მეტოქის მეორე იერიშისას ისევ ერაძემ ითამაშა კარგად, მაგრამ ველარც ჩვენ გავიტანეთ. შემდეგ კრისტიანსენმა და ფოგმა თავისიანები ორი ბურთით დააწინაურეს. ამ გოლებს შორის კი ანდრიისენმა თურქიას და მეიფარიანს აუღო ტყორცნები. საწყისი ხუთი წუთიც ასე მიიწურა. თითქოს სტუმრები უკვე სიტუაციის ბატონ-პატრონნი უნდა გამხდარიყვნენ, მაგრამ ქართველებიც არ უთმობდნენ. ჯერ ლამაზი კომბინაციის შემდეგ მეიფარიანმა, მერე კი დათუკაშვილმა გამოიჩინეს თავი და ანგარიშიც გათანაბრდა — 3:3.

მატჩი რამდენიმე წუთს თანაბარ ბრძოლაში გაგრძელდა. ქართველებიდან ყველაზე უკეთ ბოყოჩაძე და გელაშვილი გამოიყურებოდნენ. პირველი ფლანგიდან ხშირად ცენტრისკენ გადმოდიოდა და ორჯერ ზუსტადაც ტყორცნა. გელაშვილმა კი თავისი პერსონალური მეურვე მორტენ კრამპაუ ისე დაჩაგრა, რომ ამ უკანასკნელს უხეშობის მეტი აღარაფერი დარჩენოდა და უკრაინელი მსაჯებისგან ყვითელი ბარათიც დაიმსახურა. თუ თავდასხმაში საქმე კარგად მიგვდიოდა, სამაგიეროდ, დაცვა ირჯებოდა საკმაოდ უხეიროდ. სტუმართა ფრთის მოთამაშეებს, გერმანული „ფლენსბურგის“ წევრებს, ლარს კრისტიანსენსა (9) და კრისტიან ჰიერმინდს (18) თითქმის ყველაფერი გამოსდიოდათ და ქართველებს დაწინაურების საშუალებაც არ მიეცათ. პირველი ტაიმის მე-15 წუთისთვის ანგარიშში კვლავ თანაფარდობა იყო — 7:7. მომდევნო ხუთი წუთი კი დანიელთა მცირე უპირატესობით წარიმართა. თურქიას გარბენსა და ნორკლიტის მიერ აღებული შვიდმეტრიანს კრისტიანსენმა და ჰიერმინდმა სამი გოლით უპასუხეს, მაგრამ ერთი გოლის გატანა ორჯონიკიძემაც შეძლო და ანგარიში 8:10 გახდა.

ამის მერე სამწუთიანი მონაკვეთი მასპინძლებმა 3:0 მოიგეს. ჯერ მეიფარიან-გელაშვილ-მეიფარიანის კომბინაცია დააგვირგვინა ჩვენმა კაპიტანმა, შემდეგ ქობელაშვილმა გამოიჩინა თავი კონტრიერიშისას, რასაც გელაშვილის გოლი მოჰყვა — 11:10. ამ მონაკვეთშივე მოხდა მატჩის პირველი და უკანასკნელი შეხლა-შემოხლა, რისთვისაც მსაჯებმა თურქია და იორგენსენი ორი წუთით გააძევეს მოედნიდან.

შესვენებამდე ხუთი წუთით ადრე კი ანგარიში კვლავ გათანაბრდა — 12:12, რის შემდეგაც დათუკაშვილმა შორიდან დააწინაურა თავისიანები. საპასუხო შეტევისას ერაძემ იყოჩაღა, მერე ბოყოჩაძემ გაიტანა გოლი და საქართველომ ამ მატჩში ყველაზე დიდ უპირატესობასაც მიაღწია — 14:12. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა და იქნებ მოგვეგო კიდეც, მაგრამ... როგორც შაბათის „სარბიელში“ ვწერდით, დანიელები ის ხალხია, რომლებიც გულზე არასდროს იკრეფენ ხელს და მუდამ ბოლომდე იბრძვიან. ჯერ პაულსენმა შეამცირა ანგარიშში სხვაობა, მერე დათუკაშვილმა შეტევისას ბურთი დაკარგა და მის დასაბრუნებლად ბრძოლაში ერთ-ერთ მეტოქეს უკნიდან დაეჯახა, რისთვისაც ორი წუთით გააძევეს. იმავე პაულსენმა ანგარიში მაშინვე გაათანაბრა. შესვენებამდე წუთი და 5 წამი რჩებოდა. ბურთს ჩვენები ფლობდნენ და წესით, ბოლომდე უნდა გაეთამაშებინათ, რათა თვითონ თუ ვერ დაწინაურდებოდნენ, არც მოწინააღმდეგისთვის მიეცათ ამის შესაძლებლობა. თუმცა სირენამდე 7-8 წამით ადრე ქართველებმა გადაწყვიტეს ეტყორცნათ. ამაოდ — ანდრიისენს ვერ გაუტანეს, რასაც სწრაფი კონტრშეტევა მოჰყვა და დანიელთა კაპიტანმა იან ფოგმა ტაიმის ბოლო ბურთი შეაგდო — 14:15.

რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არაფერი იყო დაკარგული. ტაიმის მიწურულს ოდნავ მოშლილი თამაში შესვენებაზე უნდა დალაგებულიყო და მეტოქეს მეტად დაწინაურების საშუალება არ უნდა მისცემოდა, მაგრამ პირიქით მოხდა, მეორე ნახევარი ჩვენებმა რიცხობრივ უმცირესობაში და უაზრო შეტევით დაიწყეს. ჰიერმინდმა კი დანიელთა კონტრშეტევისას ერაძეს აჯობა. მალევე სტუმართა მე-18 ნომერმა კიდევ ერთხელ გაუტანა უჩვეულოდ სუსტად მოთამაშე ჩვენს მეკარეს და ანგარიში 14:17 გახდა. შემდეგ იყო ორი პენალტი, რომლებიც ქართველთა სასარგებლოდ დამთავრდა — ერაძემ აღარ გაატანინა ჰიერმინდს, ორჯონიკიძემ კი ანგარიშში სხვაობა ორ ბურთამდე შეამცირა. თუმცა მაშინვე იორგენსენმა და პაულსენმა სტუმრები ოთხი ბურთით დააწინაურეს. აქ დანიელებს აშკარად შეეტყოთ, რომ მატჩის ბედი გადაწყვეტილად ჩათვალეს. მათ სათადარიგოთა სკამზე მხიარულებამ დაისადგურა, პირველად გაიცინა ვიკინგების მთავარმა მწვრთნელმა ლეიფ მიკელსენმაც.

თუმცა ქართველები არ ნებდებოდნენ. ვილელმსენისა და იორგენსენის ორ-ორ წუთიან გაძევებებს გელაშვილის ლამაზ ნახტომში შეგდებული ბურთი მოჰყვა და თითქოს გარდატეხაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ არა. საქართველოს ნაკრები დაცვაში ძალიან სუსტად გამოიყურებოდა, მოწინააღმდეგის შეტევებს ვერაფერს უპირისპირებდა და ანგარიშში სხვაობაც ამიტომ არ მცირდებოდა. შეხვედრის დამთავრებამდე დაახლოებით ოცი წუთი რჩებოდა, ზაზა დოლიძემ მეკარე რომ შეცვალა. კენჭაძემ პირველივე სროლა მოიგერია, შეტევისას კი ბოყოჩაძემ იჩქარა და მეტოქეს კონტრშეტევის დაწყების საშუალება მისცა. თუმცა ჩვენმა მეკარემ დანიელი კოლეგის მიერ თავდამსხმელთათვის მიცემული პასი მოედნის ცენტრში ჩაჭრა და დათუკაშვილმაც ივარგა — 18:21.

ამ დროისთვის საქართველოს ნაკრებში ტაქტიკური ცვლილებები მოხდა. ხაზის მოთამაშედ ბოყოჩაძე გადმოვიდა, ფრთაზე კი ცოტა ხნით გვაზავამ დაიკავა ადგილი. თუმცა ამას ბევრი სასიკეთო არაფერი მოუტანია. კრამპაუს გოლითა და კრისტიანსენის ზუსტად შესრულებული შვიდმეტრიანით დანია 5 ბურთით დაწინაურდა — 18:23. დამთავრებამდე 15 წუთი რჩებოდა, მატჩის ბედის შემოსატრიალებლად დრო საკმარისი იყო, მაგრამ ენერგია და გამოცდილება არ კმაროდა. ჩვენები უხეიროდ უტევდნენ, თამაში თითქმის მოიშალა. პაულსენის ზუსტი ტყორნა და 18:24. ესეც ჩამორჩენა, რომლის გაბათილებაც ჩვენი ბიჭების ძალას, მათი მონდომების მიუხედავად, აღემატებოდა. თუმცა ბოლოს მაინც გაიბრძოლეს. მეტწილად თურქიას აქტიურობით ანგარიშში სხვაობა ისევ ოთხ ბურთამდე შემცირდა 24:28.

ბოლო წუთები, ბიერეს ორწუთიანი გაძევების მიუხედავად, დანიისა იყო. პაულსენმა მთლად მოგვითავა ხელი, საფინალო სირენამდე ორიოდ წუთით ადრე კი კრისტიანსენმა ანგარიში 24:31 გახადა. ქართველები დაცვაში თითქმის (თითქოს) აღარ თამაშობდნენ, შეტევაში კი... ჩვენი ხელბურთელების ბოლო იერიში მართლაც ლამაზი გახლდათ: მეიფარიანმა ნახტომში ერთი შეხებით ბურთი ზურგს უკან ფრთაზე ქობელაშვილს გადაუგდო, რომელმაც ის ნახტომშივე დაიჭირა და ცენტრში თურქიას მიაწოდა, მაგრამ მას კომბინაციის დაგვირგვინება არ დასცალდა — წააქციეს. შვიდმეტრიანი ბოყოჩაძემ გაიტანა. საბოლოო ანგარიში კი კრისტიანსენის ტყორცნის შემდეგ დაფიქსირდა — 25:32.

წავაგეთ. როგორც თავში ვთქვით, ძნელია, მარცხი ვინმეს ან რამეს დააბრალო. ფაქტობრივად ჩემპიონატის უქონელმა ბიჭებმა თავი არ დაზოგეს, ნამდვილად მათზე ძლიერ მეტოქეს კარგა ხანს ტოლ-სწორად ეპაექრნენ, მაგრამ წავაგეთ. ტიტე კალანდაძე რომ გვყოლოდა, იქნებ... თუმცა დავანებოთ თავი მარჩიელობას. ამ წაგებით ქვეყანა არ დანგრეულა. წინ სხვა მატჩებია და დარწმუნებული ვარ, ქართველ ხელბურთელთა ეს თაობა არაერთხელ მოიპოვებს წარმატებას. გაისად ხორვატიაში კი უეჭველად დანიელები გაემგზავრებიან. მათ შინ რვა ბურთით ვერ დავამარცხებთ. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე!

**გაიოზ თალაკვაძე**

## მატჩის შემდეგ

თამაშის დამთავრებისთანავე ჩვენმა ბიჭებმა გასახდელს მიაშურეს და იქაურობა ნუხილმა მოიცვა. სიტყვაც არავის დასცდენია, არავითარი კამათი. ზოგი უხმოდ იჯდა სკამზე, ზოგიც ანგარიშმიუცემლად, ინსტიქტურად საქმიანობდა. დაღვრემილი სახეები, პირსახოცში თავჩარგული გარი თურქია... მისი შემხედვარე იფიქრებდი, სადაცაა ატირდება ამხელა კაციო...

**ზაზა დოლიძე**, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „დანია ძლიერი გუნდია და ძლიერადაც გვეთამაშა, მაგრამ ჩვენც დავუშვით შეცდომები. ტიტე კალანდაძის არყოფნამაც იმოქმედა. ის რომ ყოფილიყო, სულ სხვა თამაში წავიდოდა, თუმცა იმას არ ვამბობ, მოვიგებდით მეთქი. როცა ბომბარდირი არ გყავს, მეტოქეც უფრო თავისუფლად მოქმედებს. ჩვენი ბიჭებისთვის ეს მაინც კარგი სკოლა იყო. ბიჭები შებოჭილებიც იყვნენ, ცოტა შიშიც იყო, მაგრამ ძირითადად მაინც დაცვის სისუსტემ წაგვაგებინა. ის თავდასხმაზე სუსტად გამოიყურებოდა. ვერც საჯარიმოები გამოვიყენეთ. გამოყოფით კი ვერავის გამოვყოფ. ეს წაგება ყველაზე მეტად მაინც ჩემი ბრალია. ცოტა სწრაფად და დაკვირვებით თამაში გვმართებდა“.

**გიორგი ქობელაშვილი**: „მატჩამდე კი გვქონდა თამაშის მოგების მცირე იმედი, მაგრამ დანია ძლიერი გუნდია. თავიდან თითქოს ნორმალურად დავიწყეთ, მაგრამ მერე გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა. ჩვენ ვერ შევძელით თამაშის „დაჭერა“. არც საკუთარი თამაშით ვარ კმაყოფილი.“

**როლანდ ერაძე**: „ჩემი თამაშით ძალიან უკმაყოფილო ვარ. სამწუხაროდ, დაცვა ვერ გაისარჯა კარგად. დანიელებმა არც ერთი შეცდომა არ შეგვარჩინეს. ასეთ დროს რა უნდა მექნა? თუმცა იოლი ბურთიც ბევრი გავუშვი. ეს ფსიქოლოგიური ფაქტორის ბრალია. ჩვენ ხომ პირველად ვხვდებოდით ასეთ ძლიერ მეტოქეს“.



კრისტიან ჰიერმინდი

შეხვედრის დამთავრების შემდეგ დანიელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო, გერმანულ „ფლენსბურგში“ მოთამაშე **კრისტიან ჰიერმინდი** მოვიხელთეთ და ორიოდ სიტყვის თქმა ვთხოვეთ. თუმცა იგი, ნაკრებში უკვე 79 მატჩსა და 323 გოლს რომ ითვლის, მხოლოდ მას შემდეგ გაგვესაუბრა, რაც უფროს მწვრთნელ ლეიფ მიკელსენისგან ნებართვა მიიღო: „ნამდვილად ძალიან საინტერესო მატჩი იყო. პლეი ოფის კენჭისყრის შემდეგ, რაც ჩვენი მეტოქის ვინაობა შევიტყვეთ, გვეგონა, ამ ბარიერს იოლად დავძლევდით, საქართველოს ადვილად მოვუგებდით, მაგრამ აშკარად მოვტყუვდით. ქართველი ხელბურთელები გაცილებით ძლიერები აღმოჩნდნენ, ვიდრე ვფიქრობდით. თამაშიც საკმაოდ გაგვიძნელდა. ეგაა, თქვენებს ბოლოს დაღლილობა დაეტყოთ. არ ვიცი, გავიმარჯვებდით თუ არა, საქართველოს ნაკრებს თავისი ერთ-ერთი უძლიერესი წევრი, მეათე ნომერი (ტიტე კალანდაძე) რომ ჰყოლოდა. ვიცი, იგი ძალიან დიდი ძალაა თქვენი გუნდისთვის. ვწუხვარ, რომ ტრავმის გამო მან თამაში ვერ მოახერხა. რაც შეეხება საპასუხო მატჩს დანიაში, ვფიქრობ, იქაც კარგად ითამაშებთ და მოგებისთვის დიდი ჯაფა დაგვადგება. თუმცა არა მგონია, გამარჯვებით ტკბობის ბედნიერება მოგანიჭოთ. ძალიან მომეწონა მაყურებელი, რომელიც თავის გუნდს აქტიურად და კარგად ქომაგობდა“.

საქართველო — დანიის მატჩს ჩვენი დანიელი კოლეგებიც ესწრებოდნენ და ერთ-ერთ მათგანს, დანიური ტელევიზიის მომხიბლავ ჟურნალისტ ქალსაც ვთხოვეთ აზრის გამოთქმა: „საკმაოდ მაღალი დონის გუნდი გყოლიათ, მაგრამ, ეტყობა, გამოცდილება არ აქვს. თამაში დაძაბული იყო და ჩვენების მოგება რაღაც მომენტში საეჭვოდაც მივიჩნიე. საბედნიეროდ, შევცდი. თქვენი სუსტი წერტილი დაცვაა, მეტი აგრესიულობაა საჭირო. ჩვენთან ხელბურთი ძალიან პოპულარულია, მაგრამ წარმატებები მხოლოდ ქალთა გუნდებს აქვთ. გესმით, რა მხიარული ღრიანცელი ისმის ჩვენი ბიჭების გასახდელიდან? მეტისმეტად გაუხარდათ მოგება. იმედი აქვთ, თანამემამულე ქალებივით ახლა მაინც შეძლებენ ევროპის ჩემპიონატზე ხეირიანად თამაშს. ჩვენ გვეჯიბრებიან. მათი წარმატება ძალიან გამიხარდება, მაგრამ აქვე გეტყვით, რომ დანიელ ქალებამდე კაცებს ბევრი უკლიათ“.

**მაია დაიაური**

**ირაკლი თავაძე**

# ფერარი ბეწვზე გადარჩა

ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓᲝ, ვერ ვიტყვით, მაგრამ იტალიის 50-ე დიდი პრიზის გათამაშება „ფერარისთვის“ სასურველი შედეგით რომ დასრულდა, ამას წყალი არ გაუვა.

„მონცას“ ზეჩქაროსნულ ტრასაზე სისხლისფერ ბედაურებს უფრო მძლავრ „მაკლარენებთან“ ჭიდილში წარმატების იოტისხელა შანსი რომ ჰქონდათ, თავადაც მშვენივრად იცოდნენ. ბრიტანელი „ურჩხულების“ უპირატესობა კვალიფიკაციამაც და რბოლის დასაწყისმაც ცხადყო. თუმცა ჯერ მთავარზე ვთქვათ.

პარასკევს, არაოფიციალურ მოთელვისმაგვარ ვარჯიშზე მისული 12 000 ტიფოზი მოუთმენლად ელოდა მიხაელ შუმახერის გამოჩენას. დათქმულ დროს შუმიმ თავისი „ფერარი“ ტრასაზე გაიყვანა და რამდენიმე საცდელი წრეც გაიარა. მაგრამ, ეტყობა, ორი თვის წინ ნაავარიევმა ფეხმა ძალიან შეაწუხა, რადგან დაძმარებული სახით განუცხადა ჟურნალისტებს, დაბრუნება ჯერ კიდევ ნაადრევიაო. ექიმებმაც მარტო „მონცაზე“ კი არა, მომდევნო ეტაპზე რბოლაც აუკრძალეს. ასე რომ, უკვე ხუთ რბოლაში უშუმახეროდ დარჩენილი „ფერარი“ ჯერჯერობით კვლავ მიკა სალოს იმედზეა.

კვალიფიკაცია, ტრადიციულად, მიკა ჰაკინენმა მოიგო — სეზონში მეთერთმეტედ (!), ზედიზედ კი მეექვსედ (!). ამასთან, ფინელმა სამჯერ გააუმჯობესა ჟან ალეზის მიერ შარშანწინ დამყარებული წრის რეკორდი და 252,3 კმ/სთ საშუალო სიჩქარემდე გაზარდა. ერთ-ერთ მონაკვეთზე კი მისმა „მაკლარენმა“ „ზებგერითი“ სიჩქარეც — 355 კმ/სთ განავითარა. ჰაინც-ჰარალდ (ჰა-ჰა) ფრენცენის მეორე შედეგი იმდენად მოულოდნელი არ ყოფილა, როგორც ედი ირვინის ხელმოცარვა — „ფერარის“ ლიდერი ძალიან ბევრით — წამნახევრით ჩამორჩა ჰაკინენს და სეზონში თავისი უარესი, მე-8 დრო აჩვენა. ამ ულიმღამო შედეგმა ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი ჯერ კიდევ რბოლის დაწყებამდე პრაქტიკულად უშანსოდ დატოვა. იყოჩაღა სალომ, რომელიც თანაგუნდელზე ორი ადგილით წინ მოკალათდა. კვალიფიკაციის უმთავრესი სენსაცია კი ექსინდიკარელის, ალესანდრო ძანარდის მეოთხე სასტარტო პოზიცია გახლდათ — იტალიელი პილოტი ასე მაღლა პირველად აღზევდა. სანდრო რბოლაშიც ყოჩაღად გამოიყურებოდა და მანქანას ოდნავ რომ არ დაელალატებინა, იქნებ ერთი-ორი ქულისთვისაც გამოეკრა ხელი. სტარტზე ძანარდიმ კარგად ისარგებლა იმით, რომ ფრენცენი დევიდ კულჰარდისთვის გზის გადალობვით გაერთო და მეორე ადგილზე აღმოჩნდა, მაგრამ ჰა-ჰამ მალევე დაიბრუნა „კუთვნილი“ პოზიცია, კულჰარდი კი შეფერხებამ მეექვსეზე გადაისროლა, სალოს ზურგს უკან. ირვინი თითქმის ნახევარი რბოლა იმ მერვე ადგილზე მილასლასებდა და მდგომარეობის გაუმჯობესების ნაცვლად წრიდან წრემდე სულ უფრო უკან რჩებოდა.

ათი წრე ლიდერთა ექვსეულმა უცვლელად იარა: ჰაკინენი 5 წამით უსწრებდა ფრენცენს, შემდეგ მიდიოდნენ ძანარდი, რალფ შუმახერი, სალო და კულჰარდი. ირვინი უკვე 15 წამს აგებდა ლიდერთან.

„მონცას“ ფართო და გრძელი, სწორი მონაკვეთები გასწრების ჩინებულ საშუალებას იძლევა და პილოტებმაც, ვისაც როგორ შეეძლო, თავის გამოჩენა სცადეს. მართლაც, ამდენი გასწრება მთელ სეზონში არ ყოფილა. განსაკუთრებით აქტიურობდა რუბენს ბარიკელო. ბრაზილიელმა მრბოლმა ჯერ მე-11 წრეზე კულჰარდი ჩამოიტოვა, ათიოდ წუთში კი ზუსტად გათვლილი მანევრით სალოსაც აუარა გვერდი.

ამასობაში ძანარდიმ, ბოქსებიდან მიღებული ბრძანებისა თუ რბოლის წინ შემუშავებული გეგმის თანახმად, დელიკატურად გაუშვა წინ უმცროსი შუმახერი. ეს გამართლებული სვლა იყო, რადგან იტალიელის „უილიამსი“ ტრასაზე მთლად ყოჩაღად ვერ გამოიყურებოდა, შუმი-მეორემ კი მაშინვე უსწრაფესი დრო აჩვენა წრეზე.

გასწრების ეშხში შესულმა ბარიკელომ კი, რაკი მისი „ფორდის“ ძრავიანი „სტიუარტი“ საათივით მუშაობდა, 26-ე წრეზე არც ძანარდი დაინდო და მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა.

უმეტესობამ ერთი პიტ-სტოპის ტაქტიკა ირჩია და შუა რბოლისას აპირებდნენ ბოქსებში შესვლას. მაგრამ ლიდერს არ დასცალდა — სტარტ-ფინიშის სწორის შემდეგ, სადაც სიჩქარე 340 კმ/საათიდან უცბად 150-მდე ეცემა ორმაგი, ზიგზაგა მოსახვევის წინ, ჰაკინენი შეცდა, მისი „მაკლარენი“ ტრაექტორიაში ვერ „ჩაჯდა“ და ტრასიდან გასრიალებული მოხრეშილ დამცავ ზონაში გაიჭედა. ჩემპიონმა მარცხი ისე მწარედ განიცადა, რომ ბუჩქებს შეფარებული კარგა ხანს გულამომჯდარი ტიროდა.

ლიდერობა ფრენცენმა იგდო ხელთ და როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლომდე აღარც დაუთმია. გერმანელმა პილოტმა ჩინებულად წარმართა მთელი რბოლა, არც ერთ სახიფათო მოსახვევში წამითაც არ შეფერხებულა და დამაჯერებლად გაიმარჯვა. ამ ათი ქულით ჰა-ჰამ სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე გადაინაცვლა და ჩემპიონობის მშვენიერი შანსიც გაუჩნდა.

მე-13 ეტაპი დათარსული გამოდგა „მაკლარენისთვის“ — „მერსედესის“ ძრავიან სუპერ-ბოლიდებს უარესი შედეგი წლეულს მხოლოდ ერთხელ, პირველ ეტაპზე ჰქონდათ.

„ფერარის“ კი საკუთარ მოედანზე ძალიან გაუმართლა, თორემ ჰაკინენი რომ არ გამოვარდნილიყო, კონსტრუქტორთა თასის ბედი პრაქტიკულად უკვე გადაწყვეტილი იქნებოდა.

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲔ**



REUTERS მონცადან

ჰაკინენის უიღბლო მანევრი და... მიკამ რბოლა დაასრულა და ტირილი დაიწყო

### ჰაინც ჰარალდ ფრენცენი

გერმანია

დაიბადა 1967 წლის 18 მაისს მიონხენგლადბახში

სიმაღლე 178 სმ, წონა 65 კგ

უცოლო, ცხოვრობს მონაკოში

ფორმულა 1-ში ასპარეზობს 1994 წლიდან:

| | ქულა | ადგილი |
|---|---|---|
| 1994 ზაუბერი | 7 | XIII |
| 1995 ზაუბერი | 15 | IX |
| 1996 ზაუბერი | 7 | XII |
| 1997 უილიამსი | 42 | II |
| 1998 უილიამსი | 17 | VII |

ჩაატარა 94 რბოლა, მოიგო სამი დიდი პრიზი (სან-მარინო, საფრანგეთი, იტალია) — 41-ე შედეგი ფორმულის ისტორიაში. დააგროვა 138 ქულა (მე-40 შედეგი)




REUTERS მონცადან

### რბოლის შედეგები

იტალიის დიდი პრიზი
12 სექტემბერი, მონცა
დისტანცია — 53 წრე — 305.548 კმ

1. ფრენცენი (ჯორდანი) 1:17.02,923 (237,938 კმ/სთ) 10 ქულა
2. რ. შუმახერი (უილიამსი) ჩამორჩა 3,272 წმ 6 ქულა
3. სალო (ფერარი) 11,932 4 ქულა
4. ბარიკელო (სტიუარტი) 17,630 3 ქულა
5. კულჰარდი (მაკლარენი) 18,142 2 ქულა
6. ირვინი (ფერარი) 27,402 1 ქულა
7. ძანარდი (უილიამსი) 28,047
8. ვილნევი (BAR) 41,797
9. ალეზი (ზაუბერი) 42,198
10. ჰილი (ჯორდანი) 56,259
11. პანი (პროსტი) 1 წრით

**საუკეთესო წრე**

რ. შუმახერი (1.25,579)

**ლიდერებიი**

1-29 წრე ჰაკინენი
30-35 წრე ფრენცენი
36-37 წრე სალო
38-53 წრე ფრენცენი

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| ჰერბერტი (სტიუარტი) | გაიარა 40 წრე |
| ტაკაჯი (ეროუსი) | 35 |
| დე ლა როსა (ეროუსი) | 35 |
| ჰაკინენი (მაკლარენი) | 29 |
| ტრული (პროსტი) | 29 |
| ზონტა (BAR) | 25 |
| ბადოერი (მინარდი) | 23 |
| ვურცი (ბენეტონი) | 11 |
| დინიცი (ზაუბერი) | 1 |
| ფიზიკელა (ბენეტონი) | 1 |
| ჟენე (მინარდი) | 0 |

## განლაგება სტარტზე




| FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP | | ავსტრალია 7 მარტი | ბრაზილია 11 აპრილი | სან მარინო 2 მაისი | მონაკო 16 მაისი | ესპანეთი 30 მაისი | კანადა 13 ივნისი | საფრანგეთი 27 ივნისი | დიდი ბრიტანეთი 11 ივლისი | ავსტრია 25 ივლისი | გერმანია 1 აგვისტო | უნგრეთი 15 აგვისტო | ბელგია 29 აგვისტო | იტალია 12 სექტემბერი | ევროპის დიდი პრიზი 26 სექტემბერი | მალაიზია 17 ოქტომბერი | იაპონია 31 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **ჰაკინენი** (ფინეთი) მაკლარენ მერსედესი | – | 10 | – | 4 | 10 | 10 | 6 | – | 4 | – | 10 | 6 | – | | | | 60 |
| 2 | **ირვინი** (ირლანდია) ფერარი | 10 | 2 | – | 6 | 3 | 4 | 1 | 6 | 10 | 10 | 4 | 3 | 1 | | | | 60 |
| 3 | **ფრენცენი** (გერმანია) ჯორდან მუგენ ჰონდა | 6 | 4 | – | 3 | – | – | 10 | 3 | 3 | 4 | 3 | 4 | 10 | | | | 50 |
| 4 | **კულჰარდი** (ბრიტანეთი) მაკლარენ მერსედესი | – | – | 6 | – | 6 | – | – | 10 | 6 | 2 | 6 | 10 | 2 | | | | 48 |
| 5 | **მ.შუმახერი** (გერმანია) მაკლარენ მერსედესი | – | 6 | 10 | 10 | 4 | – | 2 | – | – | – | – | – | – | | | | 32 |
| 6 | **რ.შუმახერი** (გერმანია) უილიამს სუპერტეკი | 4 | 3 | – | – | 2 | 3 | 3 | 4 | – | 3 | – | 2 | 6 | | | | 30 |
| 7 | **ბარიკელო** (ბრაზილია) სტიუარტ ფორდი | 2 | – | 4 | – | – | – | 4 | – | – | – | 2 | – | 3 | | | | 15 |
| 8 | **ფიზიკელა** (იტალია) ბენეტონ სუპერტეკი | 3 | – | 2 | 2 | – | 6 | – | – | – | – | – | – | – | | | | 13 |
| 9 | **სალო** (ფინეთი) ფერარი | – | – | – | – | – | – | – | – | – | 6 | – | – | 4 | | | | 10 |
| 10 | **ჰილი** (ბრიტანეთი) ჯორდან მუგენ ჰონდა | – | – | 3 | – | – | – | – | 2 | – | – | 1 | 1 | – | | | | 7 |
| ვურცი (ბენეტონი), დინიცი (ზაუბერი) — 3 ქულა; ჰერბერტი (სტიუარტი), პანი (პროსტი) — 2; დე ლა როსა (ეროუსი), ალეზი (ზაუბერი) და ტრული (პროსტი) — 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | **მაკლარენ მერსედესი** | – | 10 | 6 | 4 | 16 | 10 | 6 | 10 | 10 | 2 | 16 | 16 | 2 | | | | 108 |
| 2 | **ფერარი** | 10 | 8 | 10 | 16 | 7 | 4 | 3 | 6 | 10 | 16 | 4 | 3 | 5 | | | | 102 |
| 3 | **ჯორდან-მუგენ-ჰონდა** | 6 | 4 | 3 | 3 | – | – | 10 | 5 | 3 | 4 | 4 | 5 | 10 | | | | 57 |
| 4 | **უილიამს სუპერტეკი** | 4 | 3 | – | – | 2 | 3 | 3 | 4 | – | 3 | – | 2 | 6 | | | | 30 |
| 5 | **სტიუარტი** | 2 | – | 4 | – | – | 2 | 4 | – | – | – | 2 | – | 3 | | | | 17 |
| ბენეტონი — 16; ზაუბერი — 4; პროსტი — 3; ეროუსი — 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | |

US OPEN

# ერა დაიწყო...

## ხერხი ღონეს შეატყდა

**ნახევარფინალი. ქალები. სერენა უილიამსი (7, აშშ) — ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) 6:4, 1:6, 6:4; მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ვინუს უილიამსი (3, აშშ) 6:1, 4:6, 6:3.**

ქალების ნახევარფინალური მატჩების მთავარი ინტრიგა ის იყო, ასრულდებოდა თუ არა რიჩარდ უილიამსის პროგნოზი — გადამწყვეტ მატჩში მართლაც. მისი ქალიშვილები შეხვდებოდნენ ერთმანეთს, თუ არა.

წვიმის გამო რამდენიმე საათით გვიან დაწყებულ პირველ ნახევარფინალში სერენამ ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი და მსოფლიოს მეორე ჩოგანი ლინდსი დევენპორტი მოინელა და უფროს დაიკოს პრესკონფერენციაზე შეუთვალა, მე ვალი მოვიხადე, ახლა შენი ჯერიაო.

ამრიგად, უილიამსური ფინალის გზაზე ერთადერთი ადამიანი დარჩა — მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი, რომელიც მთელი ტურნირის მანძილზე ჯიუტად ამტკიცებდა, რიჩარდის პროგნოზი არ გამართლდებაო. 18 წლის შვეიცარიელს ამჯერად სიტყვა საქმედ უნდა ექცია და მოახერხა კიდეც.

მარტინამ პირველ სეტში სრულყოფილი ჩოგბურთი უჩვენა, ისეთი, მისგან ტრიუმფალურ 1997-ში რომ ვიყავით ჩვეული — არავითარი შეცდომები, ნებისმიერი შანსის გამოყენება, ლამაზი, აზრიანი შეტევები.

შვეიცარიელმა ასეთივე დონის შენარჩუნება დიდი ხნით ვერ შეძლო, ვინუსმა მერე და მერე უპირატესობა თავდაუზოგავად სირბილის ხარჯზე იგდო ხელთ, მეტოქის თითქმის ყველა დარტყმას უსწრებდა და ოფლში გახვითქული უკან კიდევ უფრო ძლიერად აბრუნებდა.

მესამე ხელში უილიამსი 3:2 დაწინაურდა და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ჰინგისს ვეღარც ტრიბუნებიდან აქტიურად მოკარნახე-მონერვიულე დედის მითითებები უშველიდა და ვეღარც თავისი სანაქებო ინტუიცია, მაგრამ იგი არ დანებდა, ბრძოლა განაგრძო და შედეგიც მოიმკო.

ამდენ სირბილს უკვალოდ ჩაევლო, არ იქნებოდა და მატჩის ბოლოს ერთი შეხედვით ფიზიკურად უნაკლოდ მომზადებულ ვინუსს კუნთების კრუნჩხვები დაეწყო — მოწოდებასაც კი ველარ ურტყამდა. უილიამსმა კორტზე ექიმს უხმო, ხელ-ფეხი იზილა და ყინულებიც დაიდო, მაგრამ საქმეს არაფერმა უშველა და მარტინამაც დამსახურებული გამარჯვება იზეიმა.

„ეს არაჩვეულებრივი მატჩი იყო. იცით, საშინლად არ მინდოდა, რომ ფინალში ორი უილიამსი შეხვედროდა ერთმანეთს, უბრალოდ, არ შემეძლო, ეს დემეშვა“ — გაიხარა ჰინგისმა.

**ფინალი: სერენა უილიამსი — მარტინა ჰინგისი 6:3, 7:6 (7:4)**

კი, ხალხური სიბრძნეა, ხერხი სჯობია ღონესაო, მაგრამ ღონესაც ხომ გააჩნია.

დები უილიამსების პროფესიულ სარბიელზე გამოჩენიდანვე ნათელი იყო, რომ ადრე თუ გვიან, მათი ჟამი უნდა დამდგარიყო: ახალი ერის დასაწყისად ეს „ოუფენი“ იქცა. მართალია, დიდი სიბრძნითა და ტაქტიკით უილიამსები ვერც ახლა ბრწყინავენ, მაგრამ ფიზიკურად ხომ მათთან ახლოსაც ვერავინ მივა (მაგალითად, მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგან ჯონ მაკინროის მიაჩნია, რომ 17 წლის სერენა უილიამსი თავის ტოლ ნებისმიერ ბიჭზე ჯანიანიც კია).

უმცროსი, მაგრამ არა პატარა დაიკოს კუნთების ძალა ფინალში მარტინა ჰინგისმაც იწვნია. სერენას წინა საღამოს, მეორე ნახევარფინალის დასრულების შემდეგ, ენერგია დამატებითი ვარჯიშისთვისაც კი ეყო.

„ვნახე, მარტინამ ვინუსს როგორ მოუგო და ძალიან მინდოდა, მეც მისი ბედი არ გამეზიარებინა. მან ისე კარგად ითამაშა, თავს ვუთხარი, შენც აუცილებლად უნდა მოუმატო-მეთქი... თანაც ვინუსი ისეთ ცუდი ხასიათზე იყო, ამან დამატებითი სტიმული მომცა მოსაგებად და შურის საძიებლად. ასეთ ცუდ ხასიათზე ჩემი და არასოდეს მინახავს.“

ისე, ვინუსს არც გაემტყუნება: გარდა იმისა, რომ ნახევარფინალში დამარცხდა, ამიერიდან თავისი უმცროსი დის ჩრდილში მოქცევაც ემუქრება.

ფინალი დაიწყო და აღმოჩნდა, რომ მასში ერთი ჩოგბურთელი თამაშობდა — სერენა უილიამსი.

შავკანიანი ჩოგბურთელის გეგმა მარტივი იყო: ყოველ გათამაშებაში პირველი წამიდანვე შეტევაზე გადასვლა და ბურთის მთელი ძალით გახედვნა. მართალია, ანომალური ძალის დარტყმებს შეცდომებიც ბლომად მოსდევდა, მაგრამ 21-ე საუკუნის ჩოგბურთის მოთამაშე სერენა ბევრ ქულას სუფთადაც იგებდა.

თავის მხრივ ჰინგისს თამაში ფაქტობრივად არც უწევდა — მისი მეტოქე ან თვალის დახამხამებაში აფუჭებდა ბურთებს, ან მათ ისე გზავნიდა მეორე მხარეს, შვეიცარიელი ადგილიდან დაძვრასაც ვერ ასწრებდა.

განსაკუთრებით გამოსარჩევი გახლდათ სერენას მოწოდებაც — ამ წუთისთვის ქალთა ჩოგბურთის ყველაზე მძლავრი და საშიში იარაღი. გეიმი არ გასულა, ჰინგისს ბრეიკ-პოინტი არ



მარტინა ჰინგისი



სერენა უილიამსი

REUTERS ნიუ იორკიდან

ჰქონოდა, მაგრამ ამერიკელი თითქმის ყველა მათგანს ეისით ან მოუბრუნებელი მოწოდებით პასუხობდა, გაოცებული და დაბნეული მარტინა კი უილაჯოდ ეძებდა დახმარებას ტრიბუნებიდან.

ასე გრძელდებოდა იქამდე, სანამ ანგარიში 6:3, 5:3 და 40:15 გახდებოდა სერენას სასარგებლოდ და მას ერთადერთი ბურთი დააკლდებოდა კარიერის პირველი (და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არა უკანასკნელი) „მეიჯორის“ ტიტულამდე.

უდიდესი წარმატების პირას აღმოჩენამ უილიამსი სასტიკად გაანერვიულა და დააბნია — მან ზედიზედ ოთხი ქულა მარტივი შეცდომებით წააგო და ხელიდან თითქოს ძალაც გამოეცალა.

მატჩმა ამით მხოლოდ მოიგო: როგორც იქნა, ხანგრძლივი და სულისშემკვრელი გათამაშებები გადაება ერთიმეორეს, ჰინგისს ჭკუისა და ტექნიკის დემონსტრირების საშუალება მიეცა და ახლა უკვე სერენას უხდებოდა ვინუსივით ერთი კიდიდან მეორისკენ სირბილი — შვეიცარიელმა ზედიზედ სამი გეიმი მოიგო და 6:5-ზე სეტპოინტსაც მიატანა.

მატჩის ამ უმნიშვნელოვანეს გათამაშებაში ჰინგისის დარტყმული ბექჰენდი ბადის წვეროდან მეორე მხარეს რომ გადაგორებულიყო, კაცმა არ იცის, გადამწყვეტ ხელში რა მოხდებოდა, მაგრამ მას არ გაუმართლა. საქმე მაინც ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სერენამ კი ამასობაში პანიკას თავი დააღწია, ძველებურად დატრიალდა და მალე გამარჯვების ნიშნად ხელები მაღლა აწია.

„არც კი ვიცოდი, რა მექნა, მეცინა, მეტირა თუ მეყვირა. ვფიქრობ, ყველაფერი ერთად გავაკეთე — ასე გაიხსენა ტრიუმფის მომენტი მოგვიანებით სერენამ, რომელსაც დაჯილდოების ცერემონიალის დასრულებამდე დარჩა პირი ღია — იმდენი ხანი ამისთვის ვვარჯიშობდი და აჰა, ოცნებაც ასრულდა. ყველაფერი ეს ძნელი დასაჯერებელი იყო.“

იმ დღეს სერენამ კიდევ ერთხელ დააღო გაოცებისაგან პირი — მას პრეზიდენტმა ბილ ქლინტონმა მიულოცა გამარჯვება და ამის აღსანიშნავად თეთრ სახლშიც მიიწვია.

**წყვილები. ფინალი ქალთა შორის: ვინუს და სერენა უილიამსები (3, აშშ) — ჩანდა რუბინი (აშშ) და სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) 4:6, 6:1, 6:4.**

უილიამსების ოჯახი წლევანდელი ოუფენიდან ჭეშმარიტად ჯიბე-და-ხელდამშვენებული წავიდა: ორ ტიტულთან ერთად საპრიზოებით მათ 1 290 000 დოლარი ერგოთ — 750 ათასი ერთეულებში გამარჯვებისთვის სერენას, 210 ათასი ნახევარფინალისტობისთვის ვინუსს და 330 ათასიც ერთობლივი შრომისთვის წყვილებში.

## ძველი ღვინო

**კაცები. ნახევარფინალი: ანდრე აგასი (2, აშშ) — ევგენი კაფელნიკოვი (3, რუსეთი) 1:6, 6:3, 6:3, 6:3; ტოდ მარტინი (7, აშშ) — სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) 6:4, 6:1, 6:2.**

კაცების ნახევარფინალებიდან გაცილებით დიდ ინტერესს ანდრე აგასისა და ევგენი კაფელნიკოვის შეხვედრა იწვევდა, რაც სავსებით ბუნებრივი იყო: ფინალის საგზურის გარდა ჩემპიონობის მთავარ ფავორიტთა ჯახი ორშაბათიდან მსოფლიოს პირველი ჩოგნის ვინაობასაც არკვევდა.

აგასისა და არტურ ეშის სახელობის ცენტრალურ კორტზე შეკრებილ ათასობით ამერიკელს კაფელნიკოვმა 22 წუთით ჩააკმენდინა ხმა — ზუსტად ამდენ ხანს გრძელდებოდა პირველი სეტი, რომელშიც აღმაფრენით მოთამაშე რუსს ყველაფერი გამოსდიოდა.

მერე კი სოჭელმა ჟენიამ შეცდომებს უმატა, ხოტორა ანდრემ შერყეული თავდაჯერება დაიბრუნა და მისი გამჩერებელი აღარავინ იყო — რუსმა მეტოქის შემოთავაზებულ სწრაფ ტემპს ფეხი ვერ აუწყო და ზედიზედ სამი ხელი ერთნაირი ანგარიშით 3:6 დათმო.

„1999 წელი აშკარად ანდრეს ეკუთვნის. დღეს მუდმივად მასზე ნახევარი ნაბიჯით უკან ვიყავი“ — აღიარა კაფელნიკოვმა, რომელმაც უტყუარი პროგნოზისტის ტიტულიღა იკმარა — ტურნირის დასაწყისში ჩემპიონობა საკუთარ თავს, რიჩარდ კრაიჩეკს ან აგასის უწინასწარმეტყველა.

კიდევ ერთი საოცრად ზუსტი პროგნოზი ჟენიამ ფინალისთვისაც გააკეთა: ორი სეტის მოგებამდე რომ იყოს თამაში, ტოდ მარტინს შანსი ექნებოდა, მაგრამ ხანგრძლივ შეხვედრაში უეჭველად აგასი იმარჯვებს, ფიზიკურად უკეთ მომზადებულიო.

**ფინალი: ანდრე აგასი — ტოდ მარტინი 6:4, 6:7 (5:7), 6:7 (2:7), 6:3, 6:2.**

კვირას ანდრე აგასიმ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჭეშმარიტად დიდი ჩოგბურთელია: კაცმა, რომელიც ორი წლის წინ საუკეთესოთა ასეულიდან გავარდა და „ჩელენჯერებზე“ ცდილობდა ფორმის აღდგენას, სეზონში ზედიზედ მესამე დიდი სლემის ტურნირის ფინალში იასპარეზა (რაც ივან ლენდლის შემდეგ ვერავის მოუხერხებია) და 29 წლისამ (როდესაც ბევრი კარიერას ასრულებს) ივნისში მოპოვებულ „როლან გაროსის“ ტიტულს „ოუფენისაც“ მიუმატა.

„სწორედ ასეთი მომენტებისთვის ვთამაშობ ჩოგბურთს. ... ის ღია პირველობის ფინალში ყოფნაზე უკეთესი რამ ძნელი წარმოსადგენია“ — განაცხადა პრესკონფერენციაზე ანდრემ, რომელმაც პირველად ნიუ იორკში 1994-ში იმარჯვა, თუმცა 1990-სა და 95-ში აქ ფინალებში დამარცხდა.

გამარჯვება ხოტორა ვარსკვლავს იოლად სულაც არ რგებია. ბევრის მიერ წინასწარ წასაგებად გამზადებულმა მარტინმა მეტოქეს დიდი წინააღმდეგობა გაუწია და 23 ეისისა და ბადესთან შესანიშნავი თამაშის ხარჯზე გვარიანი საფიქრალიც გაუჩინა: მსოფლიოში საუკეთესო მიღების პატრონმა აგასიმ მატჩის პირველი გეიმის შემდეგ მთელი სამი სეტის მანძილზე მას მოწოდება ვერაფრით აართვა, გზად ორი ტაიბრეიკი დათმო და კატასტროფის პირას აღმოჩნდა.

„ძალიან გავნერვიულდი, თავს ვეკითხებოდი, რა შეიძლება მოვახერხო, რაიმეს არასწორად ხომ არ ვაკეთებ-მეთქი, თუმცა, უბრალოდ, ტოდი თამაშობდა არაჩვეულებრივად. მთავარი იყო, არ დავნებებულიყავი და ადრე თუ გვიან ჩემი დროც დადგებოდა“ — აღნიშნა მოგვიანებით ანდრემ, რომელსაც თავის მხრივ მთელი მატჩის მანძილზე მოწოდება ერთხელაც (!) არ დაუკარგავს.

მართლაც, მეოთხე ხელის ბოლოსთვის მარტინს დაღლა დაეტყო, ცოტათი მარჯვენაც ასტკივდა და აგასიმ ზედიზედ ხუთი გეიმი მოიგო, თითქმის სამსაათნახევრიანი მატჩის ბოლოს კი უკვე დიდ უპირატესობას ფლობდა.

„ვიცი, რომ მოგება შემეძლო, მაგრამ მაინცდამაინც იმედგაცრუებულიც არ ვარ, მე ღირსეულად ვითამაშე... მთელი ხუთი სეტის მანძილზე ანდრეს შეუჩერებელი ზეწოლის, აგრესიის გაძლება წარმოუდგენლად ძნელი იყო. ამ ტურნირიდან მხოლოდ კარგი მოგონებები გამყვება“ — ეს ტოდ მარტინის სიტყვებია.

**წყვილების ფინალი კაცთა შორის: სებასტიან ლარო (კანადა) და ალექს ობრაიენი (აშშ) — ლეანდერ პაესი და მაჰეშ ბჰუპატი (1, ინდოეთი) 7:6 (9:7), 6:3.**

* * *

**იუნიორი ბიჭების ფინალი: იარკო ნიმინენი (7, ფინეთი) — კრისტიან პლესი (1, დანია) 6:7 (1:7), 6:3, 6:4**

სწორედ მომავალმა ჩემპიონმა, ფინელმა იარკო ნიმინენმა გაამწარა მეოთხედფინალში ჩვენებური ირაკლი ლაბაძე და მეორედ განთესილ თბილისელსაც თითქმის ისეთივე ანგარიშით აჯობა, როგორც მის მეწყვილე პლესს ფინალში — 5:7, 6:3, 6:4.

**იუნიორი გოგონების ფინალი: ლინა კრასნარუცკაია (6, რუსეთი) — ნადეჟდა პეტროვა (2, რუსეთი) 6:3, 6:2.**

ავთანდილ სვანიძე

**სერენა უილიამსი — მარტინა ჰინგისი 6:3, 7:6 (7:4)**

| | უილიამსი | ჰინგისი |
|---|---|---|
| I მოწოდების % | 56 | 73 |
| ეისები | 8 | 0 |
| ორმაგი შეცდომები | 3 | 1 |
| I მოწოდებაზე მოგებული ქულები | 33/52-დან — 63 % | 36/55-დან — 65 % |
| II მოწოდებაზე მოგებული ქულები | 20/41-დან — 49 % | 5/20-დან — 25 % |
| სუფთად მოგებული ქულები | 36 | 7 |
| უნებლიე შეცდომები | 49 | 24 |
| ბადესთან მოგებული ქულები | 14/23-დან | 6/10-დან |
| ბრეიკ-პოინტების გამოყენება | 4/10-დან | 3/10-დან |
| სულ მოგებული ქულები | 87 | 81 |
| უსწრაფესი მოწოდება | 185 კმ/სთ | 158 კმ/სთ |

**ანდრე აგასი — ტოდ მარტინი 6:4, 6:7 (5:7), 6:7 (2:7), 6:3, 6:2**

| | აგასი | მარტინი |
|---|---|---|
| I მოწოდების % | 64 | 60 |
| ეისები | 7 | 23 |
| ორმაგი შეცდომები | 4 | 8 |
| I მოწოდებაზე მოგებული ქულები | 76/102-დან — 75 % | 65/91-დან — 71 % |
| II მოწოდებაზე მოგებული ქულები | 38/58-დან — 66 % | 36/61-დან — 59 % |
| სუფთად მოგებული ქულები | 39 | 74 |
| უნებლიე შეცდომები | 21 | 60 |
| ბადესთან მოგებული ქულები | 16/19-დან | 62/97-დან |
| ბრეიკ-პოინტების გამოყენება | 5/10-დან | 0/8-დან |
| სულ მოგებული ქულები | 165 | 147 |
| უსწრაფესი მოწოდება | 198 კმ/სთ | 204 კმ/სთ |



REUTERS ნიუ იორკიდან

ანდრე აგასი

# გინდათ მილიონი? არბენინეთ ცოლი!

შაბათს მიუნხენის ოლიმპიურმა სტადიონმა IAAF-ის დიდი პრიზის ფინალურ შეჯიბრს უმასპინძლა და ამ პრესტიჟული ტურნირით მსოფლიოს უძლიერესმა მძლეოსნებმა წლევანდელი სეზონიც ჩაამთავრეს.

1999 წელი ბევრი რამით იყო გამორჩეული მძლეოსნურ სამყაროში — მეორედ გაიმართა შვიდშეჯიბრა და მილიონდოლარიანი „ოქროს ლიგა“, აგვისტოში კი სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატიც გაიმართა და, წელანაც გითხარით, ბოლოს დიდი პრიზის ფინალური სერიალა დარჩა.

მიუნხენში თითქმის ყველა უძლიერესმა მოიყარა თავი. ქომაგთა გამორჩეული ყურადღება კი რუმინელ გაბრიელა საბოსკენ იყო მიპყრობილი. გაბრიელამ წლეულს ჩინებულად იასპარეზა. „ოქროს ლიგის“ ჯეკ-პოტი მილიონი მწვანე დანიელ უილსონ კიპკიტეთან გაიყო, სევილიაში 5000 მეტრზე იმარჯვა და ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი. ამას მაებაშის ჭერქვეშა მსოფლიოს პირველობაზე მოპოვებული ორი ოქროც დაუმატეთ (1500 და 3000 მ) და დასტურად ესეც იკმარებს. თან იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ მედალჯილდოებს გვარიანი ფასიც ადევთ და საბოსაც მიუნხენში ჩასვლამდე 765 000 დოლარი შეეგროვებინა, მაყურებელთა ცხოველი ინტერესი მით უფრო ცხადი გახდება — გერმანიაში წარმატებული ასპარეზობის შემთხვევაში ცისფერთვალება გაბრიელა მილიონიან ზღვარს გადააბიჯებდა და ამით პირველი მძლეოსანი გახდებოდა, ვინც ერთ სეზონში ამდენი ფულის მოხვეჭა შეძლო. ჰოდა, ამ ჩვენმა საბომ მიუნხენის ოლიმპიური სტადიონის სარბენ ბილიკზე 3000 მეტრი 8.43,52 წუთში გაირბინა. მაროკოელი სარა უაზიზი (8.43,60) და გერმანელი ირინა მიკიტენკო (8.45,59) გვარიანი მანძილით მოიტოვა და, ცხადია, ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა. დიდი პრიზის ქალთა შეჯიბრის საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე გავიდა, 50 000 დოლარი მიუნხენში გამარჯვებისთვის ირგუნა, 200 000 კი აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისთვის. წლეულს სულ მილიონ თხუთმეტი ათასით გაამდიდრა ოჯახი და შეჯიბრის მერე ბედნიერმა ჟურნალისტებს ალალად უთხრა — ახლა კი დასვენებაც შეიძლებაო. ღმერთმა ხელი მოუმართოს გაბრიელას, დასვენებაც და ნებივრობაც ხომ მასზე ნაღდად ალალია. ასეთი წარმატების შემდეგ საბო მთელ მსოფლიოში პოპულარული გახდა, რუმინეთში კი, როგორც ამბობენ, ყველას მისი სახელი აკერია პირზე. ეგ კი არა, გაბრიელამ პოპულარობით თავად უცნობილეს ტანმოვარჯიშეს ნადია კომენიჩის გაუსწროო.

ახლა კი კაცთა შეჯიბრზეც ვთქვათ. კენიელი ბერნარდ ბარმასაის ამბავი ალბათ გეხსომებათ. ბარმასაი „ოქროს ლიგის“ ტურნირებზე ჩინებულად ასპარეზობდა, მაგრამ ციურიხში IAAF-ის ჩინოსნებმა ბრალი დასდეს, თვისტომ კრისტოფერ კოსგეის გაურიგდი და მანაც პირველობა დაგითმოო, მერე კიდევ სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ვერ ივარგა, მხოლოდ მეხუთე ადგილს დასჯერდა და დიდ პრიზზე წარმატებული გამოსვლისღა ეიმედებოდა.

ბარმასაიმ ყველას დაუმტკიცა, რომ ნაადრევად ჩამოსაწერი სულაც არ გახლავთ. მიუნხენში 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში პირველი იყო და 250 000 დოლარსაც გამოჰკრა ხელი. „იმ უსიამოვნო ამბების მერე, ციურიხში და სევილიაში რომ გადამხდა, სეზონის ასე კარგად დამთავრება ჩინებულია, ბევრი ფულიც, ცხადია, არ მაწყენს, მაგრამ მთავარია, რომ ყველას დავუმტკიცე — მე პირველი ვარ, ახლა სიდნეის ოლიმპიადის ოქროს ვუმიზნებ“ — განაცხადა ბარმასაიმ.

**სოსო კოტორეიშვილი**

**დიდი პრიზი**
**საბოლოო შედეგები**

ქალები

1 გაბრიელა საბო (რუმინეთი) — 3000 მ — 108 ქულა
2 მარია მუტოლა (მოზამბიკი) — 800 მ — 108
3 დეონ ჰემინგსი (იამაიკა) — 400 მ თარეჯრბენი — 104
4 სვეტლანა მასტერკოვა (რუსეთი) — 1500 მ — 99
5 სარა უაზიზი (მაროკო) — 3000 მ — 97

კაცები

1 ბერნარდ ბარმასაი (კენია) — 3000 მ წინაღობებით — 111
2 კოსტას კატციუდისი (საბერძნეთი) — შუბის ტყორცნა — 109
3 უილსონ კიპკეტერი (დანია) — 800 მ — 108
4 მაქსიმ ტარასოვი (რუსეთი) — ჭოკით ხტომა — 107
5 ნოა ნგენი (კენია) — 1500 მ — 104

REUTERS მიუნხენიდან



გაბრიელა საბო და ბერნარდ ბარმასაი





AFP ალტო დე ანგლირუდან

ხოსე მარია ხიმენესი




# ფავორიტთა შავი დღეები

შაბათს „ვუელტას“ მეშვიდე ეტაპი გერმანელი მარსელ ვუსტის (ფესტინა) გამარჯვებით დასრულდა. 32 წლის ვუსტი, რომელიც მთებში ვერაფერიშვილია, ყოველი გავაკებით სარგებლობს და უკვე მეოთხე ეტაპი მოიგო. საერთოდ „ვუელტაზე“ კი უკვე თორმეტი გამარჯვება დაუგროვდა.

„მე საუკეთესო ვარ“ — თქვა მან რამდენიმე დღის წინ და შაბათსაც იგივე გაუმეორა ჟურნალისტებს. თუმცა ბოროტი ხმები ამბობენ, მისი გალაღება მარიო ჩიპოლინის არყოფნის, იან სვორადას ტურნირს გამოკლებით და იერონ ბლიილევენსის ცუდი ფორმით არის გამოწვეულიო. ვუსტი კი მაინც ჯიუტად აცხადებს, ყველა სხვა სპრინტერს მე ვჯობივარო და დღესდღეობით საწინააღმდეგოს მტკიცება მართლაც ძნელი საქმეა.

სტარტიდან პელოტონს დაახლოებით 22 კილომეტრი ექნებოდა გავლილი ჯგუფური წაქცევა რომ მოხდა, რომელმაც ერთ-ერთი ფავორიტი, ამერიკელი ბობი ჯულიჩი (კოფიდისი) გამოაკლო შეჯიბრს. მან თავის ქალის ტრავმა მიიღო. ისე, კიდევ კარგი, ჯულიჩს ჩაფხუტი ეხურა, თორემ შეიძლება მისი წაქცევა ტრაგიკულადაც დამთავრებულიყო. წლეულს ამერიკელი მრბოლი თითქოს დანავსულია — „ტურ დე ფრანსიც“ მერვე ეტაპიდან მიატოვა დაცემის გამო.

ამ ინციდენტის შემდეგ ვლადიმირ ბელიმ, ფაბიო რისკიოლიმ, მარიანო პიკოლიმ და როლფ სორენსენმა განახორციელეს შეტევა. მათ ოთხწუთიან უპირატესობასაც მიაღწიეს, მაგრამ იგი ბოლომდე ვერ შეინარჩუნეს. პელოტონი ჯერ ბელისა და სორენსენს წამოეწია ფინიშამდე 27 კილომეტრით ადრე, 15 კილომეტრის მერე — როსკიოლისა და პიკოლის. შემდეგ კი ჯგუფური სპრინტი გაიმართა, რომელშიც ვუსტმა გაჭირვებით, მაგრამ მაინც აჯობა რობი მაკივენს.

კვირას „ვუელტას“ ეტაპი-დედოფალი გაიმართა. ფინიში ჯოჯოხეთური სიძნელის აღმართის — ალტო დე ანგლირუს ბოლოს იყო მოწყობილი. მანამდე კი მრბოლებს ორი პირველი კატეგორიის სიძნელის მთა ჰქონდათ დასაძლევი. პირველობა ესპანელმა ხოსე მარია ხიმენესმა იზეიმა, რომელიც რუს პაველ ტონკოვს ბოლო ხუთას მეტრზეღა წამოეწია.

ანგლირუს მისადგომებთან წაქცევის მიუხედავად, საერთო ჩათვლაში პირველ პოზიციაზე მყოფმა ესპანელმა აბრაამ ოლანომ (ონსე) ეტაპი მაინც მეხუთემ დაამთავრა და ლიდერის ოქროსფერი მაისურაც შეინარჩუნა. თანაც მეორე ადგილზე მყოფ გერმანელ იან ულრიხთან სხვაობა კიდევ უფრო გაზარდა.

ტონკოვმა იერიში ეტაპის მთავარი მთის ძირას წამოიწყო და თითქოს გამარჯვებაც დაბევებული ჰქონდა, მაგრამ შარშანდელი „ვუელტას“ „მთის მეფე“ ხიმენისის წინააღმდეგ მაინც ვერაფერი გააწყო და სპრინტში დამარცხდა.

ამ დროისთვის მრბოლთა უმეტესობას აღმართის ყველაზე ციცაბო მონაკვეთი ლა კუენა (23,6 პროცენტი დახრილობა) ჯერ კიდევ არ გაევლო. „პედლებს ატრიალებ, იტანჯები, გგონია წინ მიდიხარ, მაგრამ თითქმის ადგილზე ხარ“ — თქვა წარსულში ცნობილმა მრბოლმა ესპანელმა პედრო დელგადომ, ვისაც „ტურ დე ფრანსიც“ კი აქვს მოგებული, ახლა კი ჟურნალისტობით ირჩენს თავს. მართლაც, გზის ამ ნაწილში თითქოს მოტოციკლეტებსაც გაუჭირდათ...

ხიმენესს ძალიან უნდოდა ეტაპის მოგება და ამისთვის ძალ-ღონეც არ დაუშურებია. მან გამარჯვება სპორტის ჩინოვნიკებისგან „ჯიროს“ დროს ტყუილად დასჯილ იტალიელ მარკო პანტანის მიუძღვნა. ტონკოვმა კი დაიჩივლა, მანქანებმა შემიშალეს ბოლოს ხელი, თორემ პირველობას ესპანელს არ დავანებებდიო.

წვიმასა და ნისლში ჩატარებული ეტაპი ფატალური გამოდა „ვუელტას“ კიდევ ერთი ფავორიტის, ესპანელი ფერნანდო ესკარტინისთვის (კელმე). იგი პირველივე მთაზე წაიქცა და შეჯიბრის მიტოვებამ მოუწია. მისი გუნდის ექიმის განცხადებით, „ტურზე“ მესამე ადგილის დამკავებელი მრბოლი ძლიერ დამტვრეული არაა, მაგრამ რამდენიმე დღით მაინც მოუწევს იძულებითი დასვენება.

გუშინ გამართული მეცხრე ეტაპი, რომელიც განსაკუთრებული სიძნელეებით არ გამოირჩეოდა, ფრანგი ლორან ბროშარის გამარჯვებით დასრულდა. მრბოლებმა ესპანეთის ჩრდილო-დასავლეთში 185,6 კილომეტრი გაიარეს. საერთო ჩათვლაში ლიდერობა, როგორც მოსალოდნელი იყო, აბრაამ ოლანომ შეინარჩუნა. „ონსეს“ ლიდერი უახლოეს მდევრებს იან ულრიხსა და პაველ ტონკოვს ორ წუთზე მეტს უგებს.

წინა დღის საშინლად ძნელი ეტაპის შემდეგ გუშინ მრბოლებს წესით დიდი ჯაფა არ უნდა დასდგომოდათ, მაგრამ თუ მათ მაღალი მთების დაძლევამ არ მოუწიათ, სამაგიეროდ, ძლიერმა წვიმამ და ქარმა გააწამათ. დღის მთავარი და თანაც წარმატებული იერიში თორმეტიოდე სპორტსმენმა განახორციელა, რომლებმაც ოლანოს სამ წუთზე მეტი მოუგეს, მაგრამ მათ რიგებში ოქროსფერ მაისურიანის მთავარ კონკურენტთაგან არავინ იყო.

ამდენი წვალების შემდეგ პელოტონს დღეს დამსახურებული დასვენება აქვს, ხვალ კი მეათე ეტაპი გაიმართება.

**გაიოზ თალაკვაძე**

AFP ალტო დე ანგლირუდან



დაშავებულმა ესკარტინმა რბოლა ვეღარ გააგრძელა

**მეშვიდე ეტაპი, სალამანკა — ლეონი, 217 კმ**

1. მარსელ ვუსტი (გერმანია, ფესტინა) — 4 სთ 39 წთ 35 წმ
2. რობი მაკივენი (ავსტრალია, რაბობანკი)
3. მარიო ტრავერსონი (იტალია, საეკო)
4. გლენ მაგნუსონი (შვედეთი, პოსტალი)
5. დანილო ჰონდო (გერმანია, ტელეკომი) — ყველას იგივე დრო

**მერვე ეტაპი, ლეონი — ალტო დე ანგლირუ, 175,6 კმ**

1. ხოსე მარია ხიმენესი (ესპანეთი, ბანესტო) — 4 სთ 52 წთ 04 წმ
2. პაველ ტონკოვი (რუსეთი, მაპეი) — იგივე დრო
3. რობერტო ერასი (ესპანეთი, კელმე) — +1 წთ 01 წმ
4. მანუელ ბელტრანი (ესპანეთი, ბანესტო) — +1 წთ 14 წმ
5. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) — +1 წთ 44 წმ

**მეცხრე ეტაპი, ხიხონი — ლოს კორალესი, 185,6 კმ**

1. ლორან ბროშარი (საფრანგეთი, ფესტინა) — 4 სთ 33 წთ 40 წმ
2. ოსკარ კამენზინდი (შვეიცარია, ლამპრე) — +3 წმ
3. ნიკოლა მიჩელი (იტალია, ლიკიგასი)
4. ანდრეი ზინჩენკო (რუსეთი, ვიტალიციო)
5. როლფ სორენსონი (დანია, რაბობანკი) — ყველას იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1. აბრაამ ოლანო — 38 სთ 15 წთ 14 წმ
2. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) — +2 წთ 08 წმ
3. პაველ ტონკოვი — +2 წთ 58 წმ
4. იგორ გონსალეს გალდეანო (ვიტალიციო) — +3 წთ 58 წმ
5. რობერტო ერასი — +5 წთ 05 წმ


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli